ეროვნული
ბიბლიოთეკა



619
1968

# დროშა

№ 5 მაისი 1968

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 5 (378) მაისი, 1968 წ.

გამოცემის წელი 46-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ლონდონი. ჰაიგეიტის სასაფლაო. საბჭოთა ტურისტები კარლ მარქსის საფლავთან.

ფოტო ზურაბ რუსიასი.




ლონდონი. სახლი, სადაც ცხოვრობდა კარლ მარქსი. ამჟამად აქ ბიბლიოთეკაა.

# ძველი და ახალი ხიდი

## გალაკტიონ ტაბიძე

ჩვენ ყველანი ალებს ვკვესდით,
ვკვესდით, როცა ბნელა,
„კომუნისტურ მანიფესტით“
ვიზრდებოდით ყველა.
მოვიტანეთ ასე მრთელი
მოგონება კარგზე —
ყრმის დღეთა დროინდელი
ენგელსი და მარქსი.
ვისაც უნდა ისე ხარჯოს
დრო, მე ვეტყვი ტყეებს,
იმ ყრმობის დროს გაუმარჯოს,
იმ გარდასულ დღეებს.
ვინ არის, რომ გზას არ შესცდეს,
როს წვიმაა, ქარი,
„კომუნისტურ მანიფესტის“
იხსნის თითო პწკარი.
სხვა რომელი, საბჭოს გარდა,
როცა ცეცხლი ღვივის,
ყველა ქვეყნის პროლეტართა
შეერთებას ჰყივის?
იქ სხვა სტაცებს მუშას სარჩოს,
თუმც გრძნობს შიშს და ძრწოლას,
მედგარ ბრძოლას გაუმარჯოს,
კომუნისტურ ბრძოლას!

(გ. ტაბიძე — თხზულებანი, 1966 წ. ტ. 3.
გვ. 363-364).

10.706

# ეს იყო დრო იმ საუკუნეთა

## გიორგი ლეონიძე

მომავლისაკენ მზირალი მარქსი...
წინ მომავალი სახებრწყინვალე...
თითქოს გაახლდა ხმელეთის გარსი
და ცეცხლმა ჩეხა უწყო მყინვარებს.

მან მისცა გრიგალს ახალი გეზი,
ღამეს ახალა მეხი ჯიქური...
ეს ის დრო იყო... მიტრალიეზით,
როცა დაცხრილეს კომუნის გული.

მაგრამ დაჭრილი თუ გამთელდება,
ხდება საკუთარ სისხლის მზღვეველი,
კომუნის დროშას ძირს არ დაუშვებს
ხალხი დაბმული და ნატყვევარი.

არა ყოფილა ხალხის ძალღონე
წყალში ტყუილად გადასაყარი,
და მარქსის შუბლში იგეგმებოდა
ისტორიული გზაგასაყარი.

(გ. ლეონიძე — ლექსები და პოემები, ერთ-
ტომეული, 1954 წ. გვ. 540-541).



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ჩვენი მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყველა კომუნისტისათვის, მსოფლიოს ყველა მშრომელისათვის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავი დიდი და ნათელი დღესასწაულია, რომელიც მოასწავებს მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებას, მის ძლევამოსილ წინსვლას ჩვენს პლანეტაზე. ეს ზეიმი ახალი ძალით უჩვენებს მთელ კაცობრიობას, რომ ცხოვრების სიმართლე მარქსიზმის მხარეზეა. საბჭოთა ხალხი და მისი ლენინური პარტია სახელოვან იუბილეს ხვდებიან თავიანთი ძალების შემდგომი მობილიზაციის ნიშნით იმისათვის, რომ წარმატებით ააშენონ კომუნისტური საზოგადოება, განამტკიცონ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძმური სოლიდარობა და მეგობრობა, იბრძოლონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის; მარქს-ლენინის დიადი იდეები აცისკროვნებენ ჩვენს გზა კომუნიზმისაკენ.**

## ჩვენი გაკვეთილები

მარქსი ზრდიდა ადამიანებს, ზრდიდა მუდამ გეგმაზომიერად. მასზე მე შემიძლია ვთქვა უფრო ვიწრო გაგებითაც და უფრო ფართო აზრითაც, რომ იგი იყო ჩემი მასწავლებელი. და საჭირო იყო დამორჩილებოდი მას ყველა სფეროში. პოლიტიკურ ეკონომიაზე მე უკვე აღარ ვლაპარაკობ. პაპის სასახლეში პაპზე არ ლაპარაკობენ...

მარქსმა დიდებულად იცოდა ძველი და ახალი ენები. მე ფილოლოგი ვიყავი და იგი ბავშვივით ხარობდა, როცა შემთხვევა მიეცემოდა და არისტოტელედან ან ესქილედან მიჩვენებდა რომელიმე ძნელ ადგილს, რომელშიც უცებ ვერ ვერკვეოდი. რა დღე დამაყარა ერთხელ იმისათვის, რომ მე არ ვიცოდი... ესპანური ენა! წიგნების გროვადან უმალ ამოაძრო „დონ-კიხოტი“ და იქვე მომიწყო გაკვეთილი. რომანული ენების დიტცისეული შედარებითი გრამატიკიდან მე უკვე ვიცოდი გრამატიკისა და სიტყვათა აგების საფუძვლები და ამიტომ „მავრის“ ჩინებული ხელმძღვანელობით საქმე საკმაოდ კარგად წარიმართა. როცა გავჩერდებოდი და წავიფორხილებდი, იგი მზრუნველურად მეხმარებოდა. და რაოდენ მომთმენი იყო სწავლების პროცესში იგი, ჩვეულებრივად ესოდენ ფიცხი და მოუთმენელი! მხოლოდ რომელიღაც სტუმრის შემოსწრებამ შეგვაწყვეტინა გაკვეთილი. მარქსი ყოველდღე მამოწმებდა, და მე უნდა გადამეთარგმნა რაიმე „დონ-კიხოტიდან“ ან სხვა ესპანური წიგნიდან, მანამდე, სანამ ჩემმა ცოდნამ იგი არ დააკმაყოფილა.

მარქსმა შესანიშნავად იცოდა ენები — ამასთან უფრო ახალი, ვიდრე ძველი ენები. გრიმის გერმანული ენის გრამატიკა მან დაწვრილებით იცოდა, ხოლო ძმები გრიმების გერმანულ ლექსიკონში უკეთესად ერკვეოდა, ვიდრე მე, ფილოლოგი. ინგლისურად და ფრანგულად იგი წერდა, როგორც ინგლისელი ან ფრანგი — გამოთქმის მხრივ კი საქმე ოდნავ ცუდად ჰქონდა. მისი სტატიები „ნიუ-იორკ ტრიბუნისათვის“ დაწერილია კლასიკური ინგლისური ენით, მისი „ფილოსოფიის სიღატაკე“, მიმართული პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიის“ წინააღმდეგ — კლასიკური ფრანგულით; მისმა ერთ-ერთმა ფრანგმა მეგობარმა, რომელსაც მან დაბეჭდვის წინ გადასათვალიერებლად მისცა ხელნაწერი, მეტად ცოტა შესწორება შეიტანა მასში.

იმის გამო, რომ მარქსს ესმოდა ენის არსი და მუშაობდა მისი წარმოშობის, განვითარებისა და სტრუქტურის საკითხებზე, ენების შესწავლა მისთვის მეტად იოლი საქმე იყო. ლონდონში იგი სწავლობდა რუსულსაც, ყირიმის ომის დროს კი აპირებდა არაბული და თურქული ენების შესწავლას, მაგრამ ვეღარ მოიცალა. როგორც ყველა, ვისაც სურს ენის შესწავლა, იგი უმთავრეს მნიშვნელობას აძლევდა კითხვას. ვისაც კარგი მეხსიერება აქვს — მარქსს კი იშვიათი მეხსიერება ჰქონდა, — იგი ბევრი კითხვით სწრაფად ითვისებს მოცემული ენის სიტყვიერ მასალასა და სიტყვის ბრუნვას; ამის შემდეგ ენის დაუფლება პრაქტიკულად ძნელი აღარ არის.

## ენის სიწმინდე

მარქსი ძალიან აფასებდა აზრის ნათლად და მკაფიოდ გამოთქმას. გოეთეს, ლესინგს, შექსპირს, დანტეს, სერვანტესს, რომლებსაც თითქმის ყოველდღე კითხულობდა, იგი სიტყვის სფეროში თავის მასწავლებლებად თვლიდა. ენის სიწმინდესა და სისწორეს იგი მეტისმეტად დიდი სიფრთხილით და გულისხმიერებით იცავდა. მახსოვს, როგორ დამტუქსა ერთხელ ლონდონში ჩემი ყოფნის პირველ ხანებში იმისათვის, რომ ჩემს ერთ-ერთ სტატიაში დავწერე: „Stattgehabte“[1] Versammlung (კრება). მე ვეცადე თავის მართლება დამეწყო, ვთქვი, რომ ეს გამოთქმა საერთოდ მიღებულია და იხმარება, მაგრამ მარქსი გაჯავრდა: „საცოდავი გერმანული გიმნაზიები, სადაც შეუძლებელია გერმანული ენის შესწავლა, საცოდავი გერმანული უნივერსიტეტები“ და ა. შ. მე, როგორც შემეძლო, თავს ვიცავდი. მაგალითებად მომყავდა კლასიკოსები, მაგრამ შემდგომში აღარასოდეს აღარ ვამბობდი: „Stattgehabte“ ან „Stattgefundene“ (მოვლენები), და სხვებიც გადავაჩვიე ამ გამოთქმებს...

მარქსი იყო მკაცრი პურისტი; ხშირად იგი დიდხანს და გულმოდგინედ ეძებდა საჭირო გამოთქმას. იგი ვერ იტანდა უცხოური სიტყვების წარა-მარა ხმარებას... რაოდენ ორიგინალურ, ჭეშმარიტად გერმანულ გამოთქმებსა და სიტყვაწარმოებებს ვპოულობთ მარქსის ნაწერებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ დიდმა ადამიანმა სიცოცხლის ორი მესამედი უცხოეთში გაატარა; მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის გერმანული ენის წინაშე და მიეკუთვნება გერმანული პროზის უდიდეს ოსტატთა და შემოქმედთა რიცხვს.

## პატარა ლუი სარკის წინ

მარქსი ვერ იტანდა მოარტისტო ადამიანებს. მაგონდება, თუ როგორ მოგვითხრობდა იგი სიცილით ლუი ბლანთან თავის პირველ შეხვედრაზე. ეს მოხდა ჯერ ისევ დინსტრიტზე მისი ცხოვრების დროს, ოროთახიან ბინაში. აქედან პირველი, მისაღები ოთახი სასტუმროც იყო და სამუშაო კაბინეტიც, მეორე კი განკუთვნილი იყო დანარჩენი ყველაფრისათვის. ლუი ბლანი წარუდგა ლენხენს, რომელმაც იგი პირველ ოთახში შეიპატიჟა. მეორეში მარქსი საჩქაროდ იცვლიდა ტანსაცმელს. სასტუმროში გამავალი კარი ოდნავ ღია იყო და მარქსი ღრიჭოდან თვალს ადევნებდა თავშესაქცევ სცენას.

დიდი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ლუი ბლანი მეტად ტანმორჩილი კაცი იყო, სიმაღლით რვა წლის ბიჭუნას არ აღემატებოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, მეტისმეტად კოპწია გახლდათ. მან მიმოიხედა ღარიბულ სასტუმროში და მის ერთ-ერთ კუთხეში ძალიან პრიმიტიული სარკე დაინახა. მაშინვე მის წინ პოზაში დადგა, მთელი თავისი ჯუჯა ტანით გაიჭიმა — იგი ატარებდა ისეთ მაღალ ქუსლებს, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არ მენახა, — და სიამოვნებით დაუწყო საკუთარ თავს სინჯვა, თანაც კეკლუცობდა, თავს ილამაზებდა როგორც შეყვარებულმა კატამ იცის მარტის თვეში; ამასთან ცდილობდა რაც შეიძლება შთამაგონებელი იერი მიეღო.

ქალბატონი მარქსიც ამ კომიკური სცენის მოწმე გახლდათ და ძლივს იკავებდა სიცილს; ტანსაცმელი რომ გამოიცვალა, მარქსმა ხმამაღლა ჩაახველა, რათა გაეფრთხილებინა წინა ოთახში მყოფნი თავისი გამოსვლის შესახებ და კოხტაპრუწა ტრიბუნიც, ძლივს რომ მოსწყვიტა თვალი სარკეს, მოხდენილი თავის დაკვრით მიესალმა შემოსულს.

რა თქმა უნდა, პოზებითა და მსახიობობით მარქსზე შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლებელი იყო, და სულ მალე „პატარა ლუი“, — ასე ეძახდნენ მას პარიზელი მუშები ლუი ბონაპარტისაგან განსხვავებით, — ისე ბუნებრივად იქცეოდა, რამდენადაც მას ამის უნარი შესწევდა.

ვილჰელმ ლიბკნეხტი

(წიგნიდან „მოგონებანი მარქსზე“)

1. არასწორად აგებული ფრაზა; ნიშნავს: „ადგილი ჰქონდა კრებას“. რედ.

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

# მარქსი ქართულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეძალა მუხას მუმლი,
ღამე დადგა ყალყზე;
— დღეს თბილისში საიდუმლოდ
ჩამოვიდა
მარქსი.

მეფის მტერი საშიშარი
ჯანყსა სთესავს ხალხში,
გინდ ცოცხალი,
გინდაც მკვდარი
შეიპყარით
მარქსი!

ქალაქს სჩხრეკავს ჯაშუშების,
ჟანდარმების ჯგრო,
არც ერთ ქუჩას არ უშვებენ,
არ ჰკარგავენ დროს.

— ამ სარდაფში თუ იქნება...
— იქნებ მიდის ამ გზით...
— თვით ჩაგვბარდი შენივ ნებით!
— რომელი ხარ
მარქსი?

დაიჭირეს ექვით ბევრი,
სახით მისი მსგავსი,
დაიღალნენ ჩხრეკით, დევნით.
ვერ კი ნახეს
მარქსი.

ღამემ ბევრი იცოდვილა,
ანთხევს შხამს და ცოფს,
მზე მოცურავს ელვით.
დილა
ჰგავს გატენილ თოფს.

1906 წელს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოში ამბავი მიიტანეს, რომ აჯანყებულ მუშებთან თბილისში საიდუმლოდ ჩამოვიდა კარლ მარქსი. შეიქმნა სპეციალური საქმე — „კარლ მარქსი". მოეწყო მასობრივი ჩხრეკა და დაპატიმრებანი.

...ვერ იპოვნეს
საქართველოს
მთაზე, ველზე, არხზე
დიდი ხნის წინ შემოჭრილი
ქარიშხალი —
მარქსი.

როს მან მზეს მოკიდებული
ჩამოგლიჯა ხავსი,
ილიამ თქვა:
დიდებული
მეცნიერი
მარქსი!

როს იშიშვლეს ელვის ხმალი
საქართველოს მთებმა,
მძლავრი „ინტერნაციონალი"
თარგმნა წერეთელმა.
რევოლუცია მოაბიჯებს —
მოაბიჯებს
მარქსი.

გზას უნათებს ქართველ მუშებს
მისი სიტყვა ბასრი,
ამბოხებულ ქარხნებს, ქუჩებს
წინ მიუძღვის
მარქსი.

ძველ სამყაროს აზანზარებს,
ახლის ქარი ჰქრის,
მძლავრად რომ რეკს ბრძოლის ზარებს,
თვით მარქსია ის.

„მანიფესტი" ქართულ ენით
ჰქუხს, ქარიშხლის მსგავსი,
აფიქრებდა ქართვლის ბედიც,
ჩვენზეც სწუხდა
მარქსი.

— გაიხარე შენი მზითა,
მაგ მიწით და მაგ ცით! —
კელნიდან თუ ლონდონიდან
ხმას გვაწვდენდა
მარქსი.

მყინვარს სძრავდა გამყივარი
მისი მძლავრი ხმა,
ჩვენთან იყო,
ჩვენთან არის
ვით მამა და ძმა.

დედამიწას გულში ჩავწვდით,
თუ ვუცვალეთ გარსი,
ჩვენ, ლენინთან ერთად, მხარში
მუდამ გვედგა
მარქსი.

და როს ოქროს რთველი რთველობს,
წინ დიდი გზაც გვაქვს,
გულნათელი საქართველო
კვლავ ხელს ართმევს მარქსს.

# მარქსის სახელი ტრიუმფობს საუკუნეებში

1818 წლის 5 მაისი. ამ დღეს დაიბადა კარლ ჰაინრიხ მარქსი. მას შემდეგ აუკუნენახევარმა განვლო.

რა არის კარლ მარქსის უდიდესი მეცნიერული ღვაწლი და დამსახურება? 1887 წლის 17 მარტს, ლონდონში, ჰაიგეითის სასაფლაოზე მარქსის დაკრძალვის წუთებში, მისმა განუყრელმა თანამებრძოლმა და მეგობარმა ფრიდრიხ ენგელსმა, ასეთი პასუხი გასცა ამ კითხვას:

„მარქსმა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი აღმოაჩინა. მან აღმოაჩინა ის მარტივი ფაქტი, რომ ადამიანებს პირველყოვლისა უნდა ჰქონდეთ საჭმელი, სასმელი, საცხოვრებელი ბინა და ტანისამოსი, რათა მათ შესძლონ ხელი მოჰკიდონ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას"... რომ „ეკონომიური განვითარების შესაფერი საფეხური შეადგენს საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით ადამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც... — და არა პირიქით, როგორც აქამდე ეგონათ".

როგორც მრავალი აღმოჩენა, მარქსის გენიალური ფორმულაც სულ მარტივად ჟღერს; ისე კი მარქსის ეს დებულება პირველადი უჯრედია, რომელზედაც აღიმართა მეცნიერული კომუნიზმის უკვდავი მოძღვრება და აიხსნა საზოგადოების სტრუქტურის არსების მთავარი, ამოსავალი წერტილი.

მარქსი იყო ადამიანი, რომლისათვისაც სიტყვა (Wort) და საქმე (Tat) მუდამჟამს განუყრელ ერთიანობაში იმყოფებოდნენ. მისი სიტყვა მუდამ საქმეს ითვალისწინებდა, მისი საქმე ახალ სიტყვას ბადებდა.

მარქსი ფენომენალური ნების და ულმობელი ლოგიკის ადამიანი იყო. ეს ნება და ლოგიკა მოსჩანს მის ყოველ სტრიქონში. მისი ლოგიკა სტიქიონის ძალისაა. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ მარქსის „კაპიტალს" ფილოსოფოს-ლოგიკოსები სწავლობენ, როგორც ლოგიკური აზროვნების სწორუპოვარ მაგალითს.

კ. მარქსი მუშათა კლასის ბელადი და მასწავლებელი იყო. პროლეტარიატი არის მარქსის მოძღვრების მშობელი და შთამაგონებელი. მარქსმა ნათელყო, რომ პროლეტარიატი არის ყველა მშრომელის, დაჩაგრული და დამონებული ერების კარგად ორგანიზებული გამათავისუფლებელი ძალა. მარქსიზმმა გაათვითცნობიერა პროლეტარიატი, რომელმაც მისი იდეებით გამსჭვალულმა შეიცნო თავისი ისტორიული მისია.

მარქსისა და ენგელსის პირველი, დასრულებული საპროგრამო ნაშრომის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გამოსვლის შემდეგ ასოცი წელი გავიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მის წინააღმდეგ გაშლილ უკომპრომისო ბრძოლაში შეერთდნენ ყოველი ჯურის რეაქციონერები, მისტიკოსები, თუ გულუბრყვილო რაციონალისტები, ემპირიკოსები, ლიბერალურად თუ რადიკალურად განწყობილი მოაზროვნენი, რევიზიონისტების მთელი ხროვა, რომელიც ამ გოლიათს ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან უტევენ.

ვ. ი. ლენინმა შენიშნა ერთი დამახასიათებელი გარემოება: მარქსის ესა თუ ის მოწინააღმდეგე, თვითონვე თხზავს კარიკატურას მარქსიზმზე, თავისივე შეთხზულ მონაჩმახის წინააღმდეგ აღმართავს ბრძოლის ალამს და ბუქნაღარის ხმაზე ზეიმობს კიდეც თავის ვითომ გამარჯვებას.

ისტორიამ ბრწყინვალედ დაადასტურა მარქსის მოძღვრების სიმართლე. მეოცე საუკუნის ურთულეს პირობებში ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა განავითარეს და ახალ საფეხურებზე აიყვანეს მარქსის მოძღვრება.

მარქსიზმი გაქვავებული, გაყინული სისტემა როდია, ის მუდმივ განვითარების პროცესში იმყოფება.

მარქსიზმ-ლენინიზმი ოპტიმისტური მოძღვრებაა, ოღონდ ეს ოპტიმიზმი მკვეთრ მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული და მას არაფერი აქვს საერთო ნებისმიერ ვოლიუნტარისტულ და სუბიექტივისტურ განწყობილებებთან.

* * *

1930 წელი... ბელგია... მარტის თბილი დღეები... მე ის იყო დავამთავრე პატიმრობის ვადა, ხელზე არცთუ მძიმე ბორკილებით, ჟანდარმებმა გამომიყვანეს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში აგებულ ბრიუსელის სენ-ჟილის საპყრობილიდან, სადაც სულ პატარა, ერთი ტუსაღისათვის განკუთვნილ საკანში კარგა ხანი გავატარე; აქედან მატარებლით, ტუსაღთა ვაგონით წამიყვანეს ქალაქ არლონის ციხეში, შემდეგ კი, უმაღლეს ხელისუფალთა განკარგულების თანახმად, რომელნიც მიკრძალავდნენ იმ ქვეყანაში ცხოვრებას, მე მოვხვდი, ევროპის სულ პატარა სახელმწიფოს — ლუქსემბურგის საგრაფოს საზღვარზე; აქ ბორკილები მომხსნეს და ევროპული გალანტური თავაზიანობით კეთილი ყოფნა მისურვეს.

არც წინათ, მით უმეტეს მაშინ, ევროპაში ლეგალურად მოგზაურობისათვის საჭირო დოკუმენტები არ მქონია; ამას შეჩვეული ვიყავი, ამის გამო ტყეტყე სიარული ვამჯობინე და ამ სახელმწიფოს პატარა ქალაქში, ეშსალზეტში მივედი. ლუქსემბურგის საგრაფო სამხრეთ გერმანიას ესაზღვრება. მე ბერლინში მივიჩქაროდი; ლუქსემბურგში ორ დღეს დავრჩი და მესამე დღეს, დილით, ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგის მანქანით გერმანიისაკენ გავსწიე.

უჩვეულოდ ლამაზია რაინისპირეთი და მოზელის სანახები. გზა ლუქსემბურგიდან გერმანიისაკენ ხომ მოზელს მისდევს. მკითხველს შეიძლება ახსოვს ამ მიდამოების ჰაინესეული აღწერილობა. ღრმა, და ამავე დროს, ნელი, წყნარი რაინი გორაკებს შორის მიედინება. მთა-ველი ამწვანებულიყო, ხეებსაც ამშვენებდა ნორჩი ფოთლები. ამ მთა-გორაკებზე შეფენილმა პატარა სოფლებმა, თეთრი კოპწია ეკლესიებით (კვირა დღე იყო და ზარები მლოცველებს ეპატიჟებოდნენ) ჩემი საქართველო მომაგონა.

ცხოვრების გრძელ მანძილზე არც თუ ცოტა მიმგზავრია და, საქართველო ხშირად იქაც კი მელანდებოდა, სადაც მისი მსგავსი შეიძლება არც არაფერი იყო.

რაინის მიდამოები ალბათ არა ჰგავს ჩხერიმელაზე, თუ იორზე გადმომდგარ მთებს და მთების ფერდობებზე გაშენებულ ქართველთა ბუდეებს, მაგრამ მაშინ მე სწორედ ასე მეჩვენებოდა.

გერმანიის უფრო სიმბოლიურ, ვიდრე რეალურ საზღვარზე გუშაგმა პასპორტი მომთხოვა; მოვიმიზეზე სახლში დამრჩა-მეთქი, ხუთიოდე ათდოლარიანი გავუწოდე მას. მესაზღვრე მხედრულად მომესალმა, მადლობა გადამიხადა და გზა დამილოცა. სულ მალე მანქანა პატარა ქალაქში შევიდა. ეს ტრირი იყო. ამხანაგს დავემშვიდობე, ის უკან ბრუნდებოდა; მიუხედავად ფიზიკური დაღლილობისა და, ცოტა არ იყოს, ნერვიულობისა (მე ევროპის საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია ფოტოსურათებით უკვე მიცნობდა, როგორც ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთ რიგით მუშაკს), დავიწყე ძებნა იმ სახლისა, სადაც დაიბადა მარქსი, რომლის იდეების ერთგულმა სამსახურმა შორეული საქართველოს ერთი უბრალო ყმაწვილი კაცი, ცოტა არ იყოს უჩვეულო გზით, მის მშობლიურ ქალაქში მიმიყვანა.

მარქსის სახლის ძებნაში დრო რომ არ დამეკარგა, პოლიციელს ვკითხე მისამართი. პოლიციელი სოციალ-დემოკრატი გამოდგა (ასეთი რამ ვაიმარის რესპუბლიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო). მან არამცთუ მიმითითა მარქსის სახლზე, მიმაცილა კიდეც. პოლიციელი მადლობის ნიშნად კაფეში მივიწვიე, მიუნხენური ლუდით და შემწვარი კარტოფილით გავუმასპინძლდი: ჯერ ერთი ჩვენებური თავაზიანობა მოითხოვდა ამას, და მეორე, რაც უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი იყო, პოლიციელის კამპანია იმ ვითარებაში ჩემთვის მეტად ხელსაყრელი ჩანდა.

მე შევცქეროდი ამ პატარა, სამსართულიან სახლს, სადაც ჰაინრიხ მარქსისა და ჰენრიეტა პრესბურგის ოჯახში დაიბადა ადამიანი, რომლის სახელი წარუშლელი იქნება მანამ, სანამ იარსებებს ადამიანთა მოდგმა. დავდიოდი პატარა ტრირის ვიწრო ქუჩებში, რომის ქუჩაზე, დავცქეროდი იმ ქვაფენილს, სადაც თითქმის ერთი საუკუნის წინათ, თვრამეტი წლის შეყვარებული მარქსი, რაღაცას აღტაცებით მოუთხრობდა მშვენიერებით, სათნოებით და სილამაზით განთქმულ, მასზე ოთხი წლით უფროს ჟენი ფონ ვესტფალენს, შემდგომში მის განუყრელ მეგობარს და ერთგულ მეუღლეს. „ჟენი იყო იმგვარი ბუნების ადამიანი, როგორსაც გოეთეს იდეალი ესწრაფებოდა, თანაბრად გულწრფელი და ალალი თავისი სულის ყოველგვარ გამოვლინებაში — მხიარულობის დღეებში ადამიანებთან ურთიერთობის მომხიბლავი თვისებებით და ნიობეს ტრაგიკული მგლოვიარობით, როდესაც გაჭირვებამ ერთადერთი ვაჟი გამოსტაცა და მას კი ფულიც არ ებადა მისი საფლავისათვის. ჟენის სილამაზე საამაყო იყო მისი მეუღლისათვის და მას შემდეგ, რაც მათ ერთად განვლეს ხანგრძლივი გზა ცხოვრებისა, 1863 წელს, დედის დასაფლავებაზე მყოფი მარქსი მეუღლეს წერდა ტრირიდან: „მე ყოველდღე დავდივარ წმინდა ადგილთა თაყვანსაცემად — ვესტფალების ძველ პატარა სახლთან (რომის ქუჩაზე): ეს სახლი მე რომის ყველა სიძველეზე მეტად მიზიდავს, რადგან იგი ახალგაზრდობის ბედნიერ დღეებს მაგონებს; ოდესღაც აქ ცხოვრობდა ჩემი უძვირფასესი საუნჯე; გარდა ამისა, ყოველდღე, ყოველი მხრიდან მეკითხებიან — რა იქნა ტრირის უპირველესი მზეთუნახავი და მეჯლისების დედოფალიო? ქმრისათვის მეტად სასიამოვნოა ის გრძნობა, რომ მისი მეუღლე მთელი ქალაქის წარმოდგენაში ახლაც ცხოვრობს მოჯადოებული პრინცესას მსგავსად“. ასე წერდა მარქსზე, მის შესანიშნავ, ღირსეულ მეუღლეზე, მარქსის ცხოვრების ბრწყინვალე მემატიანე ფრანც მერინგი.

გერმანიაში ჩასულ ახალგაზრდებს მუდამ თან გვდევდა მარქსის დიადი ჩრდილი. კელნში — „კელნის გაზეთი“, რომელსაც ის რედაქტორობდა და რომლის ფურცლებზე იბეჭდებოდა მისი სტატიები; კომუნისტების კელნის პროცესი; მაშინ სულ პატარა პროვინციულ ბონში (ახლა ფედერაციული გერმანიის დედა-ქალაქი) — ამ ქალაქის უნივერსიტეტი, სადაც სწავლობდა მარქსი; ბერლინში — ახალგაზრდა ჰეგელიანელთა ჯგუფი, სადაც მარქსი ეზიარა დიდი მოაზროვნის მოძღვრებას და პირველი ნაბიჯები გადადგა განთქმული ფილოსოფოსის სისტემის კრიტიკისათვის; საქსონიაში, დრეზდენში, თვალწინ გვედგა 1848 წლის ბარიკადებზე მარქსის განუყრელი თანამოაზრე ფრიდრიხ ენგელსი.

გერმანია მაშინაც და ახლაც ჩემს წარმოდგენაში არის არა ჰოჰენცოლერნების, ჰიტლერის თუ ადოლფ ფონ ტიდენის ქვეყანა; ის მარქსის, ენგელსის, ავგუსტ ბებელის, ფრანც მერინგის, კარლ ლიბკნეხტის, კლარა ცეტკინისა და ერნსტ ტელმანის შესანიშნავი და სწორუპოვარი სამშობლოა, ეს ის ქვეყანაა, რომლის ინტელექტუალურ, სულიერ, გრძნობად სამყაროში იშვა და ამობრწყინდა მარქსის ყოვლისმძლე გენია.

* * *

მარქსი იყო ფენომენალური ინტელექტისა და განსაცვიფრებელი ერუდიციის ადამიანი. მისი თანამედროვენი აღნიშნავენ: იმდროინდელ ინტელექტუალურ კაცობრიობას ესოდენ განათლებული ადამიანი არ ჰყოლიაო. ენგელსი ამბობდა, მისი სიკვდილით კაცობრიობა ერთი თავით დადაბლდაო.

მარქსის მოძღვრება ყოვლისმომცველია და მასზე ერთ საჟურნალო წერილში ამომწურავი საუბარი შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

მარქსის მემკვიდრეობას, მის მოძღვრებას მთელი წლობით სწავლობენ. მრავალმხრივ ჰქონდათ დამუშავებული მარქსსა და ენგელსს ეროვნული საკითხიც; ჩვენ აქ ორიოდე სტრიქონში მხოლოდ გავიხსენებთ მათ დამოკიდებულებას იმდროინდელი კავკასიის პრობლემისადმი.

ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი აქტიურად ეხმაურებოდნენ კავკასიელი ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას; კავკასიის იმდროინდელ ამბებს ისინი, პირველ რიგში, საერთაშორისო პოლიტიკის ასპექტში, თვით რუსეთში ცარიზმის, როგორც მსოფლიო რეაქციის ბერკეტის დასუსტების ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიოში გაშლილ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ, ისტორიულ პერსპექტივაში გაგებული ინტერესების თვალსაზრისით განიხილავდნენ.

მარქსსა და ენგელსს ბევრჯერ აღუნიშნავთ რუსეთის პროგრესული როლი აღმოსავლეთის მიმართ, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდათ მხარი დაეჭირათ ბრძოლებისათვის, რომელსაც ცარიზმის წინააღმდეგ დამონებული ერები აწარმოებდნენ: კავკასიელი ხალხები მაშინ ხომ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ამ პოზიციებიდან განიხილავდნენ მარქსი და ენგელსი, კერძოდ შამილის მეთაურობით კავკასიის უღელტეხილის ჩრდილოეთზე გაჩაღებულ ბრძოლას.

მარქსი, უნდა ვიფიქროთ, იცნობდა საქართველოში არსებულ მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებასაც. როდესაც ის ნიკო ნიკოლაძეს პირველი ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოში საქართველოს წარმომადგენლობას სთავაზობდა, მას ალბათ მიაჩნდა, რომ ნ. ნიკოლაძე, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლობას გასწევდა და არა თავისთავს წარმოადგენდა იქ.

* * *

მარქსის მოძღვრება საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას. ვ. ი. ლენინმა, მისმა მოწაფეებმა, თანამებრძოლებმა და თანამოაზრეებმა ახალ ხანაში, იმპერიალიზმის, პროლეტარული რევოლუციების, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, კომუნისტური საზოგადოების საფუძვლების მშენებლობის პირობებში უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს, განავითარეს მარქსის მოძღვრება.

ახლაც, ახალ დროებაში, ჩვენს ალმებზე მოჩანს უჩვეულო გენიით, რკინისებური ნებისყოფით, ურყევი პრინციპულობით და თავისი იდეალისადმი თავდადებული რწმენით გასხივოსნებული დიადი ადამიანის, კარლ მარქსის სახე.

**ვლ. მაჭავარიანი.**

ყოველი ადამიანის ცხოვრება უამრავი შთაბეჭდილებებით არის აღსავსე. ბევრი მათგანი ღრმა კვალს სტოვებს მეხსიერებაში, მაგრამ დროთა სვლაში ეს განცდები მაინც მკრთალდებიან და მხოლოდ მოგონებადღა იქცევიან. იქნებ მხოლოდ ერთხელ ისეთი რამ შეგხვდეს კაცს, რასაც ვერასდროს დაივიწყებ ვერც როგორც მომხდარ ფაქტს, ვერც მისგან გამოწვეულ ემოციებს, განსაკუთრებით, თუ ეს ბავშვობაში მოხდა.

ასეთი რამ მეც შემხვდა.

1984 წლის გაზაფხული იწურებოდა. სკოლაში მეცადინეობა დამთავრდა თუ არა, შინისკენ გავსწიე — იქ, გორში იყო დედა, მამა, ჩემი სამყარო...

# დაუვიწყარი ზაფხული

შინ ჩასვლა ყველას უხარია, მეც ბედნიერად ვგრძნობდი თავს — ერთმანეთს მონატრებულნი ვიყავით, მაგრამ ამჯერად მომეჩვენა, რომ თითქოს ჩემთვის არავის სცალია, ჩვენები რატომღაც განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდნენ ლიკანში წასასვლელად.

ეს ის დალოცვილი დრო გახლდათ, როცა უფროსები უმცროსებს ყოველ საქმეში ცხვირს არ აყოფინებდნენ; ამიტომ მე არც კი მიკითხავს კიკეთი ლიკანით რად შეცვალეთ-მეთქი და ისე ჩავედი ლიკანში, რომ აქეთ წამოსვლის მიზეზი არ ვიცოდი.

მაგრამ რას დაიმალებოდა ისეთი ამბავი, რისგანაც მთელი ბორჯომი ფეხზე იყო დამდგარი?! მალე ხმა გავარდა გიორგი დიმიტროვი ჩამოდისო.

მაშინ ჩვენს ოჯახში, ისევე როგორც ყველგან, დღე არ გავიდოდა, რომ დიმიტროვის სახელი არ ეხსენებინათ. იმდენი რამ გვქონდა მოსმენილი მის განსაცვიფრებელ გმირობაზე, დაუჯერებელი იყო, რომ შეიძლებოდა მასთან შეხვედრა აი, აქ, სადაც ჩვენ ვართ...

* * *

უჩვეულო დილა დაგვიდგა — „ის“ უკვე აქ არის და პირველი კორპუსის მეორე სართულზე იცხოვრებს. ჩვენ ადრევე გვქონდა დათვალიერებული მისთვის განკუთვნილი ოთახი — კედლები სახიანი თეთრი ფარჩით იყო მოკაზმული, ამიტომ ოთახში შესვლისთანავე საზეიმო განწყობილება გექმნებოდათ.

ოთახი ფართო, გაშლილ აივანზე გადიოდა, აქედან ხეობაზე ენით აუწერელი სილამაზის ხედი იყო გადაშლილი: დაბლა, ხეობის ოღრო-ჩოღრო კალაპოტში მტკვარი ზანტად მიიზლაზნება, ცოტა ქვევით კი, მოხვეულიდან, თითქოს გაახსენდა, რომ ქართლის მინდორ-ველები ელიან, მომატებული სისწრაფით განაგრძობს დინებას. მისი მღვრიე ნაკადი მთვარიან ღამეს ვერცხლის ზოლად ბზინავს და გეგონებათ ხეობა ორ ნაწილად არის გადასერილი. პარკს ბილიკით რომ ჩაჰყვებით, თეთრ ხიდს მიადგებით, რომელიც აგერ უკვე ათეული წლების მანძილზე ჩაკეტილი დგას და ამით ამ რომანტიკულ გარემოს იდუმალების განწყობას ჰმატებს.

პირველი კორპუსი, რომელშიაც დიმიტროვი ცხოვრობდა, მაღლობზე დგას, აქედან ხიდამდე კარგა დიდი მანძილია; ეს ღვთაებრივი გარემო, მართლაც, რომ ზედგამოჭრილი იყო ამ დიდებული ადამიანისათვის. სხვათა შორის, მას გარეგნობაც შესანიშნავი ჰქონდა; როცა მის სურათებს ვუყურებ, ასე მგონია ეს მხოლოდ აბრისია მისი სახისა. ისე, პირისპირ შეხვედრისას, როგორც ჩვენ მაშინ შეგვხვდა, შეიძლებოდა რაიმე მსგავსების ნახვა ფოტოსურათებსა და ორიგინალს შორის, თანაც, როცა იცი, რომ ის უნდა ჩამოვიდეს, მაგრამ კაცმა რომ თქვას, გიორგი დიმიტროვს ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო ამ სურათებთან; ცხოვრებაში იგი ულამაზესი კაცი იყო: ხორბლისფერ სახის უნაკლო ნაკვთებს ფერფლის ფერი ხვეული თმები ამშვენებდა. ცისფერ წყლიან თვალებს მარაოსავით ჰქონდა გადმოფენილი ხშირი წამწამები და ყოველი მისი გადმოხედვა, ან ღიმილი მზის სხივის შემოჭრას ჰგავდა ბნელ ღამეში. ბუნების საოცარი ქმნილება იყო ჭეშმარიტად!

* * *

რამდენიმე დღე გიორგი დიმიტროვი არ ჩანდა. საქმე იმაში იყო, რომ მისმა მკურნალმა ექიმმა გიორგი რუსიშვილმა მკაცრი რეჟიმი დაუნიშნა, ისე რომ, მისთვის განკუთვნილი მრგვალი სავარძელი, რომელიც პირველი სართულის აივანზე გამართულ სასადილო მაგიდის თავში იდგა, ხშირად ცარიელი რჩებოდა. ასეთ დღეებში დამსვენებელნი უხალისოდ სტოვებდნენ მაგიდას და პარკს მიაშურებდნენ იმ იმედით, რომ სადმე შეხვდებოდნენ მას.

ბუნებრივია, რომ ამას ბავშვები უფრო ვახერხებდით — ჩვენ მალე დავადგინეთ, რომ დიმიტროვი ძალიან ადრე დგება და ვარჯიშის შემდეგ სასეირნოთ მიდის გორაკზე, ჩამოჯდება ქვაზე, გაჰყურებს მთებს და ფიქრებს ეძლევა. ჩვენ დაბლა ვიყავით ჩასაფრებულნი, და მოკრძალებით ველოდით როდის გაართმევდა თავს მოგონებათა და ფიქრთა შემოტევას. არ ვიცი მართლა ასე იყო, თუ ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ იქიდან დამშვიდებული, ნათელი სახით ჩამოდიოდა. ჩასაფრებულნი „შემთხვევით“ შევეფეთებოდით ხოლმე და გზას ერთად განვაგრძობდით.

საოცრად სწრაფად მოვისადირეთ მისი გული, სულ მალე დიმიტროვი ისე მიეჩვია ამ „შემთხვევით“ შეხვედრებს, რომ თუ არსად ვჩანდით (ეს კი ძალიან იშვიათად ხდებოდა), თითონ მოგვნახავდა ხოლმე. ვინ იცის რა სასაცილო იყო ასეთი პროცესია: დინჯად მოაბიჯებს ახოვანი ვაჟკაცი, გარშემო კუნტრუშით მოსდევენ ჟიჟმატი ბავშვები, რომელიმე ჩვენგანს, უფრო მოზრდილს, ვინც თავისი სიმაღლით დიმიტროვის ჯოხს შეეფერებოდა (ხშირად ეს მე ვიყავი), გვერდში მოიყენებდა, თავზე ხელს დაადებდა და ასე მოვდიოდით. ეს „ჯოხი“ ასეთ შემთხვევაში თავს სამართლიანად „რჩეულთა“ რიცხვში თვლიდა და ამაყობდა ამით.

ჩვენ იმდენად ვიყავით განებივრებული მისგან, რომ ასე გვეგონა ჩვენთან ყოფნა ერჩივნა უფროსებთან ყოფნას. ყოველ შემთხვევაში ვინც არ უნდა ჩამოსულიყო (სტუმრები კი ხშირად ჩამოდიოდნენ), ჩვენ არ მოგვკლებია მასთან ყოფნის სიხარული — ხან სად წაგვიყვებოდა და ხან სად. ზოგჯერ ე. წ. „თურქულ ოთახში“ განიერ ტახტზე მოიკალათებდა და მუსიკას უსმენდა. ისე უყვარდა მუსიკა, რომ სავარჯიშოებსაც კი რომ უკრავდნენ, ის მაინც იჯდა და ისმენდა, და ჩვენ გვჯეროდა, რომ მას უსაზღვრო სიამოვნებას ვანიჭებდით ჩვენი „შემოქმედებით“. მაგრამ იგი ვერ იტანდა იმ დროს გავრცელებულ ჯაზურ მუსიკას.

ბორჯომ-პარკში კონცერტებზე დიმიტროვი ხშირად დადიოდა. ჩვენთვის ეს მგზავრობა ლიკანიდან პარკამდე ნამდვილი დღესასწაული იყო, ყოველ დღე თადარიგს ვწევდით — სანდალეტების გაპრიალებას, ბაფთების დაუთოვებას დილიდანვე ვიწყებდით იმ იმედით, რომ საღამოს ჩვენც წაგვიყვანდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხშირად ხდებოდა, ჩვენ ყოველ კონცერტზე წასვლას, როგორც სანატრელ დღესასწაულს, ისე ველოდით. მართლაც, უაღრესად შთამბეჭდავი იყო იქ ჩასვლა — გამოჩნდება თუ არა გიორგი დიმიტროვი პარკის შესასვლელთან, დამსვენებლები ადგილებიდან წამოვარდებოდნენ და ოვაციას უმართავდნენ ჩვენიანად ქცეულ უცხოელს. ასევე ტაშით აცილებდნენ მას კონცერტის დამთავრების შემდეგ.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ის დღე იყო, როცა უფროსებისაგან განცალკევებით ჩვენთან იყო; როგორც თანატოლებს, ისე გვესაუბრებოდა. იგი ცდილობდა მკვეთრად შეგვეგრძნო რაოდენ დიდი განსხვავებაა იმის შორის, თუ რა პირობებში ვცხოვრობთ ჩვენ, საბჭოთა ბავშვები, და რა მდგომარეობაში იმყოფებიან ბავშვები მის სამშობლოში. ხმა აუთრთოლდებოდა ხოლმე ამ დროს, ვატყობდით, რომ მეტად უმძიმდა ამის გახსენებაც კი.

გაზეთების კითხვა დიმიტროვმა გვასწავლა — ჯერ მოწინავეო, იტყოდა, შემდეგ სხვა მასალა. წაგვიკითხავდა და კომენტარს უკეთებდა. მასთან ურთიერთობით ისე გამოვიცვალენით, რომ მშობლები ველარ გვცნობდნენ... ყველას ძალიან გვინდოდა მისი გულის მოგება, მაგრამ რა შეგვეძლო ჩვენ? ვცდილობდით ყოველნაირად, მაგრამ იმის მეტს ვერას ვახერხებდით, რომ გულმოდგინედ ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებს. იქნებ ეს მან კიდევაც შეამჩნია, რადგან ერთხელ მკითხა: „რა არის ახალი გაზეთებშიო“, მეც ავიღე და მოწინავიდან დაწყებული ყველა სტატია ჩავარაკრაკე და ბოლოს, როცა რედაქტორის გვარიც მოვახსენე, დიდხანს გულიანად იცინოდა. მერე ყველას უყვებოდა თურმე ამ ამბავს.

* * *

ჩვენ სასტიკად გვქონდა აკრძალული რაიმე ისეთი შეკითხვით მიმართვა, რაც მას ახლად გადატანილ ტანჯვას — ლაიპციგის პროცესს გაახსენებდა. რამდენად მძიმე იყო მისთვის ამ საგანზე საუბარი, ჩვენ მხოლოდ მაშინ შევიგრძენით, როცა მას მოსკოველი პიონერები ესტუმრნენ.

მასპინძელმა პიონერები ძალიან კარგად მიიღო, თუმცა იმ დილით უკვე გახლდათ განმარტოებულ გორაკზე, სტუმრები მაინც წაიყვანა იქ. ჩვენ,

(დასასრული იხ. მე-8 გვერდზე).


ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. დიმიტროვი ლიკანის სანატორიუმში. დიმიტროვის ხელმარცხნივ დგას ამ წერილის ავტორი.













ფოტო ავტორისა

# ქორწილი ენგურის ხეობაში

ბიჭებმა ანკესები მოამზადეს, დალამებას ელოდნენ მხოლოდ.

უცებ საშინელი გუგუნი გაისმა, იგი მეხთატეხის ხმას უფრო ჰგავდა, მაგრამ ცა მოწმენდილი იყო.

მეთევზეებმა მაგანისაკენ გაიხედეს და თვალს არ დაუჯერეს — ეს გიჟმაჟი მდინარე თითქოს უცებ დამშრალიყო.

გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს — ცხადია, თუ სიზმარი.

სოფელ ჭვარშიც ამ ქუხილმა შეაკრთო დიდი და პატარა. სკოლის ზარებმაც კი დაიწკრიალეს ანაზდად. ხოლო სარკმლის მინები დიდხანს ზრიალებდნენ.

იმ წუთში ტაშკენტი გაახსენდა ყველას, მაგრამ არც მიწისძვრას ჰგავდა ეს.

ათი დღის წინ დაბის ცენტრში გაკრული განცხადება იუწყებოდა: „შაბათს, საღამოს 10 საათისათვის, სვანეთის ახალი გზის მშენებლობაზე, წულიშის მთასთან იქნება დიდი აფეთქება, გთხოვთ ბავშვები მოარიდოთ ამ მხარეს. საგზაო მშენებლობის სამმართველოს პირველი უბანი".

ჭვარში ყოველდღე ისმის გუგუნი მთებიდან. ხალხი მიეჩვია მას. მაგრამ აფეთქებაც არის და აფეთქებაც, 120 ტონის აფეთქება საქართველოში ჯერ არსად ყოფილა.

ამან გადახიდა მაგანა და ტბა შექმნა ხეობაში. მდინარე მეორე დღეს ძლივს გადაევლო ჯებირებს და დაეშვა ენგურისკენ.

მაშინ არავინ იცოდა, რომ ეს უცაბედად გაჩენილი ტბა გზის მშენებელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდებოდა. ივანე ბობაშვილსა და თორნიკე ციმინტიასაც ვერ წარმოედგინათ, თუ აქ დაიჭერდნენ კალმახს მეგობრის საქორწილო სუფრისათვის.

• • •

ჯერ ისევ გარიჟრაჟია. ჩვენი ავტობუსი ტოვებს დაბა ჭვარს და გეზს ჩრდილოეთისაკენ იღებს.

წუთიც და დაჭიმულ ბაგირებზე დაკიდებული მაგანის ხიდი გამოჩნდება. 1938 წლის 12 ნოემბერს, როცა ხამეგრელო სვანეთს დაუკავშირდა საავტომობილო გზით, ლენტი სწორედ აქ გადაჭრა ფილიპე მახარაძემ.

მანამდე წელიწადში შვიდ-რვა თვით სვანეთი მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას. ამან აიძულა სვანები ისეთ გზებზე ევლოთ, სადაც სხვა ვერავინ გაივლიდა.

ავტობუსი ბებერ კოშკთან მარჯვნივ უხვევს. კარგად ჩანს ენგურჰესის მაღლივი თაღოვანი კაშხალის მშენებლობა. კლდეებში გაჭრილი ეს გზები იქითკენ მიემართებიან (ფოტო 1). როცა იგი დასრულდება, ჭვარის-ზღვა ძველ გზას დაფარავს. ამიტომ საქართველოს მიდროენერგომშენებლობის ტრესტის საგზაო სამმართველომ 1961 წლიდან აქ ახალი გზის გაყვანას შეუდგა.

გზის მშენებლობის უფროსმა ავთანდილ ჩალაძემ გვითხრა, რომ ახალი გზატკეცილი ძველზე სამჯერ უფრო განიერი იქნება და სილამაზით მეტოქეობას გაუწევს სოხუმ-სოჭის განთქმულ მაგისტრალს.

• • •

მზე მთელი დღე ანათებდა ხეობას. გადაღებისათვის ამაზე კარგ ამინდს ვერ მოძებნი.

ჩვენც ფოტოაპარატით მივსდევთ ახალ გზას.

ხეზე ასული ამფეთქებელი თამაზ გოგინაშვილი (ფოტო 2) ნიშანს იძლევა. იგი ქვევით, სვანეთიდან ზუგდიდისაკენ მიმავალ, ხე-ტყით და მარმარილოთი დატვირთული მანქანების ქარავანს აფრთხილებს — აფეთქებაა და იჩქარეთო!

თუმცა ეს ნიშანი მარტო მათ როდი ეხებათ.

მშენებლებიც საიმედო თავშესაფარს ეძებენ. როგორც ხედავთ, მთელი ბრიგადა ეტევა ექსკავატორის ციცხვში (ფოტო 3).

ხეობაში ლაღუმმა იგრიალა (ფოტო 4).

აფეთქების შემდეგ მებეტონეების რიგიც დგება (ფოტო 5). ისინი რკინაბეტონის საყრდენ კედლებს და ხიდებს აშენებენ.

მთელ ამ სამუშაოს გამოცდილი ინჟინრები ხელმძღვანელობენ. აი ერთი მათგანი — ზურაბ ჭელიძე (ფოტო 6).

და ბოლოს, კიდევ ერთი ფოტოც (№ 7). მას საქართველოს სსრ კინოფოტოდოკუმენტების არქივში წავაწყდით. ჩვენი სახელოვანი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია (მარცხნიდან პირველი), „მთვარის მოტაცებას" რომ წერდა, ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე სვანეთს. სურათი 1938 წელს არის გადაღებული, სვანეთის გზის მშენებლებთან.

ნაძვნარში ჩაფლულა გზის მშენებელთა დაბა. ცენტრში პატარა სპორტული მოედანია. ყველა სახლთან მოჩქეფს ანკარა წყაროს წყალი. ამ დაბაში ოცდაორი მცხოვრებია... კეთილმოწყობილი კოტეჯები, სასადილო და ერთიც საწყობი —მშენებელთა არსენალი.

ჩემი მასპინძელი ივანე ბობაშვილი—გზის მშენებელთა ბრიგადირია.

— წამო, ბარემ ბოსტანსაც გაჩვენებ, — მითხრა ივანემ და წინ გამიძღვა.

— მიწა ბარაქიანია, ოღონდ ნუ იზარმაცებ, — განაგრძობს იგი, — ტყეც კი სავსეა ხილით და ყურძნით. მინდა ზემო რაჭაში აქაური იზაბელა წავიღო და გავახარო. იქ ყურძენი ვერ ასწრებს დამწიფებას. იქნებ ამან უფრო იხეიროს.

ვახშმის შემდეგ ივანესთან შეიკრიბა მთელი დაბა. მეგობრული საუბარი გაჩაღდა, მერე ამას გოგი ჯიქიშვილის ზეპირი მოთხრობები მოჰყვა და დრო შეუმჩნევლად მიილია.

ვიდრე ტკბილ ძილს ვუსურვებდით ერთი-მეორეს, ვახტანგ ნიშნიანიძემ და ივანე ბობაშვილმა ერთი საიდუმლო გამანდეს:

— იმ შაბათს რაჭას მივდივართ, წამოდი, ნუ დაგეზარება!

— ალბათ ექსკურსიაზე? — ვკითხე მე.

— არა, კაცო, ჩვენს ამხანაგს ქალი მოჰყავს.

ჰო, რა ქორწილი იქნება ენგურის ხეობაში!

მშენებელთა ყრიამულიც და ლაღუმების გრიალიც მაშინ საქორწილო შედლუხად მოეჩვენება ადამიანს.

სიცოცხლე მთელი ძალით ჩქეფს ხეობაში.

ბვანჯი მანია.



ცოტა არ იყოს, შურის თვალით შევხედეთ მათ, ასე გვეგონა ჩვენთვის განკუთვნილი ალერსი მათ გაუნაწილეს, ამიტომ არ მივკარებივართ, შორიახლოს ვტრიალებდით, ასე ვთქვათ „პოსტზე" ვიდექით, რომ არა მომხდარიყორა. „ლაიპციგის პროცესი" თქვა ვიღაცამ, მაშინვე გ. დიმიტროვს შევხედეთ, იგი გაფითრდა, ჩვენ კი „პოსტზე" მდგომნი, შიშმა შეგვიპყრო და თავქვე დავეშვით. სული რომ მოვითქვით, რაიმე გადაწყვეტილების მიღება მოვიწადინეთ, რადგან ჩაგონებული გვქონდა, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ცუდათ შეიქმნებოდა, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა, ვინ იცის სულაც არ გაფითრებულა და ჩვენ მოგვეჩვენა მხოლოდ. სტუმრები ზევით დიდხანს არ დარჩენილან.

ელვასავით გადიოდნენ დღეები, ჩვენი ნეტარი ცხოვრება ჩვენ თითონვე გვეხარბებოდა, მაგრამ ჩამოვიდა მოქანდაკე მერაბიშვილი და იმ დღიდან რამდენადმე შეიკვეცა ის დრო, რომელსაც დიმიტროვი ჩვენთან ატარებდა.

* * *

გ. დიმიტროვმა, ლიკანში ყოფნის დროს, მთელი ბორჯომის ხეობა შემოიარა და სურამშიც იყო. სურამის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს თურმე საბავშვო ბაგისათვის (თუ ბაღისათვის), რომლის საძირკვლის ჩაყრას აპირებდნენ, გიორგი დიმიტროვის სახელი მიენიჭებინათ. ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს იგი და იმ დღეს დილაადრიან მანქანების „ესკორტი" დაიძრა სურამის მიმართულებით. საერთოდ გ. დიმიტროვი მარტო არსად დადიოდა, ვინც მოისურვებდა, ყველა თან მიჰყავდა, მსურველები კი ყოველთვის ბევრი იყო. ამჯერადაც ასე მოხდა.

გ. დიმიტროვი წინა მანქანაში იჯდა. შუაგზას რომ მივუახლოვდით, მისი მანქანა თვალს მოეფარა. შოფერს ეუბნებოდა თურმე — „გარეკე ერთი, გამახარეო".

საბავშვო ბაღის მშენებლობის ადგილას უამრავ ხალხს მოეყარა თავი. დიმიტროვს დიდის ალტაცებით შეხვდნენ, განსაკუთრებით ნიცხოველე დაეტყო შეკრებას, როცა მან ნიჩაბი აიღო, ორმო ამოთხარა და ორი აგური ჩააგდო შიგ — დიდი ტაში და შეძახილები შეიქმნა. შემდეგ იგი სუფრაზე მიიწვიეს.

* * *

დიმიტროვის სანახავად დიდძალი სტუმრები მოდიოდნენ. ჩვენ დაგვამახსოვრდა მარშალ ტუხაჩევსკის ჩამოსვლა; აზერბაიჯანიდან მირჯაფარ მუსაბეკოვი ჩამოვიდა, ეტყობა უაღრესად მხიარული კაცი იყო; მისი მოსვლის შემდეგ სიცილი და სიმღერა არ შეწყვეტილა. საკვირველი ის იყო, რომ პიონერულ სიმღერებს მღეროდა და სხვებიც აიყოლია.

აგვისტოს ბოლოს დიმიტროვი წყალტუბოში უნდა წასულიყო მკურნალობის გასაგრძელებლად (გამოთხოვების საღამოც მოაწყო, სადაც დამსვენებლებთან ერთად დასასვენებელი სახლის მთელი პერსონალი ესწრებოდა, აქ დაბეჭდილი ფოტო ამის შემდეგ არის გადაღებული), მაგრამ მოსკოვში გამოიძახეს (თუ არ ვცდები, კომინტერნის კონგრესი მზადდებოდა) და უმრავლესობისათვის იგი სრულიად მოულოდნელად შუაღამისას წავიდა. ფოტოგრაფთან აფრინეს კაცი, იგი მატარებლის დაძვრის წინ მოვიდა და ძლივს მოასწრო გ. დიმიტროვისათვის ფოტოების გადაცემა, ორი ცალი ექიმ გ. რუსიშვილს მისცა, ამ უკანასკნელმა, ალბათ, დიდი ალელვების გამო ის სურათები იქვე, სადგურზე დაკარგა.

გ. დიმიტროვი ძალიან თბილად დაგვემშვიდობა, ბევრი დასამახსოვრებელი სიტყვა გვითხრა, მოსკოვში მიგვიპატიჟა. მატარებელი რომ დაიძრა, ჩვენ ბორჯომ-ჩარხისწყლის სადგურისაკენ გავეშურეთ. იქ კიდევ ერთხელ შევხვდით მას, ამჯერად უკანასკნელად...

ევგენია კოკოვა (ქართლელი).



კონსტანტინე
ლორთქიფანიძე

# შეხვედრა ტანის პირზე

ერთი თავი მოთხრობიდან

დავჯექი და ვუამბე ჩემი გასაჭირი.

მეოთხე დღეა, რაც ამ ლიმანებში დავეხეტები და გერმანელთა ჰიდროპლანს ვეძებ.

ერთმა თავზეხელაღებულმა მფრინავმა სიცოცხლე გაგვიმწარა. ერთი ჩვენი ნავი და კარჭაპი ზღვაზე არ გააჭაჭანა. თავზე დაგვაცხრება, აამტუტებს ყველაფერს და მერე უტარო დანასავით სადღაც დაიკარგება.

ჩემი ვარაუდით, მისი ბუდე ყიზილ-ქილის მიდამოებში უნდა იყოს. ეს კუთხე სავსეა ტბებითა და ლიმანებით.

გუშინ აქაურობას მაღლიდან დავხედე. ჩამსვეს პატარა თვითმფრინავში, ჩვენები სიყვარულით ლობემძვრალა ჩიტს რომ ეძახიან, და მთელი საათი ცაში წალმა-უკულმა მატრიალეს. საჩემო ვერაფერი დავლანდე. ამოდენა ჩალამკალამში ჰიდროპლანს კი არა, რასაც გინდა, იმას დამალავ.

— რას იზამ, ასეთია ჩვენი ჭალა-ჭაობი! —მითხრა მოხუცმა მებადურმა და თევზები აკრიფა:— გავლა-გამოვლა კი შემიძლია, ჩემო კარგო, არ დაგზარდები! აქ ისეთი ბილიკები ვიცი, ფეხს არ დავისველებ, მთელი დღე რომ ვიარო!

— მიიკითხ-მოიკითხე, იქნებ ვინმემ თვალი შეასწრო აფრენისას.

— ადვილი სამსახურია.

— აგაშენა ღმერთმა! დღეს რა დღეა, ოთხშაბათი, არა? კვირა დილას აქ დაგელოდები, კარგი?

მოხუცმა მებადურმა თავი დამიქნია.

— ახლა მითხარი, ფონი სად არის, მეზარება წყალში ჩასვლა!

— ნუ დაიზარებ! წუხელ იქ მანქანების ღმუილი ისმოდა. ვინმეს არ გადაეყარო!

ჩექმები ერთმანეთზე გადავაბი და მხარზე გადავიკიდე.

— მოიცა, ჩემო კარგო, — შემაჩერა მოხუცმა: — ჩაცმა-დახურვაზე გეტყობა, ნამდვილი არტისტი ყოფილხარ. ვინც შეგხედავს, ყველას ჩვენებური ეგონები, მხოლოდ ეს ქამარი არ მომწონს. აქაური კაცი მაგას არ შემოირტყამს. უეჭველად გამოიცვალე, თორემ ყელი არ გამოგჭრას სადმე!

— გასაგებია.

მოხუცმა გაიღიმა, ეტყობოდა დიდად ესიამოვნა, მზვერავ კაცს ეს პატარა შეცდომა რომ მიპოვნა.

— ახლა კი წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. — მითხრა მან.

ეტყობა, გავცივდი ჭაობებში ხეტიალის დროს, თუმცა გასაკვირი რა იყო, დღეში ერთი ხუთჯერ მაინც გავიხდიდი ჩექმას, რომ შიგ ჩასული წყალი გადამექცია.

დასველებული ხალათ-შარვალი ტანზე თუ შემაშრებოდა, თორემ მზეზე ვერ გავფენდი და ბუხარს ვერ მივეფიცხებოდი. არაფერი არ მტკიოდა, მხოლოდ მახველებდა, მაბლუხუნებდა ერქვლე მეფის დროინდელი ზარბაზანივით. ერთხელ ისეთი წამომაყივლა, ვ:რდენა ჯიშკარიანმა დაფეთებულმა შემომხედა, სული კიდევ შერჩა თუ არაო.

ქვეყანაზე ყველაფერი შეიძლება, მხოლოდ მზვერავი და ხველება კი არა.

ამიტომ ავდექი და ერთი ბოთლი ჭაჭა თავზე შემოვივლე, — მეზობელ დედაკაცს რძეში გავუცვალე. რძის მოყვარული არასდროს არ ვყოფილვარ. დედის ძუძუს რომ მომწყვიტეს, მერე მგონი პირიც არ დამიკარებია მისთვის, მაგრამ ახლა გულაზიზობას ვინ დაეძებდა, ოღონდაც ჩემი და მოხუცის შეხვედრას თავი მობმოდა. ყელზე თბილი შალი შემოვიხვიე და, — გიყვარდეს, ვულაპე და ვულაპე თბილი რძე.

შაბათს საღამოს ისევ გლეხურად მოვიკაზმე, ქამარი გამოვიცვალე და კაპიტან გელოვანს ვეახლე.

გელოვანმა კატერამდე მიმაცილა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— ვაჟკაცი რომ ხარ, არ დაგავიწყდეს! მომიკითხე შენი მოხუცი მებადური.

კატერს გოლიკოვი მეთაურობდა. ხულიერს არავის გაუგია, ისე შემოვუარეთ გერმანელთა საგუშაგოს შულაის კონცხთან და პატარა ლიმანში შევედით.

აქ გოლიკოვმა მთვარის ამოსვლას მოუცადა და როდესაც ლიმანის ნაპირებზე კედელივით წამოყუდებულ ჩალამ-კალამს მოყვითალო შუქი დაეფრქვია, კატერმა გზა განაგრძო.

კარგახანს ვიწრიალეთ ყიზილ-ქილას მიხვეულ-მოხვეულ ტოტებში. მადლობა ღმერთს, წყალი ყველგან ღრმა იყო და გავლა არ გაგვჭირვებია. მხოლოდ ერთგან ჩვენი ნავი მდინარის ფსკერს გაეხახუნა. სანამ გული გადამიტრიალდებოდა, კატერი მეჩეჩიან ადგილს უკვე გასცდა და მორევში შესრიალდა. ერთხელ კიდევ გზა აგვერია და უკან დაბრუნება მოგვიხდა. ამასობაში შუაღამეც გადავიდა.

— აქ ჩადი, ლადო, — მითხრა გოლიკოვმა და კატერი ნაპირს მიაყენა: — წყალი აქ ყველგან გამიშვებს. მაგრამ შეიძლება მოტორის ხმაური გაიგონონ. ხვალ საღამოს გინდა აქ მოვალ, გინდა ბოგასთან დაგხვდები.

— ბოგასთან მირჩევნია, — ვუთხარი მე.

ამიერიდან ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული. ამ ჭაობებსა და საფლობებში ათი-თორმეტი კილომეტრი ფეხით უნდა გამევლო და ეს ამოდენა გზა ისე უნდა მომეთოკა, აბგაში ჩაკეცილ თამბაქოს წვეთი წყალი არ მოხვედროდა. ამჯერად კურჩანკაში ხუთი კილო ფოთლოვანი თამბაქო მიმქონდა, გულჯიბეში კი გერმანელთა ფელდკომენდატურის „საბუთი" მედო; ადიღეელ თალირა ბათაშევს უფლება ეძლევა სანაპირო სოფლებში თამბაქო ჩაიტანოს და ადგილობრივ მცხოვრებლებს ტარანზე და კარტოფილზე გადაუცვალოსო.

სწორედ ამიტომ გამაფრთხილა გელოვანმა, ვაჟკაცი ხარ, არ დაგავიწყდესო.

საბუთი კოხტად იყო გაკეთებული და თუ როგორმე მეთევზეთა სოფელში შევაღწევდი, მერე სადარდებელი ბევრი არაფერი მექნებოდა. ჩემი ქაღალდი ყველგან გასჭრიდა. ამიტომ კურჩანკას ცოტა შორიდან მოვუარე, რომ სოფელში აზოვის მხრიდან შევსულიყავი. აქედან მოსული კაცი კომენდატურას უფრო საიმედოდ ეჩვენებოდა, მისი ვინაობის გამოკვლევას გერმანელები თავს არ მიაკლავდნენ.

გათენებისას, როგორც იქნა, დანიშნულ ადგილს მივაღწიე და ბუჩქებში ჩავჯექი.

წყნარი, მზიანი დილა გათენდა. გვიანმა შემოდგომამ იცის ასეთი სიწყნარე და მყუდროება. როველი რომ მოთავდება, მერე რაღაც უცნაური სიჩუმე ჩადგება ჭალებსა და ბალ-ვენახებში. ჩადგება იმიტომ კი არა, რომ იქ კაცი არსად ჭაჭანებს და ჩიტების ჟივილ-ხივილი აღარ ისმის.

მე მუდამ ისეთი გრძნობა მქონდა, ამ სიჩუმეს ნაყოფისაგან დაცლილი ბუნება ბადებდა. სიცარიელეს მუდამ თან ახლავს სიჩუმის შეგრძნება.

კარგახანია მზე ამოვიდა, ძალა კი აღარა ჰქონდა. ცივად ბზინავდა დაცვარული ბალახი, მდინარეს ისევ მოჰქონდა ღამიდან გამოყოლილი სიგრილე.

დაწმენდილ წყალში თეთრი ბუმბულა ღრუბლები ისე მკაფიოდ სჩანდა, როგორც სარკეში. საიდანღაც ღვინის კასრების სუნი მოდიოდა, საიდან — აზრზე ვერ მოვედი.

დაკვირვებული ვარ, ამ ჭაობებში რაგინდ უქარო ამინდი არ უნდა იდგეს, ეს შეყვითლებული, მტვრიანი ჩალამ-კალამი მუდამ იხრავს და შრიალებს.

გოლიკოვმა მითხრა, წყლის სუნთქვა აშრიალებსო. შეიძლება ეგრეა, არ ვიცი. მხოლოდ ცოტახანს ყური დაუგდე და მართლა გაოცდები: ხეზე ფოთოლი არ ირხევა, ეს კი შრრ და შრრ... გათენებიდან გათენებამდე. რამდენჯერ შემშინებია, ვიღაცა მოდის-მეთქი.

მოშუადღევდა. მოხუცი მებადური აღარსად სჩანდა. უთუოდ რაღაცამ ხელი შეუშალა და ვერ მოვიდა, მატყუარა კაცს ის არა ჰგავდა. წასვლა დავაპირე. ვერ წავედი, მხოლოდ ადგილი გამოვიცვალე, რომ თვალს მეტი სარბიელი ჰქონოდა.

ბუს შეშურდებოდა, ისეთი მახვილი სმენა მქონდა, მაგრამ ამ ბერიკაცმა სეირი მიყო: ისე ჩუმად მომეპარა, ჩემმა გულმა ერთი ზარი არ ჩამოჰკრა.

— აქა ხარ, ქართველო? — გავიგონე მისი ბოხი ხმა.

თავი წამოვწიე. მოხუცი მებადური მაინც ვერ დავინახე. ცკალ-ბარდი ეფარებოდა. ერთბაშად არ შევეხმიანე, ახლო-მახლო სხვა არავინ იყოს მეთქი.

მოხუცი მებადური მაყვლის ბარდებში იდგა, ზურგი ჩემსკენ მოექცია და მდინარის პირს გაჰყურებდა.

სამგზავროდ იყო გამოწყობილი. ძველი დაბამბული ქურთუკი და გაქუცული მაუდის შარვალი ეცვა. მუხლის-თავებზე დაკერებული ყვითელი ტყ:ვი სიძველისაგან უკვე გადამსკდარიყო, ნასკდომის თავები წვრილი მავთულით ერთმანეთზე გადაება.

ახლავე დაძველებოდა ყელჩაკეცილი რეზინის ჩექმები, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საზამთრო ტანსაცმელს საოცრად შეეცვალა მისი შესახედაობა. ახლა ეს ბერიკაცი არც ისე უმწეოდ გამოიყურებოდა, როგორც პირველი შეხვედრის დროს მომეჩვენა. ამან ძალიან გამახარა.

— აქა ვარ, გამარჯობა!

ჟიგა სწრაფად მოტრიალდა (სწრაფად — ესეც მესიამოვნა).

— გამარჯობა, გამარჯობა! — მითხრა მან და ჩამოსართმევად გაწვდილ ხელს ორივე ხელი შეაგება. მისი კოჟრიანი თითები ბებერი ვაზის ნასხლავსა ჰგავდა: — დიდი ხანია მიცდი? რა ვქნა, უფრო ადრე სახლიდან ვერ გამოვეტიე. თუმცა კარგი ამბავი მაინც ვერ მოგიტანე! ვერ ვიპოვნე ის შენი გიდრაპლანი. ვისაც არ ვკითხე, ყველამ ასე მითხრა, ტბაზე დამჯდარი არსად გვინახავს, ისე კი თავზე ხშირად დაგვბზუისო...

— დიდი მადლობა ძიაკაცო, ბევრი გაგხარჯე! წავალ ახლა, ღამე ჭალებში გავივლი, თორემ ჩემს კაპიტანს „არა" და „ვერა" არ უყვარს!

— მოიცა ბიჭო, ერთი საწყენი ამბავი კიდევ უნდა გითხრა!

— წყენას კი ვარ შეჩვეული. მითხარი!

— იცი რატომ დავიგვიანე? გუშინ ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი მეწვია...

— ვინ არის!

— არ დაიჯერებ, რომ გითხრა! ქართველი ბიჭია!

— ქართველი?! საიდან სადაო!

— მთელი სოფელი სავსეა ქართველებით...

— ტყვეები მოიყვანეს?

— ყოფილი ტყვეები!

— როგორ თუ ყოფილი?

— როგორ და, ეტყობა, სული ეშმაკს მიჰყიდეს! გერმანული ფორმა ჩაუცვამთ, გერმანული იარაღი აუსხამთ და თვალებს ფილტრიალებენ!

— მომკალი და ამას ვერ დავიჯერებ! — ვთქვი მე.

— აბა რას გეუბნებოდი, საწყენი ამბავი უნდა გითხრა-მეთქი! ქართველ... არიან... გერმანიას ქართული ლეგიონი შეუდგენია და კავკასიაში გამოუგზავნია. გუშინწინ ლიმანზე გადმოვიდნენ და ხუტორებში დაბინავდნენ. ჩვენი სოფლის მამასახლისმა სამი კაცი მომაყენა კარზე. გაიარ-გამოიარეს, ეზო-გარემოს გახედ-გამოხედეს, ეტყობა, ჩემი სასახლე არ მოეწონათ და წავიდნენ. საღამოს კი ენ ბიჭი ისევ მოვიდა, თავისი ბარგი-ბარხანა ტახტზე დაყარა და მითხრა:

— არ ვიქნები ცუდი მდგმური, ეგრე დაბღვერილი ნუ მიყურებო!

ვერ მოვითმინე და ვუთხარი: „ — შე კაი კაცო, მკვდარი ხომ არა ვარ, თვალები დავხუჭო-მეთქი!"

„ო-ო, ფიცხი კაცი ყოფილხარ, მამობილო, მაგრამ ნუ გეშინია, მე და შენ მოვრიგდებითო".

ერთი კი შევხედე იმ გველის წიწილას და გავჩუმდი. მხოლოდ გავაფრთხილე, უქალო ოჯახში ცხოვრებას არ გირჩევ, ბატონო სალდათო, დამლაგებელი და კერძის გამკეთებელი არავინ გეყოლება, შენი მასპინძელი თვითონაა საპატრონო და საკადრისად ვერ მოგხედავს-მეთქი...

ხელი ჩაიქნია და იცი რა მითხრა?

„ძაღლურ ცხოვრებას დიდი ხანია მივეჩვიე, იოლად წავალო"... მერე ფეხზე გაიხადა და ძილად მიეგდო.

ამ დილას გავიღვიძე თუ არა, ჩაიდანის თუხთუხი გავიგონე. იმ ბიჭს სუფრა გაეშალა. პური, ძეხვი, ღორის ქონი თეფშებზე კოხტად დაეჭრა და ჩემს გაღვიძებას უცდიდა. დამპატიჟა, მოდი, ერთად ვისაუზმოთო, ამიტომ დამაგვიანდა!

გამაოცა მოხუცი მებადურის ნაამბობმა. ეს რა ქართული ლეგიონი გამოიგონეს გერმანელებმა? საიდან გაჩნდა იგი კავკასიონის მთისძირებში, სწორედ ჩვენი ქართული დივიზიის პირისპირ!

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ასეთი მზაკვრობა შეიძლებოდა, ეს კი აღარ მეგონა...

გაბრუებული ვიდექი ბარდებში და თავი მისკდებოდა, არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. ყველაფერს თავი მივანებო, დავკმაყოფილდე მოხუცი მებადურის ნაამბობით და ახლავე ნაწილში დავბრუნდე...

თუ გავბედო და...

— ახლა სად იქნება ის ბიჭი? — ვკითხე ბერიკაცს.

— შინ დავტოვე. კვირადღეს ისვენებენ.

— შენი ჭირიმე ძიაკაცო! ხედავ, როგორ ყირაზე დადგა ყველაფერი! რადაც უნდა დამიჯდეს, ის შენი მდგმური უნდა ვნახო! ერთი უნდა დაველაპარაკო!

— გასაგებია, ბრმა კი არა ვარ! — მითხრა მოხუცმა: — ვიცი, რასაც აპირებენ ეს მუდრეგები!

აქაური სოფლები ყველანი ერთმანეთსა ჰგვანან. ერთი გრძელი ქუჩა და გათავდა: არავითარი მისახვევ-მოსახვევი, არავითარი ბილიკი და გზაჯვარედინი... სახლები, დუქნები, კლუბი და კანტორა, საწყობი თუ ეკლესია — ყველა შენობა ამ ერთი ქუჩის შემკულია. და ფვითი სოფელიც ისე მოულოდნელად იწყება და თავდება, თითქოს თავი და ბოლო ჩამოუჭრიათო.

კურჩანკელი მეთევზეები კი ტბის გარშემო დასახლებულიყვნენ. ეს ტბა ოდესღაც ზღვის უბეს [illegible] და [illegible] მოსაზრებებლად საუცხოო ბუნებრივ აუზად ითვლებოდა. მეთევზეებმა პატარა არხი გათხარეს და ეს მკვდარი ტბა ყიზილ-ქილას შეუერთეს, რომ ქვირითის ყრის დროს თევზი ზღვიდან ტბაში შემოსულიყო.

მეთევზეების უკანა ეზოები ტბას გადაჰყურებდნენ. წყლისპირზე ყოველ მოსახლეს სარეცხის პწკალა და ნავის მისადგომი ბოგა ჰქონდა მოწყობილი.

მოხუცი მებადური ხის პატარა ეკლესიის გვერდით ცხოვრობდა. ჩვენებური მეთევზეები წირვალოცვის მოყვარული ხალხი არასდროს ყოფილაო, მიამბობდა მოხუცი. ღვთის სახლი დიდი ხანია გააუქმეს და მიივიწყეს, უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია მალე გაპარტახდა, თუმცა ხალხი აქაურობას მაინც ეტანებოდაო. მოლი ყველგან მოლია, მაგრამ ეკლესიის ეზოში რომ მოლი ბიბინებს, უკეთესი ნუ გინდა — გული არ გაგიშვებს, რომ ფეხი დაადგა და გათელოო.

მაისობა იყო თუ ოქტომბრობა, კვირაცხოვლობა თუ უბრალო კვირაძალის ცეკვა-თამაში, ყველა დღეობა ეკლესიის ეზოში უნდა გადაგვეხადაო. ჩემი უფროსი ვაჟი რომ დავაქორწილეო, მითხრა მოხუცმა მებადურმა, სიგრძეგაუზომელი სეფა სწორედ აქ, ეკლესიის ეზოში გავშალეო...

გერმანელები რომ შემოვიდნენ, სოფლის მამასახლისმა ეკლესია შეაკეთა, მორღვეულ-მონგრეული კარ-ფანჯარა გამოცვალა. გუმბათი შეღება, მერე საიდანღაც მღვდელი ჩამოიყვანა და ახლა ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში წირვა იდგა.

სოფელში ყველას ეშინოდა, გერმანელებმა ურმერთობა არ დაგვწამონ და რაიმე შარი არ აგვიტეხონო. ამიტომ ეკლესიის ეზოში ხალხი მუდამ ირეოდა, მორწმუნეც და არამორწმუნეც.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მოხუცი მებადურის სახლიდან არამც თუ ლეგიონერს, ქათამს ვერ გავაპარებდი.

— ისევ დაღამებას უნდა მოვუცადო!

— ასე აჯობებს, — დამეთანხმა მოხუცი მებადური და მაშინვე წავიდა. მხოლოდ ეს დამიბარა, პირადობის მოწმობას მაინცდამაინც ნუ დაენდობი და სოფელში ნუ გამოჩნდები, ისევ ამ ბურდებში დაიმალე და საღამოს მოგაკითხავო...

ჟიგას ნათქვამს თუ დავუჯერებ, აქ ამ დღეებში საზიზღარი ამბავი უნდა დატრიალდეს. ამიტომ მოხუცი მებადურის მდგმური იმად კი ღირდა, ბევრი ჯანჯალი არ დამეწყო. უკეთესი მაცნე და მოამბე ღმერთმა შეარცხვინოს! ეს კაცი როგორმე ცოცხალი უნდა ჩავაბარო კაპიტან გელოვანს — ღამე უნდა გავიყვანო, სადაც გოლიკოვის კატერი მიცდის...

ძნელ საქმეს შევები, არ შეიძლება ამოდენა გზაზე სადმე ფათერაკი არ წამეკიდოს! უკან მაინც ვერ დავიხევ.

დავწუხდი, ეს რომ გადავწყვიტე. ისეთი შეგ-

ბა ვიგრძენი, თითქოს ეს ლეგიონერი უკვე ხელთა მყოლოდეს.

ბარდებში შევძვერი და სასთუმალი გავიწყე.

უმთვარო ღამემ ხელი შეგვიწყო და ბევრი დავიდარაბა არ დაგვჭირებია: ნახევარ საათში მოხუცი მებადურის ეზოში ვიყავი. აქ მომიცადეო, მითხრა მასპინძელმა და სახლში შევიდა.

მალე დაბრუნდა.

— ტკბილად სძინავს, არც გაუგია, რომ შევედი!

— იარაღი?

— ვერ ვიპოვე, სასთუმალში თუ უდევს. ვნახო?

— არ უნდა. აწი მე მაცალე.

მოხუცმა მებადურმა მაჯაში ხელი მომკიდა და წინ გამიძღვა. სუნით მივხვდი, სამზარეულოში შევედით.

კარის ჭუჭრუტანაში სინათლე გამოდიოდა, იმ კართან გამაჩერა და მითხრა: — აქ არის, მხოლოდ იცი რა? — დაიწყო და აღარ დაამთავრა. მეც აღარ მივეძალე. ერთი სული მქონდა, სანამ ოთახში შევიდოდი.

ლეგიონერს ეძინა.

დედის მუცელში ბავშვი რომ არის, ისიც ასე საცოდავად მოკუნტულიყო კედელთან მიდგმულ ტახტზე: ხელები გულში ჩაეკრა, ზედ ნიკაპი დაედო და ჩუმად სრუტუნებდა.

სა[illegible]ლზე მაინც ვერ ეტეოდა, ისეთი ზორბა ტანისა იყო. შევხედე თუ არა, ფიქრმა გამკრა: „ხომ ჩ[illegible]ქცა ლვინჭიპა ლადო-ჩემო, თუ ეს დონდროხა ბიჭი ნებით არ წამოგყვა და ზურგზე წამოკიდება დაგჭირდა!“

პერანგის კალთა აჰკეცოდა. თვალში მომხვდა თეთრი მსუქანი ფერდი. შიშველ ტერფებზე მუქი ნაცრისფერი ბრიჯის პაჭანაკები უჩანდა. ცალი ჩექმა შუა ოთახში ეგდო, ცალი კი ტახტზე იყო მიყუდებული. სელის ძველებურ სკამზე გერმანელი ჯარისკაცის მუნდირი ეკიდა. საყელოზე ჩემთვის უცნობი ვარდისფერი ნიშანი ეკერა.

სანამ ახლოს არ მივედი, პირისახე კარგად ვერ გავარჩიე, მუნდირის ჩრდილი ადგა. აქედან მხოლოდ ნიკაპი დავინახე, ორი დღის გაუპარსავი შავი ნიკაპი და მზეზე დამწვარი ყელკისერი.

მივიხედ-მოვიხედე. ორივე ფანჯარაზე სქელი ჰილობის ნაჭერი იყო ჩამოფარებული. დიდი ჩამოსაკიდი ლამპა ოთახს კარგად ანათებდა. (გამახსენდა მოხუცის ნათქვამი, ჩემმა მდგმურმა მთელი კანისტრა ნავთი მოიტანაო). ფანჯარასთან ნაჭედი ზანდუკი იდგა, იქვე — პატარა მაგიდა, ფერგადასულ მუშამბას შავი დიდრონი ბუზები დახვეოდნენ. სანამ ოთახს ვათვალიერებდი, მოხუცი მებადური კართან ატუზულიყო და, სუნთქვაზე ვატყობდი, ცოტას ღელავდა.

— შენ აქ მომიცადე, არ შემოხვიდე! — გავაფრთხილე იგი და ჯიბიდან რევოლვერი ამოვიღე.

ბერიკაცმა სწრაფად წამჩურჩულა:

— არ მოჰკლა, შვილო... ეცადე, არ მოჰკლა! — ეს მითხრა და გზა მომცა...

მაშინღა მივხვდი, წეღან სწორედ ამის თქმა უნდოდა მოხუც მებადურს, მაგრამ ვერ შემბედა...

ეცადე, არ მოჰკლაო! გერმანელებმა კი თვალწინ მოუკლეს ამ უბედურს ყველაზე საყვარელი ადამიანი.

ეძინა. ძილში ჩუმად სრუტუნებდა. მხარზე ხელი რომ დავკარი, იგი არც განძრეულა. მერე კი მაგრად შევანჯღრიე — გულზე მიხუტებული ხელი გაშალა და ტახტზე უღონოდ გადმოჰკიდა. გაღვიძებით მაინც არ გაიღვიძა.

„მთვრალია თუ რა მოუვიდა!“ ეს რომ გავიფიქრე, იმწამსვე რახის სუნი მეცა.

რა თქმა უნდა, მთვრალია, არყითაა გახეთქილი.

წეღან, ეტყობა, ძარღვები დაწყვეტაზე მქონდა; ცოტახნით ყნოსვამ მიღალატა და რახის სუნი გამომეპარა.

ბალიშის ყური ავუწიე. პატარა შავი ავტომატი, როგორც შავი გველი, ლეიბში ჩაფლულიყო. ლეგიონერს ჯიბეები გავუსინჯე. საყურადღებო ვერაფერი ვიპოვე. სამაგიეროდ საველე ჩანთაში წერილებისა და სურათების მთელი დასტა აღმოვაჩინე. ავტომატი და საველე ჩანთა ერთად შევკარი და ისევ მძინარეს მივუბრუნდი, ერთი-ორჯერ კიდევ შევანჯღრიე. ვითომც არაფერი. რაღაც დაიზმუვლა, ერთი კი წამოიწია და თავი უღონოდ მოსწყდა ბალიშზე.

— ძიაკაცო! — გავძახე მოხუც მებადურს. იგი მაშინვე შემოვიდა. ეტყობა, კართან იყო მოყურადებული.

— წყალი მომიტანე!

სავსე კარდალა მომიტანა. ვასხი და ვასხი ცივი წყალი თავსა და გულმკერდზე, მთლად გავწუწე ის არსაქნელი ბიჭი. შენც არ მომიკვდე, მხოლოდ კბილები გააკრაჭუნა და გულალმა გაიშხლართა, ფეხები საწოლს გადააცილა.

— ვაი ჩემი ბრალი! მეგონა, წინ გავიგდებდი და თავისი ფეხით მივაბრძანებდი საბრძანებელში! ახლა კი, ეტყობა, სანამ სოფელს არ გავსცდები, ზურგით უნდა ვათრიო ამოდენა ლეში! ბაწარი გაქვს?

ხელ-ფეხი შევუკარი — გინდა სავსე რუმბი გამეკოჭოს! ერთი ხმა არ გაუღია, რას მიშვრებითო. ამას რომ მოვრჩი, ბერიკაცს ვუთხარი, წადი, გაიხედე, ქუჩაში არავინ იყოს-მეთქი.

არ გამიგია, როდის გაიღვიძა.

ის-კი იყო, მისი საველე ჩანთა მაგიდაზე დავცალე და ფოტოსურათები გადავარჩიე, რომ უეცრად ტანმა მიგრძნო: ის მიყურებდა.

მოვიხედე.

კინაღამ გამეცინა, ისეთი გამოთაყვანებული თვალებით მომჩერებოდა.

ეტყობოდა, ჯერ ისევ ძილღვიძილში იყო. ხელფეხი შეკრული რომ ჰქონდა და განძრევა არ შეეძლო, ეს ალბათ კოშმარულ სიზმრად ეჩვენებოდა.

გულში უთუოდ უხაროდა, საცაა გავიღვიძებ და ის მტანჯველი სიზმარიც გაჰქრებაო.

თვალები დახუჭა. მალე ისევ გაახლო და ისევ უაზროდ მომაჩერდა. თანდათან გონს მოვიდა, თვალებში ჯერ გაკვირვება ჩაუსახლდა, მერე კი შიში მოერია.

შიში. ამით შევატყე, რომ ის უკვე გამოფხიზლდა და ქართულად ვუთხარი:

— ხმა არ გცოდნია, ბიჭო! შეიძლება ასე გალეშვა?! უფროსმა რომ გნახოს, რას გეტყვის?!

წამოიწია, მაშინღა დაინახა, რომ შეკრული იყო და სუნგალი გაიწყვიტა... ცოტა ხანს მიყურა, მიყურა და ბოლოს მკითხა:

— ასეა საქმე?!

თითქოს შიში გაუნელდაო, ეგ ორი სიტყვა ისე აგდებულად მითხრა.

— ასეა. ახლა ადექი და უსიტყვოდ წამომყევი. ბევრი არ მახვეწნინო, თუ ღმერთი გწამს!

— ჯერ ფეხები გამიხსენი, შე კაი-კაცო, სასეირნოდ მერე წამიყვანე! — იმავე კილოთი მითხრა მან.

გამიკვირდა, რომ ჩემი მუქარა არაფრად მიიჩნია და თითქოს ცოტა კიდეც დაწყნარდა. დავიჯერო, ასე მობეზრებული აქვს სიცოცხლე!

სამი წელიწადია მზვერავად დავდივარ, არაერთი მოამბე ჩამიგდია ხელში, სხვისი დატყვევებულიც ბევრი მინახავს, ამიტომ კარგად ვიცი, როგორ იქცევა კაცი ასეთ დროს, ხელფეხშეკრული მიწაზე რომ აგდია.

ერთი ჩუმად იბლვირება, მეორე კი საწყლად მოგჩერებია და ცახცახებს. არიან ისეთებიც, ბრაზისაგან მიწაზე თავს რომ ურტყამენ და დედისსულს გიტრიალებენ...

ამ ბიჭმა კი ხუმრობა დამიწყო, სასეირნოდ მერე წამიყვანეო.

საკვირველია.

მივედი, ფეხები შევუხსენი და ჩექმა მივუტანე.

— ჩაიცვი.

— ვინა ხარ, ეს მაინც მითხარი! — მკითხა მან.

დასამალავი რა მქონდა. პირდაპირ ვუთხარი, რომ წითელი არმიის სერჟანტი ვიყავი.

— აქ საიდან გაჩნდი!

— მე ვარ, ბიჭო, დასაკითხი თუ შენ!

ამ დროს მოხუცი მებადურიც შემოვიდა.

— გაიღვიძა? მადლობა ღმერთს, გზაში წელი მაინც არ მოგწყდება!

— ჩქარა, ფეხი გაუყარე! — ვუთხარი მე, თუმცა ხელებშეკრულ ადამიანს მეტი რა სიჩქარე უნდა გამოეჩინა!

— მოიცა, სერჟანტო, რაღაც უნდა გითხრა, გამიგონე!

— გამგონი შენ იქ გიცდის, იმას ეტყვი ყველაფერს.

— იქ შეიძლება გვიან იყოს! მერე სანანებლად არ გაგიხდეს, ორი სიტყვა რომ არ მათქმევინე!

— სიტყვას კი არა, შარშანდელ სიზმარს გათქმევინებენ!

— მე არ გეხუმრები, სერჟანტო. დაჯექი და ყური დამიგდე! მერე თუ გინდა, აქვე გამათავე!

— მინახავს შენისთანა დევგმირი!

— რამ გადაგრია, კაცო?! არ გატყუებ, იცოდეს ღმერთმა.

— გზაზე მითხარი.

— გზაზე გვიან იქნება!

— ადექი, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— წავიდეთ, რა გაეწყობა, ძალა შენს ხელშია!

კიდევ,

ერთხელ კიდევ გამაოცა მისმა ხმამ. ახლა ამ ბიჭის ხმაში დიდი სინანული ამოვიკითხე, სინანული იმის გამო, რომ ეგრე უნდობლად მოვეკიდე და სახვეწარი არ შევუსრულე.

აქამდე მისი ყოველი სიტყვა ცბიერობად მივიჩნიე. სხვა რა უნდა მეფიქრა ამ პირობებში! „დრო უნდა მოიგოს, რომ ამ ოთახში დამათენდეს. მერე კი უჩინ-მაჩინის ქუდიც რომ დავიხურო, ამას სოფლიდან ვერ გავიყვან. ამიტომ მოიგონა რაღაც სათქმელი და საეშმაკო!“

ეტყობა, მოხუცი მებადურიც ჩემსავით ფიქრობდა, ერთი-ორჯერ თვალი ჩამიკრა, არ დაუჯეროო...

ახლა კი ცოტა დავიეჭვე: იქნებ მართლა ისეა საქმე, რომ სწორედ აქ, ამ ოთახში უნდა გაირკვეს გასარკვევი... აჩქარებით საქმე არ გავაფუჭო.

ლეგიონერს გადავხედე.

ის უკვე ფეხზე იდგა. მოხუცმა მებადურმა ამოჩაჩული პერანგი გაუსწორა, მერე მუნდირი წამოასხა და ჯიბეში სათუთუნე ჩაუდო.

— მზადაა, — სთქვა მან.

ამ სიტყვაზე ლეგიონერმა ჩუმად ჩაიცინა და მასპინძელს მიუბრუნდა:

— სული წაიწყმიდე, მოხუცო, სტუმარი კაცი გაეცი?!

„სულელია ეს მუდრეგი, თუ რა აცინებს!“ გამიელვა თავში.

— შენ რომ კაცი იყო, ემაგ ფორმას არ ჩაიცვამდი! ახლა მეტი არაფერი მითხრა, თორემ...

მოხუცმა მებადურმა სიტყვა არ დაამთავრა...

შევხედე, ტუჩ-კბილი უთრთოდა. ვერ გავიგე, გული ამოუჯდა თუ ბოღმა მოერია.

— ენა ნუ წააგდე, ბიჭო! — გავუწყერი ლეგიონერს, თუმცა მისმა კადნიერმა საყვედურმა წეღანდელი ეჭვი უფრო გამიძლიერა. ერთხელ კიდევ მაფიქრებინა, რომ ეს ბიჭი ახლა არ ეშმაკობდა.

რაკი ერთხელ დავიეჭვე, მერე ყველაფერი იმ ბიჭის სასარგებლოდ მობრუნდა: ახლა უკვე მომეჩვენა, რომ იგი არა ჰგავდა მახეში გაბმულ კაცს, ათასი ხრიკი და მზაკვრობა რომ სჭირდება თავისი ტყავის გადასარჩენად. ამიტომ ჩემს გეშს, ჩემს გამოცდილებას დავენდე, სკამზე დავჯექი და ლეგიონერს ვუთხარი:

— აბა სთქვი, რა გინდა!

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ლია ჭავჭავაძე

## ნევასთან

გადაიფრინენ მწვანე მერცხლები,
მზიან ქუჩაში დროშა მიაქვს კაცს.
ვიღაცა ითვლის მსუბუქ ნაბიჯებს,
მზიან ქუჩაში დროშა მიაქვს კაცს.
ეს ნაბიჯები ცოცხლისას არ ჰგავს,
რად უყურებენ გაოცებით მგზავრს?
ვით ვარდისფერი ციცინათელა,
მზიან ქუჩაში დროშა მიაქვს კაცს.
შავი ტყვიებით აკიჟლებული,
გამარჯვებული დროშა მიაქვს კაცს.
და ვარსკვლავებით სავსე მდინარე,
გულში იხუტებს გაბრწყინვებულ ცას,
წმინდა მდინარის და წმინდა გემის
სიმღერა ესმის გათოვლებულ მგზავრს,
არც მოჩვენება და არც აჩრდილი,
მზიან ქუჩაში დროშა მიაქვს კაცს,
ეს — წინაპარი მოდის ზეიმზე
თაყვანი ეცით, თაყვანი იმ კაცს...

## საღამო ისაკის ტაძართან

სადღაც ნევაზე, ნავის რწევაზე,
ისევ წვეთავს მზე.
ზარი ფარული, შემოპარული,
რეკავს და რეკავს სადღაც, ნევაზე.

და აჟრიალებს რკინის სამრეკლოს,
რეკავს ზარი და წვეთავს ცხელი მზე.
რამ გამახსენა ანნა სნეგინა
ძალიან შორით, სადღაც, ნევაზე.

ან ტატიანა და ონეგინი,
რამ გამახსენა, სადაც წვეთავს მზე,
და აჟრიალებს რკინის სამრეკლოს,
სადღაც, ნევაზე, ნავის რწევაზე...

შენ დაგინახეს ვაზის რტოებით,
ოქროს საწმისის ნაზი მფლობელო,
ჩემო ცისფერო განმარტოებავ,
გიმღერს ქართული საგალობელი:

— არ შეისუდრო სუროს სუდარით,
მოხილო მზის და მთვარის ფერებით,
ბალღისნაირი ჩუმი მუდარით,
მოგძახის გრემი და გეფერება.

არ გადაშენდე ქვეყნად უჩუმრად,
არ თქვან — დაშრაო და ვერ იღელვა,
სახსოვარია ყველა ჩურჩული,
სახსოვარია ყველა სიმღერა.

სულო, სასწაულს შენგან მოველი,
წითელ ვარდებად სივრცე გახსენი,
ისე აღმოთქვი სიტყვა ყოველი,
როგორც სიმღერა უკანასკნელი.

* * *

მე მჯერა შენი,
მე მჯერა შენი,
როგორც არასდროს, მე მჯერა შენი,
მე მჯერა შენი ფოთლების ცვენის
და, მოალერსე ზედაზნის ქარის,
მე მჯერა შენი კვირტების ფერის
და გაზაფხულის ცისფერი მთვარის;
მე მჯერა შენი ვარდების ფენის,
მე მჯერა შენი სამატეს ზარის,
მე მჯერა მთათა უკვდავი ზარის,
კლდეებს ჩურჩულით, რომელიც მისდევს,
და შენსკენ მოდის,
რამეთუ ისევ,
ხარ მისი ბედი,
ხარ მისი ბედი,
მე მჯერა შენი,
და შენ გენდობი,
როგორც გენდობა ცხოველი სვეტი...



# შრომები აღმოსავლეთის ისტორიაზე

სულ ახლო ხანში ჩვენი ხალხი აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს. ეს არის ზეიმი მთელი საბჭოთა კულტურისა, რომელიც სულ ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს.

არ არის მეცნიერების არცერთი დარგი, სადაც ჩვენს უნივერსიტეტს თავისი სიტყვა არ ეთქვას, არც ერთი სფერო, სადაც მას არ გაემდიდრებინოს მსოფლიო მეცნიერების საგანძური.

ეს ითქმის კერძოდ აღმოსავლეთმცოდნეობაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის კედლებში შეიქმნა ნაშრომები, რომელთაც შუქი მოჰფინეს აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და აღმოსავლური ფილოლოგიის მრავალ, მანამდე ბნელით მოცულ საკითხებს. ქართველ ორიენტალისტთა სახელები ცნობილია ყველგან, სადაც კი ამ საკითხებს იკვლევენ.

ამას წინათ გამოვიდა თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 118-ე ტომი (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია; რედაქტორი — დ. კობიძე). იგი მიეძღვნა აკადემიკოს ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავს; კრებული იხსნება ს. ჯიქიას წერილით, რომელიც ეხება მხცოვანი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას; ავტორი აღნიშნავს, რომ ა. შანიძის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ქართული ფილოლოგიის დარგში, „ეპოქის შემქმნელი შინაარსისაა“, და რომ განუზომელია მისი ღვაწლი ქართული ენის ისტორიის შესწავლის, საერთოდ, მშობლიური კულტურის განვითარების სფეროში. ს. ჯიქია ღრმად აშუქებს დიდი მეცნიერის განვლილ, მეტად რთულსა და ნაყოფიერი ძიებით აღსავსე გზას.

ამ წერილს მოსდევს ნაშრომები ციკლიდან — „აღმოსავლური ფილოლოგია“; აქ წარმოდგენილია ალ. ბარამიძის, ვ. აბაევის, პ. ხუბუტიას, დ. კობიძის, გ. ახვლედიანის, ჯ. გიუნაშვილის, კ. ფალავას, დ. ომიაძის, ვ. ჯანგიძის და სხვათა ნაშრომები; აღმოსავლეთის ისტორიიდან გამოქვეყნებულია ვ. დონდუას, ო. ცქიტიშვილის, ბ. კობახიძის, მ. ტიკაძის, ვ. ჩოჩიევის წერილები. კრებული მთავრდება განყოფილებით „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კრებული საინტერესოა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო მასისათვისაც, ვინაიდან საქართველოს მუდამ ახლო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის ხალხებთან, მათს კულტურასთან.

კრებულში აღძრული საკითხები იწვევენ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის ღრმა ინტერესს. მაგალითისათვის აქ დავასახელებთ თუნდაც ამ კრებულში დაბეჭდილ წერილს „ქართველი მწერლების სპარსული თარგმანები“. დ. კობიძე ამ წერილში იხილავს რა მორთეზა ფათემის თარგმანებს ქართული ლიტერატურიდან, აყენებს საკითხს, რათა უნივერსიტეტის და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა სათანადო კონსულტაციები გაუწიონ უცხო ენებზე მთარგმნელებს. „სათარგმნი მასალა (მოთხრობა თუ პოემა) გულდასმით უნდა იქნას შერჩეული და კარგად აწონილ-დაწონილი იმ თვალსაზრისით, რამდენად საჭირო და სასარგებლო იქნება ქართული კულტურისათვის მისი სპარსულად გადათარგმნა. ამასთან ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, თუ რას შესძენს, ამა თუ იმ თხზულების თარგმანი ირანელ მკითხველს ქართველი მწერლების შემოქმედებისა და ყოფა-ცხოვრების გაცნობის თვალსაზრისით“. ამიტომ ავტორი მოითხოვს, რათა უცხო ენებზე ქართული მწერლობის ნიმუშები დიდი პასუხისმგებლობით და შერჩევით ითარგმნოს.

კრებულში დაბეჭდილია ო. ცქიტიშვილის „სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ“, სტატიაში მოცემულია თვით ტექსტი, მისი ქართული თარგმანი და შენიშვნები. ტექსტი შეიცავს ცნობებს დიდგორის ბრძოლაზე, დავით აღმაშენებლის დიდ სამხედრო ღვაწლსა და პოლიტიკურ გამჭრიახობაზე; წერილის პირველ ნაწილში ავტორი ეხება ამ საკითხის ისტორიას.

ამ მოკლე საინფორმაციო ხასიათის წერილში შეუძლებელია ყველა ნაშრომის ჩამოთვლაც კი. ვიტყვით მხოლოდ ზოგადად, რომ ეს ნაშრომები აღძრავენ და აშუქებენ ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის მრავალ საყურადღებო საკითხს.

ვლ. ჯიბუტი.



## ყავისა და პომიდორის ომები

ყავა და ომი?.. რა შეიძლება იყოს საერთო ამ ორ ცნებას შორის? მაგრამ კაპიტალიზმის მგლური კანონების დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ალბათ გინახავთ ლითონის პატარა, კოხტა კოლოფები, რომლებზეც გამოხატულია ფრთებით თავშემკული ბელადი ინდიელი ტომებისა. კოლოფს აწერია: „კასიკე, სუფთა ბრაზილიური ყავა“, და შემდეგ: „ჩაყარეთ ერთი კოვზი ფხვნილი ერთ ჭიქა ადუღებულ წყალში“ და ა. შ.

ომი რაღა შუაშია?

არც ისე დიდი ხნის წინ ბრაზილიურმა ფირმამ, „კასიკემ“ თავის ქვეყანაში პირველმა დაიწყო ამ ე. წ. „ხსნადი ყავის“ წარმოება. ამ საწარმოს ამოქმედება მთელს ბრაზილიაში აღინიშნა თითქმის როგორც ეროვნული დღესასწაული.

ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

ამჟამად ბრაზილიის საწყობებში ინახება 65 მილიონამდე ტომარა, სავსე ყავის ოქროსფერი მარცვლებით. ამ დასაქონლებული ყავის რაოდენობა ცხრაჯერ აღემატება იმ რაოდენობას, რასაც ყოველწლიურად მოიხმარს ქვეყანა და ერთნახევარჯერ იმ რაოდენობას, რაც მსოფლიოს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ბრაზილია ზეიმობდა: ბოლოსდაბოლოს გამოძებნილი იქნა საშუალება იმისა, რომ რეალიზებულ იქნას მისი მთავარი ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც ქვეყანას აძლევს ნაციონალური შემოსავლის 55 პროცენტს და უცხოური ვალიუტის დიდ ნაწილს.

მაგრამ ბრაზილიელთა სიხარული ნაადრევი გამოდგა. მათ წილად ხვდათ არა მეურნეობის ესოდენ პერსპექტიული დარგის განვითარება, არამედ მძიმე „ყავის ომი“, რომელიც მათ თავს მოახვიეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა; ეს თითქოს მოულოდნელი იყო, ვინაიდან ბრაზილიის ახლანდელი ხელისუფალნი მეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ვაშინგტონთან, მაგრამ, როგორც ამბობენ, მეგობრობა ერთია და ფული მეორე! ამერიკელმა ბიზნესმენებმა გაშმაგებით შეუტიეს ბრაზილიურ ყავას. „ყავის ომის“ ფრონტებიდან მიღებულ ცნობებს ახლა ყველაზე თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ბრაზილიურ პრესაში.

კაცმა რომ თქვას, „ყავის ომი“ ბრაზილიასა და შეერთებულ შტატებს შორის ბევრად უფრო ადრე გაჩაღდა, თითქმის ამ საუკუნის დასაწყისში, და მთელი ამ ხნის მანძილზე ბრაზილია თავს იცავდა და იგერიებდა ამერიკელი საქმოსნების იერიშებს. ბრაზილია ველარ ახერხებდა ყავის გასაღებას, ჩაწოლილი ყავის რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა და სწორედ ამ ხანებში დაიწყეს აქ „ხსნადი ყავის“ დამზადება. ეს მეტად ხელსაყრელი იყო იმიტომ, რომ ჯერ ერთი — მის გაყიდვაზე არავითარი შეზღუდვები არ იყო დაწესებული, და მეორეც — დიდი რაოდენობის ნედლეულის გამოყენება (ერთი კილოგრამი ყავის ფხვნილის დასამზადებლად საჭიროა სამი კილო ნატურალური ყავა) ბრაზილიაში არათუ არ წარმოშობდა რაიმე გართულებებს, პირიქით, წყვეტდა დასაქონლების პრობლემას.

„ხსნადი ყავის“ ამერიკელი მწარმოებლები (ბრაზილიური ნედლეულის საფუძველზე!) ჯერ მშვიდად შეხვდნენ ბრაზილიელთა წამოწყებას, მერე კი უცებ აფორიაქდნენ. მათ უმალ დაივიწყეს თავიანთი დემაგოგიური ფრაზები „ინიციატივის თავისუფლებასა“ და „კონკურენციის თავისუფლებაზე“, სულ უფრო ხმამაღლა გაისმა მოწოდებები აელაგმათ ბრაზილიელი მრეწველები, რომლებმაც რაღაც სამ-ოთხ წელიწადში დაიპყრეს შეერთებული შტატების საშინაო ბაზრის 14 პროცენტი და ამით თითქოს და მძიმე დარტყმა მიაყენეს მათს ეკონომიკას.

სინამდვილეში კი ზარალი მოსდიოდათ არა უბრალო ამერიკელებს, რომლებმაც მოახდინეს არჩევანი და უპირატესობა მიანიჭეს ბრაზილიური ყავის ხარისხსა და ფასს. აქ შელახულ იქნა მხოლოდ „ნეშნლ კოფფი ასსოშიეიშნის“ ერთ მუჭა ბიზნესმენთა ინტერესები. დაზარალებული აღმოჩნდნენ სწორედ ის საქმოსნები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ძარცვავდნენ ბრაზილიას.

ვინ იცის იქნებ ბრაზილიელთა ურჩობას სხვა ქვეყნებმაც მიბაძონო, ალბათ ასე იფიქრეს ვაშინგტონში, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტი ჩაერია ბრაზილიელ და ამერიკელ ყავის მწარმოებელთა შეხლა-შემოხლაში. გასული წლის აპრილში ამერიკის ელჩმა ბრაზილიაში ჯონ ტატპილმა მოითხოვა ყავის ბრაზილიური ინსტიტუტის ახალი დირექტორის, „კასიკეს“ ფირმის მომხრის — ორასიო კოიმრას განთავისუფლება. მაისში კი სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხისმგებელი თანამშრომელი ედვარდ ფრედი, რომელიც ლათინური ამერიკის საქმეებს განაგებს, დაემუქრა ბრაზილიას, რომ შეერთებული შტატები საერთოდ გამოვლენ ყავის საერთაშორისო ორგანიზაციიდან, თუ ბრაზილიელები დათმობაზე არ წავლენ. ლონდონის კონფერენციაზე ამერიკელებმა მოითხოვეს სპეციალური ტარიფების დაწესება „ხსნადი ყავის“ იმპორტზე. მათ მხარი არავინ დაუჭირა. მაშინ ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ბრაზილიის წინააღმდეგ გამოიყენებენ მთელ თავიანთ ეკონომიურ სიძლიერეს და ჩვეულებრივი ყავის შესყიდვასაც კი აღკვეთენ. „ბრაზილია მეტისმეტად არის ჩვენზე დამოკიდებული, რომ ჯიუტობა დაიწყოს“, განაცხადა მან.

ასეთმა შანტაჟმა ნელ-ნელა გამოიღო თავისი შედეგები. ახლა ბრაზილიაში შეაჩერეს „კასიკეს“ მწარმოებელი ახალი ფაბრიკების მშენებლობა. ზოგიერთი მეწარმე კი იმასაც ამბობს, რომ დაუთმონ ამერიკელებს აქციების ნაწილი. ასეთი განწყობილებანი შეშფოთებას იწვევენ ბრაზილიაში. ცალკეული დეპუტატები უკვე მოითხოვენ ბრაზილიის ეროვნული სიმდიდრის დაცვას, ამერიკელთა ჩარევის აღკვეთას.

ჯერ კიდევ ადრეა „ყავის ომის“ შედეგების შეჯამება. ეს ომი გრძელდება, გრძელდება დაწოლაც ვაშინგტონის მხრიდან და სასწორიც აშკარად ბრაზილიის არასასარგებლოდ იხრება.



## ახლა პომიდორის შესახებ

უკანასკნელ ხანებში იტალიურმა პრესამ სერიოზულად დაიწყო ლაპარაკი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიას შორის შეიძლება დაიწყოს ე. წ. „პომიდორის ომი“.

ასეთი ომის გაჩაღება სრულიად შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაეწესებინათ დამატებით გადასახადები იტალიიდან შემოზიდულ დაკონსერვებულ პომიდორებზე. თავისი გადაწყვეტილების შესახებ ვაშინგტონმა აცნობა ევროპული საერთო ბაზრის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ამერიკის მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ იტალიელ ეკონომისტთა წრეებში ნამდვილი არეულდარევა და პროტესტები გამოიწვია. საქმე ისაა, დაკონსერვებული პომიდორების ექსპორტი იტალიას წელიწადში აძლევდა 10 მილიარდ ლირას ვალიუტით. ახლა ეს ოქროს წყარო საფრთხეში აღმოჩნდა.

იტალიელი საქმოსნების ორგანო გაზეთი „გლობო“ ვაშინგტონის გადაწყვეტილებას ახასიათებს, როგორც „სავსებით უსამართლოს“. მეორე გაზეთი „ჯორნო“ აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიება მძიმე პირობებში აყენებს იტალიურ პროდუქციას ამერიკულ ბაზარზე; „ჯორნო“ ამასთან გამოხატავს შიშს იმის თაობაზე, რომ „შეერთებული შტატები ამ სისტემას სხვა საქონელზეც გაავრცელებენ.“

ატლანტიკურ ბლოკში თავის პარტნიორის ასეთი არათავაზიან ქცევას იტალიური პრესა ხსნის შეერთებული შტატების მისწრაფებით შეამცირონ საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი. მილიარდობით დოლარი რომ დახარჯა ვიეტნამის ბინძურ ომში, ვაშინგტონმა ახლა გადაწყვიტა „ეკონომია გასწიოს“ იტალიურ პომიდორებზე.



იოანე პეტრიწი (ლინოგრავიურა).

აჯანყებულნი (ილუსტრაცია).



# ბ. ჩიხინაშვილი

ამბავი შოთა რუსთაველისა (ყდა).





დუმილი (ტემპერა).

გრიგოლ ჩირინაშვილის, როგორც მხატვრის შემოქმედებითი სამყარო, სახვითი ხელოვნების ერთი სფეროთი არ არის შემოფარგლული; იგი თანაბარი ძალით ფლობს ფერწერასაც და გრაფიკასაც.

გრ. ჩირინაშვილი ეკუთვნის ქართველ მხატვართა იმ თაობას, რომელიც შემოქმედებითს ასპარეზზე ომის ბოლო წლებში გამოვიდა; საშუალო სამხატვრო განათლება მან იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში მიიღო, უმაღლესი კი — საქართველოს სამხატვრო აკადემიაში. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ შ. ამირანაშვილი, დ. კაკაბაძე, უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე, ვ. თოფურიძე, ს. ციმაკურიძე და სხვები.

ჩირინაშვილმა სამხატვრო აკადემია 1943 წელს დაამთავრა (პროფ. უ. ჯაფარიძის კლასი); მისი სადიპლომო შრომა — „პარტიზანები ჩრდილოეთ კავკასიაში“ ფრიადზე იქნა შეფასებული; იგი გამოფენილი იყო მოსკოვში, საკავშირო საიუბილეო გამოფენაზე; იმ დღიდან დაწყებული ჩირინაშვილი მონაწილეობს საბჭოთა მხატვრების როგორც საკავშირო და რესპუბლიკურ, ისე საზღვარგარეთ-გამართულ გამოფენებზე.



ძველი თბილისის კუთხე (ტემპერა).

წვიმის შემდეგ (ზეთი).





კოლმეურნე ქალები (ზეთი).

ჩირინაშვილი თავის ნაწარმოებებში მუდამ პოულობს თემის შესატყვის პლასტიკურ გააზრებას. მხატვრის მიერ შექმნილი პორტრეტები მთელი ძალით აცოცხლებენ გამოსახულ პიროვნებათა არა მარტო გარეგნობას, არამედ სულიერ სამყაროსაც. ასეთებია ვ. სარაჯიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ნინო ჭავჭავაძის და სხვათა პორტრეტები.

მხატვარს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ქართულ-ისტორიულ და ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის განვითარების სფეროში. აქ უნდა დავასახელოთ მისი სურათები „გიორგი სააკაძე ბრძოლის წინ“, „ვახტანგ VI სტამბა“, „დავით აღმაშენებელი გელათის მშენებლობაზე“, „ალ. ჭავჭავაძე და ნინო ჭავჭავაძე გლეხებთან“, „სერგო ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიაში“ და მრავალი სხვა.

ჩვენი მხატვარი ავტორია დიდი ემოციური ძალით აღსავსე მრავალი საჟანრო სურათისა და პეიზაჟისა, მისი საჟანრო სურათები კონკრეტული საყოფაცხოვრებო სცენების პლასტიკური გადმოცემაა, აყვანილი თავისებურ სახვით განზოგადებამდე; მისი [illegible] სახალისო, მეტად რბილი და სახოვანი კომპოზიციებით. მხატვრის „ხეები“, „ხარფუხი“, „ქართლის პეიზაჟი“, „ქვემხეთი“, „ჩაქვი“, „სიღნაღი“, „ალაზნის ველი“, „მშობლიური ჩემო მიწავ“ თავიანთი კოლო[illegible]

ფიქრები წარსულზე (ზეთი).



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟა-ფშაველა (ლინოგრავიურა).



ამბავი შოთა რუსთაველისა — „მიძღვნა“.

რიტით და სახოვნებით ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს შეიძლება შევუდაროთ.

მხატვარი ასევე წარმატებით მუშაობს წიგნის დასურათებაზეც; საინტერესო და მეტყველია მისი ილუსტრაციები წიგნებისათვის „ალი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ და სხვ. ეს ილუსტრაციები მეტყველებენ მხატვრის ფაქიზ გემოვნებასა და მაღალ პროფესიულ დაოსტატებაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბოლოდროინდელი „ამბავი რუსთველისა“, რაც რუსთაველზე არსებულ ხალხურ გადმოცემათა ერთგვარ პლასტიკურ წარმოსახვას წარმოადგენს. ამ ციკლისათვის დამახასიათებელია თემის ღრმა ფილოსოფიური გააზრება.

გრ. ჩირინაშვილი ეკუთვნის იმ მოწინავე ოსტატთა რიცხვს, რომელნიც მთელი გატაცებით იბრძვიან ახალი ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

**შალვა კვასხვაძე**

თებროლე (ზეთი).



ამბავი შოთა რუსთაველისა — „აღიარება“.



# [illegible] ხიდი

დავით კეიცარიძე

სამუშაო დღე მიიწურა. მზე თვალს მოეფარა და ცოტა აგრილდა კიდეც, მაგრამ ბიჭები მაინც ოფლში იყვნენ გახვითქულნი.

დაღლილ-დაქანცულმა ბიჭებმა მტვერში ამოსვრილი ტანსაცმელი დაიფერთხეს, დაიწმინდეს და წყალში ჩაცვივდნენ. მთელი ნახევარი საათი იბანავეს, მერე ამოვიდნენ, ჩაიცვეს და შინისაკენ გასწიეს.

იაშას არც ტანსაცმელი გაუწმენდია და არც ტანის დაბანით შეუწუხებია თავი. დიდ ქვას მოეფარა, სახეზე წყალი შეისხა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ძველი ჩანთაში ჩაკეცა და ნელა შეუყვა აღმართს.

ბიჭებმა შორიდან დაინახეს იაშა, ჭაჭულიამ ხელიც კი დაუქნია, ფეხი გამოადგიო, მაგრამ თხელიძე არ ჩქარობდა; როგორც კი ბიჭებმა ხიდი გადაიარეს და თვალს მიეფარნენ, იგი უკან გაბრუნდა და ბონდის ხიდის ყურეში, მიწაყრილთან ჩასაფრდა. იცოდა, დღის ბოლოს, კახიანი აუცილებლად ჩავიდოდა რიყეზე, ბრიგადებს დახედავდა, ყმაწვილებს გამოესაუბრებოდა, თუმცა შავი სამუშაოები მოლეული ჰქონდათ. მესამე დღეა ხიდის საძირკველზე მუშაობდნენ.

გუშინ გამოჩნდნენ სპეციალისტები, ქვის მთლელები, არმატურის ამწყობნი, მებეტონეები, შემდუღებლები. ჩვენი ყმაწვილები კი ჯერ კიდევ დამხმარე სამუშაოებს ასრულებდნენ.

ბრიგადები მდინარის ორივე მხარეს მუშაობდნენ. იასონ სინაურიძე ხან გალმელებთან იყო, ხან გამოღმელებთან.

თვალსა და ხელს შუა მიიწევდა წინ მშენებლობა. ახლა გაცილებით უფრო მეტი ხალისით მუშაობდნენ მშენებლები, თავიანთი შრომის ნაყოფს ხედავდნენ და უხაროდათ.

ამ სიხარულში იაშა თხელიძე თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. გარეგნულად იგი მორჩილი მუშა გახლდათ, უხალისოდ, თუმცა მოჩვენებითი ერთგულებით და თავდადებით ასრულებდა ათისთავის დავალებას, მაგრამ როგორც კი იასონი ბონდის ხიდით წყალგაღმა გაემართებოდა, იაშა იმ წამსვე მიაგდებდა ბარს, ჩამოჯდებოდა და სიგარეტს მოუკიდებდა.

საუბარში ხანდახან ჩაერეოდა, რაიმე მწარეს ჩაურთავდა; ამის გამო ბიჭებმა კიდევ უფრო მეტად აითვალისწუნეს, ცდილობდნენ მისგან შორს დაეჭირათ თავი. დილით გამოცხადებისას სალამს მიუგდებდნენ და მერე ყველა თავისი საქმითა და ფიქრით იყო გართული. იაშას ისედაც შურიან გულში ბრაზი მატულობდა. დილიდან საღამომდე სულ იმის ფიქრში იყო, როგორმე ლევან კახიანის ყურადღება დაემსახურებინა.

დღეში სამჯერ მაინც ჩამოაკითხავდა ლევანი ბიჭებს, ჩამოჯდებოდა ქვაზე და იმ წამსვე წიწილებივით შემოუსხდებოდნენ ირგვლივ ყმაწვილები. სიგარეტს ჩამოარიგებდა. ახალ ამბებს მოუყვებოდა.

ლევანს თვალს რომ მოჰკრავდა იაშა, მხოლოდ მაშინ აწვებოდა ბარს გულდაგულ.

საუბარში დინჯად ჩაერეოდა იაშა, სათქმელს მოზომავდა და სიტყვას ისეთ დროს ჩაურთავდა, რომ არ შეიძლებოდა კახიანს მისთვის ყურადღება არ მიექცია.

ასე გადიოდა დრო. იაშა თხელიძე ლევანთან ცალკე, განმარტოებით საუბრისათვის ემზადებოდა. ყველაფერს წინასწარ, მისხალ-მისხალ წონიდა; კახიანი სიტყვა-ძუნწი კაცი იყო, გაუხარელი და გაუცინებელი. ამას ყველა ადვილად ამჩნევდა, მაგრამ მარტო ეს არ იკმარა იაშამ. ლევანის ბიოგრაფიითაც დაინტერესდა, ბევრი რამ შეიტყო და გულში ჩაინიშნა.

ციცინოსთან ერთად მომავალ კახიანს, რომ დაინახავდა, თვალებს მოჭუტავდა, შეთხელებულ ულვაშებში ჩაიცინებდა.

ახლა აგერ, მიწაყრილთან მოკალათებულა: სიგარეტს ღეჭავს და ცალი თვალი ხიდისაკენ აქვს. ლოდინით დაიღალა, ნახევარ საათზე მეტი იცადა, კახიანი მაინც არ გამოჩნდა.

ეს დღეც დაიკარგა, მერე რა დღე. წუხელ მთელი ღამე არ უძინია, საუბარი შეამზადა, აზრები დაალაგა. თითქოს ყველაფერი გაითვალისწინა და დამშვიდდა.

ლევანი არ გამოჩნდა, ეს დღეც დაიკარგა, საუბარი სახვალიოდ გადაიდო და იაშა მაინცა და მაინც უკმაყოფილოც არ ჩანდა.

ლევანთან შეხვედრის შიში ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

ბევრი შეუცდენია თხელიძეს თავისი ცხოვრების მანძილზე; ერთნი ადვილად ნებდებოდნენ, პირველი სიტყვიდანვე დაჰყვებოდნენ მის ნება-სურვილს და მერე, როგორც იაშას უნდოდა, როგორც მისი ინტერესი მოითხოვდა, ისე ათამაშებდა მათ. მეორენი გაჯიუტდებოდნენ, მოხსნით დაემუქრებოდნენ, საქვეყნოდ თავის მოჭრით დააშინებდნენ.

მაგრამ კახიანი?

კახიანი იმათ არ ჰგავს. ეგ სხვა ყალიბის კაცია. ამასთან ან მეტი სიფრთხილეა საჭირო, ან კიდევ პირდაპირ შეტევა.

ძნელად ამოსაცნობი კაცია, მაგრამ მაინც ხომ კაცია.

ამ საღამოს არ მოვიდა, იქნებ ასეც სჯობდეს, იქნებ ყოველმხრივ შემზადებულიც არ არის მათი შეხვედრა.

იაშა დამშვიდდა, თავისუფლად ამოისუნთქა, წამოდგა, სულ ხუთიოდე მეტრი გაიარა მხოლოდ და წინ ლევანი შეეჩეხა.

— მარტო ხარ?

— დიახ, მარტო დავრჩი, ბატონო, ბიჭები ერთი საათის წინ წავიდნენ. მე ცოტა კიდევ წავიმუშავე. ყმაწვილებს მეტი არ მოეთხოვებათ. არც ვამტყუნებ. დაღამებამდე ჯერ კიდევ დროა, მაგრამ გაფრინდნენ. აბა, რისი ახალგაზრდები არიან! მოედებიან ახლა ქალაქს, ვინ კინოში წავა, ვინ თეატრში. მე არსად მიმეჩქარება, ბატონო ლევან, დაგვიანებითაც მიმიღებს ჩემი ბებრუხუნა.

ლევანი შებრუნდა, წასვლა დააპირა. იაშამ მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო და ამაზე კარგ დროს როდისღა შეარჩევდა, რატომღაც მუხლები აუკანკალდა, საკუთარი გულის ბაგა-ბუგი აკრთობდა, მაგრამ მაინც გაბედა:

— ლევან ბატონო!

— გინდოდა რამე? — შედგა და უცებ მოტრიალდა ლევანი.

— სულ მოუცლელი ბრძანდებით, გარბიხართ და გამორბიხართ, მაგრამ სათქმელი მაქვს და იქნებ ახლა მაინც მაჩუქოთ ორი წუთი.

— ხუთი იყოს! — კახიანი თხელიძეს დააჩერდა, თვალებში შეხედა. იაშამ გაუღიმა. ეს ღიმილი არ მოეწონა ლევანს, მაგრამ არ შეიმჩნია.

იაშამ ფრთხილად ჩაახველა და ნელა, შეპარვით დაიწყო:

— მე, ბატონო ლევან, ერთგული და პატიოსანი კაცი ვარ. დიდად გაჭირვებული არ გეგონოთ. სახლიცა მაქვს და კარიც. არც ლუკმა პურისთვის ავლოლებულვარ. ღვთის წყალობით, საჭმელ-სასმელი არ მიჭირს. სხვა, უფრო მსუბუქ და ხელსაყრელ სამუშაოსაც მოვძებნიდი, მაგრამ ქალაქში ახალი ხიდის მშენებლობა, დიდი სახალხო საქმე წამოიწყეს და მეც განზე ვერ დავდგებოდი.

კახიანმა მოწონების ნიშნად თავი დააქნია, იაშა გათამამდა.

— პირველად, რა დაგიმალო, გაქცევაც კი დავაპირე. მაგრამ თქვენმა მობრძანებამ ახალი ძალა შემმატა, თუმცა... — იაშამ ლევანს ახედა, — იქნებ კიდეც გეწყინოთ, ლევან ბატონო, იქნებ სჯობდეს ენას კბილი დავაჭირო!

— თქვი, მე ყურადღებით გისმენ!

— არ ღირს აქ მუშაობა, ბატონო!

— რატომ?

— გასცალეს, გაანიავეს აქაურობა. ვინ ცემენტს მიათრევს, ვინ არმატურას და ვინ კიდევ ჯანდაბას!

ტყვია რომ დაეხალა გულში იაშას, ისე არ ეწყინებოდა კახიანს. გაფითრდა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო, უცებ მოეშვა და მოითენთა. ყველაფერს მოელოდა, ყველაფრისათვის მზად იყო, მაგრამ თუ აქ ვინმე ქურდობას გაბედავდა, ეს ვეღარ წარმოედგინა.

იაშა მიხვდა ამას და განაგრძო:

— ახლა კი არიან ცოტა მოკაკულნი. თქვენს მობრძანებამდე ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა. უპატრონო ეკლესიას ტურა-მგელი დაესიაო, ხომ გაგიგონიათ. ასე იყო ჩვენი საქმეც. თქვენ რომ გამოჩნდით, ცოტახანს ქურდობა შეწყდა, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლებენ პატიოსნად. მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, ამათზეა სწორედ ნათქვამი. ყველაფერი სინაურიძის ბრალი კია. ეგ ისეთი ბებერი მელაა, მამა აბრამის ბატკნად რომ მოგაჩვენებს თავს. ეჭვს ეშმაკიც ვერ შეიტანს, ქვეყნის დამქცევი და ამომგდები კი სწორედ ეგ არის.

— ათისთავი?

— დიახ, ათისთავი, გნებავთ შეამოწმეთ; გამოგიტყდებით, ბატონო ლევან და მე ორჯერ ვანიშნე და სიგნალიც მივეცი ყოფილ უფროსს, მაგრამ ყურიც არ გაუპარტყუნებია, მერე ვიფიქრე ქალაქის ხელმძღვანელობაში მივსულიყავი, მაგრამ

* ერთი თავი რომანიდან „ნდობა“.

ვერ გავბედე და წერილი შევგზავნე. მოვიდნენ, შეამოწმეს, ვილაც-ვილაცეები დაჰკითხეს და წავიდნენ.

ახლა თქვენ ჩაგაყენეთ საქმის კურსში, ვიცი გამიგებთ და ისე მომექცევით, როგორც გამოცდილ კაცს შეეფერება.

— შენი გვარი კი არ მახსოვს!

— თხელიძე ვარ, ბატონო! მენდეთ, მე ცუდს არ გირჩევთ. წუხელ მთელი ღამე გავათენე, სულ თქვენზე ვფიქრობდი. მოხვედით ბრძოლაში და ათას ჭირში გამოვლილი ვაჟკაცი, საქმეს გულით მოეკიდეთ და კვალიც დაამჩნიეთ, მერე? დაგიფასათ ვინმემ? თავი რომ დააკლა და სისხლი დააქციო აქ, გგონია შეგნიშნავენ? თქვენ ბევრი რამ გამოსცადეთ საკუთარ თავზე და ამიტომ ასე გაბედულად გელაპარაკებით. ამ ცუნდრუკა ბიჭებს ნუ აყვებით, ნურც იმ იასონა უხიაგს ჩაეფრჩხვნებით ხელში. დამიჯერეთ, ლევან ბატონო, მოიშორეთ თავიდან იასონა სინაურიძე, ორისამი ახალგაზრდაც მიაყოლეთ ათისთავს და მე ვიცოდე და თქვენ. აქ დიდი საქმე ტრიალებს, — იაშამ მშენებლობას თვალი მოავლო, — ძალზე დიდი საქმე, ასეთი მშენებლობა ბევრს აიტანს, — ლევანს თვალებში შეხედა, ნაბიჯი წადგა და ხმას დაუწია, — თქვენთვის ყველაზე მეტად ერთგული კაცი ახლაა საჭირო. სახლი თქვენ არ გაგაჩნიათ და თავშესაფარი. ამდენი სიმწარე გინახავთ, ყმაწვილკაცობა სადღაც ჩაგიტოვებიათ და ოდესმე ხომ უნდა გაიმართოთ წელში. გაძლევთ სიტყვას, თუ ღმერთი გაწყრა და ეჭვი მიიტანეს, მე ვიდებ თავზე, მაქვს ამის ვაჟკაცობა. მუდამ იმედაძის ხიზნად ხომ ვერ დარჩებით. დაითხოვეთ იასონა სინაურიძე. ათისთაობას მეც შევძლებ და ამ ხიდის მშენებლობის დამთავრებამდე ორსართულიან სახლს გამოგიძვრენთ. ამის თქმა მინდოდა, ლევან ბატონო...

ლევანი იდგა ენაჩავრდნილი და ისმენდა, კი არ ისმენდა, ყოველი სიტყვა ეკალივით ხვდებოდა მის სახეს, გონებას, სხეულს, გულს. რამდენჯერ დააპირა შეეჩერებინა ეს გაიძვერა და ჭირკივით ესროლა წყალში, სწორედ წყალმა უნდა წაიღოს ასეთი თაღლითი და ქრამზადა.

პასუხი დააგვიანა, თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა თხელიძე და უცებ მისი გვარი ისევ დაავიწყდა.

— შენ რა გვარი ხარ? — გაბრაზებული ხმით ჰკითხა.

— თხელიძე, ბატონო!

— წადი, თხელიძე! გამშორდი, ეს საღამოც დაივიწყე და ეს საუბარიც, პატიოსნად იმუშავე, თორემ არ დაგინდობ, ეს გახსოვდეს, — თქვა კახიანმა, შებრუნდა და შურდულივით გაემართა ხიდისაკენ.

იაშას კინაღამ გული შეუწუხდა. თავი ძლივს შეიკავა, ეგონა ეს-ესაა დავეცემი და ველარ წამოვდგებიო. ქვას დაეყრდნო, სული მოითქვა, ლევანს გახედა და უგემურად მიაფურთხა.

„მორჩა, ამასთან არაფერი გამოვა, დრო ასეთ კაცს ვერ შემოაბრუნებს, წასვლა, გაცლაა საჭირო, ხვალიდან აქ მომსვლელი აღარა ვარ! ვაი, შენს პატრონს უბედურს, ლევან კახიანო!

არ დამიჯერე?

მართლა ასეთი ანგელოზი ხარ?

მე შენი ყურება ხელს არ მაძლევს.

წავალ!

ა, წავიდე? წავიდე, თუ მოვითმინო!

წავალ!

ისე მთლად ვერ მიგატოვებ, ჩემზე არ გავაცინებ ამ ლაწირაკებს, შორიდან გითვალთვალებთ, ხანდახან დაგხედავთ კიდეც. ისეთ წერილსაც გავაშანშალებ, სულს გაგიმწარებთ, სულს“.

ასე ფიქრობდა და ებრძოდა გულს ქვას მიყრდნობილი თხელიძე.

კარგახანს იფიქრა, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტა და ბონდის ხიდზე ავიდა. შედგა, ხიდს გახედა, მისკენ მომავალი ირაკლი დაინახა და ხელახლა შეუფართხალდა გული.

იქნებ ირაკლისთან სცადოს! ახალგაზრდა, ჯერ სრულიად გამოუცდელი ინჟინერი დაიმეგობროს, დაიახლოვოს. ეს ადრეც უნდა ეფიქრა.

არ შეიძლება ირაკლი უკმაყოფილო არ იყოს. ყველა მოელოდა, რომ მშენებლობას გორდაძეს ჩააბარებდნენ, რიგით ინჟინერს, უფროსობას მისცემდნენ, მაგრამ ეს არ ჰქნეს, ეს არ მოხდა, არ ენდნენ.

ყმაწვილია და, რა თქმა უნდა, გულნატკენი დარჩებოდა.

თან ციცინო!

ჰო, მართლა, ციცინო!

ციცინო ადრეც, ლევანთან საუბრის დროსაც უნდა გახსენებოდა.

თითზე იკბინა და გამოერკვა.

თავი უბრუოდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც სალათ ასწონ-დასწონა. გორდაძე ახლოვდებოდა. იაშა ჩქარი ნაბიჯებით წავიდა მისკენ.

ხიდი ირწევა, ირაკლიც თითქოს რწევით მოდის, ხან ერთ მხარეზე გადაიხრება, ხან მეორეზე.

შორიდანვე გაულიმა იაშამ ირაკლის, ერთმანეთს დაუახლოვდნენ, ორივე ერთად შედგა.

— ბიჭები წავიდნენ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— დიდი ხანია!

— შენ?

— კახიანთან ლაპარაკს შევრჩი, ასე გახარებული და გაფიფინებული იგი ჯერ არ მინახავს.

— კარგია!

— რა არის კარგი! — ცივად ისროლა სიტყვა თხელიძემ, ირაკლიმ გაოცებით შეხედა მას.

— კარგია-მეთქი, რომ ლევან კახიანი გახალისდა. მან ხომ ცხოვრებაში ცოტა სიხარული ნახა.

— შენ?

— მე? — გაიკვირვა ირაკლიმ, მხრები აიჩეჩა და ახლა უფრო გულდაგულ დაუკვირდა თხელიძეს.

— ჰო, შენ... შენ არ გჭირდება სიხარული? ნახმარ პალტოსავით რომ მიგაგდეს კუთხეში, კაცად აღარ ჩაგაგდეს, არ გენდნენ. ამაზე არ გიფიქრია? მე რატომ მატყუილებ, ორი შენი ხნისა ვარ. სხვებზე ფიქრს თავი დაანებე, მამაჩემს აქვს ცხონება. ნუ გიკვირს, კარგი მინდა შენთვის და ამიტომ ვიწუხებ თავს. ღმერთმა იცოდეს, შენი ერთგული კაცი ვარ, შენი მიღებული ვარ სამუშაოზე, მაგრამ მე ბიძია, ხუთი თითივით ვიცი ყველაფერი, ასე, ა... — თქვა და ხელი ირაკლის თვალებზე ააფარა.

ცივად მოიშორა ხელი ირაკლიმ, იგი ისე იყო დაბნეული ამ მოულოდნელი შეტევით, პასუხიც კი ვერ მოიფიქრა. ყელში ვსწვდები და მოვგუდავო, გაუელვა, მაგრამ ყელში სწვდენოდა კი არა, და სალანძღავი სიტყვაც ვერ იპოვა.

— რას გაჩუმდი, რატომ არაფერს ამბობ! — განაგრძო იაშამ, — რას მიბრიალებ თვალებს? ვიცი გინდა მეცე და გამგლიჯო, მე შენსკენ ვარ, ბიძია, და შენ ეშმაკებისაკენ ნუ დაიწყებ ყურებას. შენსკენ ვარ, შენსკენ! — თითი მიუშვირა! — ჩემისთანა უბრალო კაცი, ხელში ბარი თუ წერაქვი რომ უჭირავს, ვერაფერი დედაბოძია, მაგრამ ერთგულება მაინც დიდი საქმეა, ამაზე იფიქრე. არ გენდნენ, თუ არა შენ რომ მშენებლობის უფროსად დაენიშნეთ, არც ჩემს ბედს დაჰყეფდა ძაღლი. გამიგებდი, ერთმანეთს გავუგებდით... ათისთაობას მაინც მომაშავებდი და არც მე დაგრჩებოდი ვალში. იქნებ არც ახლაა გვიან? ამოიღე, ხმა. მტერი კი არა ვარ შენი, ავი და კარგი ვეღარ უნდა გაარჩიო?

ირაკლიმ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია, თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო, მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილიდან, თხელიძეს მკერდში სწვდა, შეაჯანჯღარა და ისე დაიყვირა, ალბათ თეთრ ხიდზე მომავალმა მგზავრებმაც კი გაიგონეს.

— მომწყდი აქედან თხელიძე, მომწყდი-მეთქი...

კიდევ წამი და თავს ველარ შეიკავებდა. შეიძლება მართლაც მიებეგვა ეს არამკითხე გაიძვერა.

იაშა კი პირიქით, უცებ დამშვიდდა, გაიღიმა, „ნეტავი გამარტყამდეს და მერე მე ვიცი“, — ესეც კი გაიფიქრა.

ირაკლი შებრუნდა, წასვლა დააპირა, მაგრამ ახლა თხელიძე მისწვდა და შეაჩერა.

სისხლი თავში აუვარდა გორდაძეს, ამ უწმინდურის ხელის შეხებამ მთლად შეშალა, გააცოფა.

— იქით, შენი... — დაიღრიალა მან.

— ნუ ყვირი, ირაკლი, დაწყნარდი და კარგად მომისმინე, ნუ აჩქარდები, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო, ბაბა! მეც ცხოვრება გავლილი კაცი ვარ, ასე ადვილად ვერ დამაფრთხობ. მე არაფერს ვკარგავ, აწი ჩემთვის არც მომავალი არსებობს და არც სიყვარული. ქერჩის ტარანივით ვარ გაწოლილი კასრში. შენ კი, კარგად გაიგონე, გონებაში ჩაიჭედე და დაიხსომე იაშას სიტყვები. ყველაფერს ჰკარგავ, თუ უკვე გვიან არ არის!

— რა გინდა, კაცო, შენ, რა სულთამხუთავივით გადამიდექი წინ, წადი, მომშორდი, თუ არა მართლა სამუდამოდ დაგახსომებ ამ საღამოს!

— წავალ! ოღონდ იცოდე, ამ ხიდის ბოლოში, ბურჯის ახლო, ეგერ, ე, მიწაყრილთან ლევან კახიანი და ციცინო ერთად ჟღურტულებდნენ.. იჭუკჭუკეს, საუბრით გული იჯერეს, მერე ციცინომ, ჩვენმა ნახევრად ინჟინერმა ქალიშვილმა ხელი მკლავში გამოსდო მშენებლობის უფროსს და ასე გუგულებივით გაუდგნენ გზას!

— რაო! — თავი ველარ შეიკავა ირაკლიმ და ახლა ორივე ხელებით ეცა თხელიძეს. იაშამ ცივად მოიშორა გორდაძის ხელები.

— ახლა კარგად იყავი, მშვიდობის ძილი მისურვებია! — თქვა და წავიდა, ხიდის ბოლოს რომ უწია, შემობრუნდა და წვრილი გამყინავი ხმით დაუძახა:

— თუ დაგჭირდე, სანდო კაცად მიგულე!

უცებ ბონდის ხიდი ძალუმად დაირწა, ირაკლის თვალში ყველაფერი დატრიალდა და ერთმანეთში აირია.

საღამოს ბინდი შემოვიდა ხიდზე, რიყეზე ჩაწვა და გაისუდრა.

# როგორ იქმნებოდა „ქეთო და კოტე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო დოლიძე

ვიქტორმა საგრძნობლად შეცვალა „ხანუმას“ სიუჟეტი. ჯერ ერთი ვაჭარი ტყუილკოტრიანცი ტყუილკოტრიაშვილად აქცია; ვიქტორი ამბობდა, „რაღა მაინცდამაინც სომეხი უნდა იყოს, განა ქართველი ვაჭრები კი არ იყვნენო?“ მისი ქალიშვილი სონა ქეთოდ იქცა. მაკარის ერთს საკმაოდ უფერულ ძმისწულსა და ნოქარს საქულას საქო დაარქვა, თანამეინახე სიკო მიუჩინა, კინტოებად მონათლა ორივე და მათი შესანიშნავი კუპლეტების წყალობით თითქმის მთავარ გმირებად გახადა. ხანუმა ბარბალედ მონათლა, მისი წყვილი და მოქიშპე კიდევ ბაბუსით და მთავარი გმირები მზად ჰყავდა. სამი წყვილი მთავარი პერსონაჟებისა — პირველი (ლირიკული): ქეთო და კოტე, მეორე (კომიკური, ქალთა წყვილი): ბარბალე და ბაბუსი, მესამე (კომიკური ვაჟთა): საქო და სიკო, მეოთხე წყვილი: გალატაკებული თავადი ლევანი და მდიდარი ვაჭარი მაკარი, თავადის და კნეინა მარო — და კომიკური ოპერის ღერძი აგებულია.

ახლა მათი ხასიათების გაღრმავება, გატიპიურება, მუსიკის შესიტყვება... ვიქტორს ყოველი პერსონაჟისათვის დამახასიათებელი, განსხვავებული მუსიკა აქვს შერჩეული. მაგალითად, ლევანი, მაკარი, ბარბალე, ბაბუსი, საქო და სიკო, ქართულს, ან ქალაქურ ხმაზე მეტყველებენ. სულ სხვაა, ვთქვათ კოტე, მან ბევრი ხანი დაჰყო უცხო ქვეყანაში, იქვე მიიღო განათლება და ეს-ეს არის ჩამოვიდა სამშობლოში. მის მუსიკალურ მეტყველებაშიც ხშირად გაისმის უცხო ჰანგი.

— ასე იყო აღზრდილი კოტე, — იტყოდა ვიქტორი, — ასე ვითარდებოდა მისი გონება, ასეთი უნდა იყოს მისი მეტყველება. არ შეიძლება კოტე დინჯი კახური სიმღერებით, ან თუ გინდ სწრაფი გურული კილოთი მოგვევლინოს, ისევე როგორც არ შეიძლება მაკარი იტალიურ ჰანგზე ამღერდეს.

მაკარის სტუმრები ქართულის გვერდით პოლონურ მაზურკას ცეკვავენ. ზოგი ვითომ მაზურკას ცეკვავს და ქართულზე კი უხვევს, ზოგი კიდევ პირიქით. ასე იყო ჩვენს მაშინდელ სინამდვილეში, ასევე უნდა იყოს მუსიკაშიც. გმირები მარტო გარეგნობით და ჩაცმულობით კი არ უნდა განსხვავდებოდნენ, არამედ თვით მუსიკალური ფრაზითაც, მუსიკის ხასიათითაც. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არის ვიქტორის მუსიკა ასეთი მეტყველი, ამიტომ აღწევს ასე უშუალოდ მსმენელს და მაყურებელს, რომ პერსონაჟის და მუსიკის ხასიათი ყოველთვის შესატყვისია. ამიტომ არის მისი მუსიკა ისეთივე მეტყველი და გასაგები, როგორც სიტყვა.

მაგრამ ვიქტორმა განა უცებ მიაგნო ყოველივე ამას! იგი ძალიან ბევრს და დაძაბულად მუშაობდა. ერთ და იმავე არიას ან რეჩიტატივს ხან ასე დაამღერებდა, ხან ისე. მახსოვს მისი ჩაფიქრებული, ღრმად შიგნით წასული თვალები, როცა იგი თავისთვის უკრავდა, ან დაამღერებდა რომელიმე ფრაზას, მიაყურადებდა, გაიმეორებდა, კიდევ და კიდევ, და სჯიდა, სწყვეტდა, თვითონ სწყვეტდა ასეთ ახალს და ასეთ რთულ საკითხს, — თუ რა მუსიკა, რა ფრაზა შეეფერებოდა და შეესიტყვებოდა უფრო კარგად ამ ახალს, უჩვეულო ქართულ კომიკურ ოპერას. მთელი დღეები იჯდა თავის კუთხეში და შრომობდა, ხან წამოდგებოდა, დაუკრავდა რამეს, ისევ ჩაჯდებოდა, შრომობდა თავაუღებლივ, ხან ისე ღრმად ჩაფიქრებული, რომ, ვგონებ, თავს გაგიტეხდა, ხელი რომ შეგეშალა, ხან კიდევ მხიარული, თვალებ გაბრწყინებული, აღილინებული, ალბათ, კმაყოფილი რაიმე ნაპოვნით, და უკვე გულდაჯერებული ამ ნაპოვნის სისწორით, სიმართლით.

მახსოვს, ერთხელ მე და დედაჩემი სადღაც სხვაგან ვიყავით. საღამო ხანს დავბრუნდით შინ. ჩვენს „ზალაში“ უკვე ნახევრად ბნელოდა. ვიქტორი შინ იყო, გაიგონა თუ არა ფეხის ხმა აივანზე, დამიძახა:

— ვინ არის? შენ ნინა? მოდი აქ!

შევედი, ბოლთასა სცემდა ოთახში. პალტოს გახდაც არ მაცალა, ხელი დამავლო: „მოდი, აქ, ყური დამიგდე, — როიალთან მიირბინა, აკორდი აიღო,— დააკვირდი, აი მე დავუკრავ რეჩიტატივს. ხომ იცი, რეჩიტატივი?“ — მე უკვე ვიცოდი, რომ რეჩიტატივი სიმღერის თავისებური ფორმაა ოპერაში, როცა მსახიობი არ მღერის, არც თუ უბრალოდ ლაპარაკობს, არამედ აკორდის ხმაზე ერთგვარად წაამღერებს თავის სათქმელს. რეჩიტატივს მიმართავენ დიალოგების დროს.

ეს ის დრო იყო, როცა ოპერა თითქმის მთლიანად შეკრული ჰქონდა, არიები, დუეტები, გუნდი თუ ორკესტრი. უკვე ორკესტრის პარტიებს იწერდა, მაგრამ შიგადაშიგ მუდამ უბრუნდებოდა რომელიმე ადგილს და ისევ ხან ასე გასინჯავდა, ხან ისე.

— აბა მოისმინე,—მითხრა, — მე დავუკრავ ორჯერ. კარგად დააკვირდი და მითხარი, რომელი უფრო მოგეწონება.

აკორდი გაიმეორა და რეჩიტატივით წაამღერა, კარგად მახსოვს სწორედ მაკარის და საქოს რეჩიტატივი იყო, მეორე მოქმედების დასაწყისში რომ არის:

**საქო** — აი, სწორედ კარგად მოიქეცით თქვენა, მე რომ დამიჯერეთ და ბარბარეს უხმეთ.

**მაკარი** — ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ ჩემი ქეთო, ასეთი ლამაზი, და თავადს კი არ მოეწონა...

ეს პატარა დიალოგი ორჯერ დაუკრა, დამღერებით სხვადასხვა ხმაზე და მკითხა — რომელი უფრო მოგწონსო. მახსოვს მე უცებ ვუპასუხე — მეორემეთქი. დამაკვირდა, თითქოს შეეჭვდა, გაიმეორა: „აბა, კარგად დაფიქრდი, კიდევ დავუკრავ“. დაუკრა და თან ისეთი გამომცდელი, რაღაცნაირად გამსჭვალავი მზერა მომაპყრო, აი, მხატვარი რომ თქვენს სურათს წერს. განსაკუთრებით სახეს. ისეთი მძიმეა, გამომცდელი, თითქოს ავი თვალითაც გიცქერის, ისე გიყრის თვალს თვალში, თითქოს უნდა მისწვდეს თქვენს შინაგან არსს, მთლიანად გაიგოს, რითი სულდგმულობთ, და თან თითქოს გაჯადოებს კიდეც, რომ ნამდვილად თქვენი საკუთარი, თქვენი არსის გამომეტყველი სახე მიიღოთ, გაჯადოებს როგორც კატა საბრალო თაგვს, რომელიც უკვე მის ხელთაა და ველარსად წაუვა...

— აბა, რომელი?

— ახლა პირველი.

წუთით დაფიქრდა, კიდევ შემათვალიერა თავისი შავი, ჭკვიანი თვალებით, მერე უცებ გაიცინა, კიდევ დაუკრა ხმაურით, არპეჯიებით იგივე ფრაზა, წამოდგა.

—— საოცარია, შენ ხომ უცხოურ მუსიკაზე ხარ აღზრდილი, ჰაიდნს და ბეთხოვენს უკრავ, მუდამ როსინის და ვერდის მელოდიებს ისმენ, რათ მოგეწონა მაინცდამაინც ქართული და არა კლასიკური, იტალიური ჰანგი ამ რეჩიტატივში. აი; უსმინე, ეს ტიპიური იტალიური რეჩიტატივია, -- დაუკრა, — ასეთი შენ მუდამ გესმის, თუნდაც „სევილიელ დალაქში“ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის გხიბლავს. ეს კი, — ახლა სხვა, მეორე დაუკრა, — ეს ქართულ ჰანგზეა აგებული, აი, უსმინე დაბოლოვებას, — დაამღერა „და თავადს კი არ მოეწონაა“. — ქვევით ჩადის მელოდია, ხომ გესმის? ასეთი რეჩიტატივი შენ არასოდეს მოგისმენია, და მაინც იგი უფრო მოგეწონა. ნუთუ ასე ძლიერია ადამიანში მშობლიური, დედისეული; ვინმე იტალიელი გოგონა რომ ყოფილიყო, თუნდაც, აქ, ჩვენში აღზრდილი, მას მაინცდამაინც ეს იტალიური ჰანგი უფრო მოეწონებოდა? საოცარია.

იგი დაფიქრებული წავიდა მაგიდასთან და მუშაობა განაგრძო.

ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს მე ამ ამბით ვამტკიცებდე, რომ ვიქტორმა ჩემი არჩევნით გადაწყვიტა ქართული რეჩიტატივები გაეკეთებინა „ქეთო და კოტეში“. რაღა თქმა უნდა, ეს საკითხი მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ რახან მე სწორედ იმ წუთს შემოვედი, როცა იგი ამ რეჩიტატივს წერდა, უცებ გადაწყვიტა ეს ცდა ჩაეტარებინა, რომ სრულებით გამოუბრძმედელ მსმენელზე გამოეცადა შთაბეჭდილება.

საზოგადოდ ვიქტორს უყვარდა ასეთი ცდების ჩატარება. ხშირად მოჰყავდა სახლში ახალგაზრდა მომღერლები, აჩვენებდა მათ თავის ახალ არიებს თუ რომანსებს, ამღერებდა და ყურადღებით ათვალიერებდა, მოსწონთ თუ არა მოხერხებულია თუ არა ამ ხმისათვის, ვთქვათ ბანის ან ტენორის თუ სოპრანოსათვის, ესა თუ ის მუსიკალური ფრაზა, როგორ ისმის, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს? აგრეთვე ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, ისმის თუ არა სიმღერის დროს ტექსტი, თვითონ სიტყვები. ვიქტორი ამბობდა: „საშინელებაა, როცა მსმენელი იტანჯება, ყურადღებას ძაბავს და ვერ კი გაუგია რას მღერის მსახიობი, სიტყვები ვერ გაურჩევია, ყოველივე სიტყვა მკაფიოდ უნდა ისმოდეს, მუსიკამ უტანჯველად უნდა დაატკბოს მსმენელი“.

ვიქტორი ყოველთვის ცდილობდა, არა თუ რომანსებში, გუნდებშიც, კვარტეტებში, კვინტეტებში, რაც შეიძლება მუსიკასთან შერწყმული ყოფილიყო სიტყვა, და ადვილად გაეგო იგი მსმენელს. ხშირად იტყოდა: „აბა, თუ ვინმე არ გაიგებს, ან გამოტოვებს თუნდაც ერთ სიტყვას ჩემი პირველი გუნდიდან: „დავცალოთ ყანწები, დავცალოთ ჰიქები, დავცალოთ ძმურადა, დავცალოთ ერთადა, მეგობრებო!

საინტერესოა, რომ ვიქტორმა არა თუ ლიბრეტო თავისი პირველი ოპერისათვის, ისევე როგორც მეორე — „ლეილასათვის“ თვითონ დაწერა, არამედ ტექსტებიც, არიების, დუეტების, კვარტეტების, გუნდის სიტყვები, ყველა თვითონ ვიქტორისაა.

მართალია, იგი პოეტი არ იყო, ამიტომ ხშირად მიმართავდა პოეტებს, — ი. გრიშაშვილს, ი. მჭედლიშვილს, გ. ტაბიძეს, ს. ერთაწმინდელს, მარიჯანს; ყველა ესენი პატარაობიდან მახსოვს ჩვენთან სახლში, თუ სადმე აგარაკზე, — წაღვერში, ბორჯომში, ბაკურიანში. ვიქტორი ხშირად მიმართავდა მათ, როცა რომელიმე მის მიერ დაწერილი ტექსტი არ აკმაყოფილებდა თვითონ ლექსწყობის ან რითმების მხრივ. ბევრს აწვალებდა: „არა, ასე არა, აი როგორ მინდა“, და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ ტექსტს როგორც შინაარსით, ისე რითმითაც დამაკმაყოფილებლად არ ჩათვლიდა.

---

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარების უნივერსიტეტი









ფოტო ოთარ თურქიასი

სამი წლის წინ თბილისში შეიქმნა სპეციალური საშუალო სკოლა-ინტერნატი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ ფიზიკისა და მათემატიკის მეცნიერებისადმი. ფიზიკა-მათემატიკის ამ საშუალო სკოლის დაარსების ინიციატორი გახლდათ პროფ. ფ. ხარშილაძე.

თბილისს გარდა, ასეთი სკოლები არსებობს ჯერჯერობით მხოლოდ მოსკოვში, ლენინგრადში, ნოვოსიბირსკში, კიევსა და ერევანში. მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების დონე აქ დიდად განსხვავდება ჩვეულებრივი სკოლის დონისაგან. აქ ახლებურად არის აგებული მათემატიკის კურსი, რომელშიც შედის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, ანალიზური გეომეტრიის და სხვა საკითხები. გარდა ამისა, სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულნი გადიან ყველა დანარჩენ საგანსაც, რასაც ჩვეულებრივ სკოლებში ასწავლიან.

ვ. კომაროვის სახელობის თბილისის სკოლა-ინტერნატში სწავლობს დაახლოებით ოთხასი ბავშვი, რომლებიც ჩამოსული არიან რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან. აქ თქვენ ნახავთ ბავშვებს, რომლებიც ფენომენალური ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი. მათ ასწავლის 60-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის, მათემატიკა-ფიზიკის სპეციალურ კურსს კითხულობენ ცნობილი ქართველი მათემატიკოსები და ფიზიკოსები, პროფესორები ფ. ხარშილაძე და თ. გეგელია, დოცენტები — ა. ბენდუქიძე, პ. კოლონია, ბ. გურგენიძე, თ. დავითაშვილი და ო. შახულაშვილი.

აქვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით შექმნილია მზრუნველთა საბჭო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებისადმი.

სკოლის მუშაობაზე დაწვრილებით მოგვითხრობს სასწავლო ნაწილის გამგე არჩილ გოცირიძე. სასწავლო კორპუსის ნათელ, კრიალა კორიდორში ყურადღებას იპყრობს კედელზე ჩამოკიდებული პორტრეტები; აქ, გამოჩენილ მათემატიკოსთა პორტრეტების გვერდით, ჰკიდია ჩვენი სახელოვანი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ფოტოსურათი.

— ჩვენს მოსწავლეებს ძალიან უყვართ მშობლიური ლიტერატურა, — აგვიხსნა არჩილ გოცირიძემ, — ამაში კი განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სვიმონ სხირტლაძეს.

სვიმონმა თვითონვე მოგვითხრო თავისი მუშაობის შესახებ.

— მართალი გითხრათ, არ მეგონა, ისეთი „მშრალი" მეცნიერების ტრფიალთა შორის, როგორც მათემატიკაა, ჩვენი მშობლიური ენის, ჩვენი ლიტერატურის ასეთ თაყვანისმცემლებს წავაწყდებოდი; ჩემთვის ამ ბავშვებთან მეცადინეობა ნამდვილი ბედნიერებაა. მათ კარგად ესმით, რამდენ საჭიროა მათთვის ქართული ენის სწავლა. ნუ გაგიკვირდებათ, — ღიმილით დასძენს სვიმონი, — ჩვენ აქ ჩვენი მწერლები და პოეტებიც გვყავს, ნამდვილი ლირიკოსები. ერთ ხასიათში ლირიკოსის და ფიზიკოსის შერწყმა კი არც თუ იოლი საქმეა. თუმცა ამას მე მაბრალებენ. ასეა თუ ისე, მიხარია, რომ ჩვენმა პატარა მათემატიკოსებმა მსოფლიოს გამოჩენილ მათემატიკოსთა გვერდით დიდი ქართველი პოეტის სურათიც ჩამოჰკიდეს.

ასევე ემადლიერებიან თავიანთ მოწაფეებს ისტორიის მასწავლებელი მარო ბურდული, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ჯუანშერ ჯურხაძე, ბიოლოგიის მასწავლებელი ნათელა კვიტაშვილი და სხვები.

აქ გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ოთარ თურქიამ გადაიღო, აღბეჭდილია თბილისის „პატარების უნივერსიტეტის" ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი.

დარბაზში სიჩუმეა. მიმდინარეობს საკონტროლო წერა (ფოტო № 1).

გამოთვლით მანქანასთან მეცადინეობენ მე-8 კლასის მოსწავლეები მასწავლებელ მზია ბერაძის ხელმძღვანელობით (ფოტო № 2).

აკად. ნ. მუსხელიშვილი ამოწმებს კლასის მოსწავლეს ვ. კოკილაშვილს, თუ რამდენად დაეუფლა იგი მათემატიკის ურთულეს საკითხებს (ფოტო № 3).

გაკვეთილის შემდეგ კიდევ დიდხანს გრძელდება ხოლმე ნორჩი მათემატიკოსების კამათი (ფოტო № 4).

ახლა კი შეიძლება ცოტა მხრების გაშლაც, მაგრამ ამ მოსწავლეს ცალი თვალი მაინც ინტეგრალური განტოლებებისაკენ მიურბის (ფოტო № 5).



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.



# ერთი ჭიქა ღვინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს პრესაში ბევრჯერ აღინიშნულა, თუ რაოდენ მავნე და დამღუპველ გავლენას ახდენენ მაგარი სასმელები ადამიანზე, მით უფრო არასრულწლოვანზე. სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მიერ განხილული და ჰადაწყვეტილი საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანის მიერ მართლწესრიგის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის კონკრეტული მიზეზი, ძლიერ ხშირ შემთხვევაში, სიმთვრალეა.

ალკოჰოლს, გარდა იმისა, რომ საფრთხის ქვეშ აყენებს და ანადგურებს ადამიანის ჯანმრთელობას, დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვისაც. მთვრალი ივიწყებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას და ადვილად ადგება დანაშაულის გზას.

ალკოჰოლიზმი განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული მძიმე და საშიშ დანაშაულთან (მკვლელობა, დაჭრა, ძარცვა, ხულიგნობა და სხვა.).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საერთო დანაშაულთა (მათ შორის ხულიგნობის) დაახლოებით 70-80 პროცენტი ხდება სიმთვრალის დროს. ზომაზე მეტი და გადაჭარბებული სმა რომ დანაშაულთა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, ამას ჩვენი რესპუბლიკის საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს.

ეს ამბავი შარშან მოხდა. რუსთავის პროფტექნიკური სასწავლებლის ექვსი მოსწავლე თბილისის რკინიგზის სადგურში შეხვდნენ ერთი-მეორეს. ახალგაზრდები რუსთავში მიდიოდნენ და ერთმანეთის ნახვით გახარებულებმა გადაწყვიტეს შეხვედრა საგანგებოდ აღენიშნათ. შეიძინეს საჭირო სანოვაგე, რამდენიმე ბოთლი არაყი და გარდაბნის მიმართულებით მიმავალ ელექტრომატარებლის ერთ-ერთ ვაგონში მოთავსდნენ. გაეწყო სახელდახელო სუფრა, ყმაწვილები ერთმანეთს საუკუნო ძმობასა და სიყვარულს ეფიცებოდნენ. ასე გაგრძელდა, ვიდრე არაყმა მათ გონება არ აურია და მეგობრები მტრად არ მოაჩვენა: შემდეგ კი დაიწყეს ლანძღვაგინება, ჩხუბი, ჭირვეულობა. უმიზეზოდ იმუქრებოდნენ და ერთი მეორეზე საცემრად იწევდნენ. ისინი არაფრით არ ჰგავდნენ იმ თავაზიან მეგობრებს, რომლებიც ერთი საათის წინ ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ.

მატარებელი გარდაბანს უახლოვდებოდა, მგზავრების ნაწილი გზადაგზა ჩამოვიდა, ზოგიც თავაშვებულ მთვრალებს გაერიდა. ვაგონში მთვრალებს გარდა, ორი ახალგაზრდა დარჩა. არყით გამომთვრალმა მოსწავლეებმა შეამჩნიეს თუ არა ისინი, განიზრახეს მათი გაძარცვა. უცებ მისცვივდნენ და ძალითა და მუქარით თავიანთი ბოროტი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. უცნობ ჭაბუკებს წაართვეს საათი, ფული (4 მანეთი), გახადეს ტანსაცმელი. რაც იქვე გაინაწილეს. ნაძარცვი ნივთები (ფეხსაცმელი, კოსტუმი, პერანგი) ზოგიერთმა იქვე ჩაიცვა, ხოლო დაზარალებულთ თავიანთი გამონაცვალი ძველმანები მიუყარეს.

ცხადია, ბოროტმოქმედებს არ შერჩათ დანაშაული. ისინი იმავე ღამით დააკავეს.

გამოძიების პროცესში ერთი ძალზე უცნაური ამბავი გამოვლინდა: თურმე ერთ-ერთ მძარცველს დაზარალებულისათვის ძველი, დახეული კოსტუმი წაურთმევია და მისთვის თავისი ახალი, ძვირფასი ქსოვილიდან შეკერილი კოსტუმი ჩაუცმევია. ისიც ძალათი და ცემა-ტყეპით.

მართალია, ეს ამბავი ცოტათი ჰგავს მოლა ნასრედინის ვაჭრობას, ძვირად რომ ყიდულობდა და იაფად ჰყიდდა, ვაჭრის სახელი დამერქმევაო, მაგრამ ეს უფრო სატირალია, ვიდრე სასაცილო. ეს ფაქტი ხომ აშკარად მოწმობს, რომ დანაშაული ამ შემთხვევაში ჩადენილი იყო ალკოჰოლის გავლენით. ისიც გამოირკვა, რომ საერთოდ ეს ახალგაზრდები მუდამ კარგად იქცეოდნენ, კარგი ბიჭები იყვნენ, მაგრამ აი, დალიეს არაყი და დაკარგეს ჭკუაც, მორიდებაც და მძარცველებად იქცნენ.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ჩვენ არაფერს ვამბობთ დანაშაულის კვალიფიკაციისა თუ სასჯელის ღონისძიების შეფარდების საკითხზე. ცხადია, მათ ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. ვიმეორებ, ადრე მათ, არც სკოლაში და არც სამუშაოზე ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, საზოგადოებრივი წესრიგი არასოდეს დაურღვევიათ.

ერთხელ მე თვითონ ვნახე, თუ როგორ იქცეოდა სამი არასრულწლოვანი ჭაბუკი თბილისის „დინამოს" სტადიონზე; მათი უხეშობა, თავხედობა — ეს იყო აშკარა გამოწვევა იქ მყოფთა მიმართ; გაუთავებლად ლაზღანდარობდნენ; ბოლოს ისე გათავხედდნენ, რომ წამდაუწუმ წამოხტებოდნენ ხოლმე ადგილებიდან და შეურაცხყოფას აყენებდნენ ყველას, ვინც ბედავდა და მათ წესრიგისაკენ მოუწოდებდა. მოთმინებიდან გამოსული მაყურებლები იძულებული გახდნენ ხულიგნების წინააღმდეგ ერთიანი ძალით ემოქმედათ. სულ მალე დაიმორჩილეს და მილიციას გადასცეს. ამის შემდეგ ისინი ერთბაშად მოტყდნენ, თავს ისაწყლებდნენ და პატიებას ითხოვდნენ.

რატომ გავიხსენე ეს ამბავი? ამ შემთხვევაშიც გამოძიებით დადგინდა, რომ სხვა დროს მათ ასეთი რამ არ ჩაუდენიათ და ეს არასასიამოვნო ამბავი შეემთხვათ სიმთვრალის შედეგად; ერთ-ერთ მათგანს რაიონიდან ნათესავმა ტელეფონით დაურეკა და სთხოვა უახლოეს მატჩზე დასასწრებლად რამდენიმე ბილეთი მიშოვნეო. ჭაბუკმა ეს დავალება თავის ამხანაგების დახმარებით შეასრულა. სამაგიეროდ „პატივისცემის" მიზნით ნათესავმა და მისმა მეგობრებმა ისინი მატჩის წინ, სტადიონის ახლოს რესტორანში წაიყვანეს და მაგარი სასმელები დაალევინეს.

აი ასეთი სიკეთე უყვეს უფროსებმა უმცროსებს! ეს გამონაკლისი რომ იყოს, არაფერს ვიტყვით, მაგრამ ძლიერ ხშირ შემთხვევაში მოზარდებს გადაჭარბებულ სმას უფროსები აჩვევენ და ამ გზით, ნებით თუ უნებურად, უბიძგებენ დანაშაულისაკენ.

არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს ბავშვთა და მოზარდთა დაბადების დღის აღნიშვნის საკითხი. ეს ძველი ტრადიციაა, რომელიც ახლაც ფართოდ არის გავრცელებული. ამგვარი დღეობების მოწყობა, რა თქმა უნდა, თავისთავად კარგი საქმეა, მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც ზომიერებაა საჭირო. ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ დღეობებს მეტად არასასურველი შედეგები მოსდევს.

ზოგჯერ დღეობაზე მოზარდები უმეთვალყურეოდ არიან მიტოვებული და როგორც უნდათ, ისე ატარებენ დროს: საშუალება აქვთ დალიონ მაგარი სასმელები, იმაზე მეტი, ვიდრე ატანა შეუძლიათ. ამას მოსდევს თავშეუკავებელი საქციელი და ზოგჯერ დანაშაულიც. სწორედ ასე მოხდა თბილისში რამდენიმე ხნის წინათ; მოსწავლის დაბადების დღესთან დაკავშირებული წვეულებიდან წამოსული გ-შვილი ქუჩაში სრულიად უმიზეზოდ აუხირდა ხ-ძეს და შემდეგ დანით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ასე იქცა ერთის დაბადების დღე მეორისათვის სიკვდილის დღედ.

ასეთი შემთხვევები კიდევ შეიძლებოდა დაგვესახელებინა, მაგრამ ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია.

მთავარი ის როდია მოზარდის დაბადების დღის აღსანიშნავად მშობლებმა მდიდრული სუფრა გაშალონ და გულუხვი მასპინძლობა გასწიონ. მათი უპირველესი მიზანი უნდა იყოს, ეს შემთხვევა გამოიყენონ ახალგაზრდობაში მეგობრობის, ურთიერთ პატივისცემის და სხვა დადებითი ჩვევების გამომუშავებისა და განმტკიცებისათვის. ე. ი. ეს თავშეყრა უნდა ვაქციოთ მათი აღზრდის საშუალებად.

მშობლები, ხშირ შემთხვევაში, ასე მსჯელობენ — ლიმონათით ქეიფი ვინ გაიგონა, თითო ჭიქა ღვინო პირიქით სასარგებლოც არისო. მაგრამ იმას აღარ უყურებენ, რომ იმ ერთ ჭიქას მეორე მოსდევს, მეორეს მესამე და ა. შ.

მე შევსწრებივარ მოზარდების სუფრას — უნდა გენახათ მათი გაფითრებული სახეები სულ თითო ჭიქა ღვინის მერე, წამდაუწუმ მიბანცალებდნენ ტუალეტისაკენ, მაგრამ ბევრი ვერც აღწევდა იქამდე; სუფრასთან ჭაბუკები ისხდნენ, მაგრამ თითოოროლა თორმეტიოდე წლის ბიჭუნაც შევამჩნიე. ყველაზე ძალიან სწორედ მათ უჭირდათ.

გვერდს ვერ ავუვლით იმასაც, რომ ზოგჯერ სასამართლო პროცესზე არასრულწლოვანი ცდილობს თავისი დანაშაული სიმთვრალით ახსნას — არაფერი მახსოვსო. საჭიროა განვმარტოთ, რომ ეს არ იმსახურებს შეღავათს, ჩვენი კანონმდებლობით (საქართველოს სსრ სსკ 14 მუხლი) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან არ თავისუფლდება ის პირი, რომელიც სიმთვრალეში ჩაიდენს დანაშაულს.

საერთოდ, ლოთობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებასთან ერთად, საჭიროა გამოვიყენოთ ზემოქმედების ყველა ღონისძიება იმათ მიმართ, ვინც თავისი დაუდევარი, უპასუხისმგებლო მოქმედებით ხელს უწყობს მოზარდის სულიერ დამახინჯებას და აჩვევს მას მაგარი სასმელების სმას.

ფართო საზოგადოებრიობა მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

**ნ. დავითაია**
**საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.**

# ნატახტარი  შავი ზღვა არ არის

მოწყურებული აქლემი ერთ დალევაზე 100 ლიტრა წყალს სვამს, მოწყურებული კაცი — ერთ ჭიქას, ბევრი-ბევრი ორს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ადამიანს ერთი ჭიქა წყალი სჭირდებოდეს. თანამედროვე ადამიანი ყოველდღიურად წყლის დიდ რაოდენობას ხარჯავს. ასე მაგალითად, ნიუ-იორკში თვითეულ მოსახლეზე დღე-ღამეში 800 ლიტრი წყალი მოდის, პარიზსა და ბერლინში — 450 ლიტრი, მილანში— 400, მადრიდში — 300, მოსკოვში 500 ლიტრი.

ადამიანი წყალს მარტო სასმელად და საოჯახო-სამეურნეო დანიშნულებისათვის როდი იყენებს. წყალი დიდი რაოდენობით არის საჭირო კვების პროდუქტების, სხვადასხვა ნივთიერებებისა და იმ სამრეწველო საქონლის დასამზადებლად, რომელთა გარეშე შეუძლებელია ადამიანის არსებობა. იმისათვის, რომ 1 ტონა ნავთობი გავწმინდოთ, სულ ცოტა 18 ტონა წყალია საჭირო, 1 ტონა ფოლადის გამოსადნობად საჭიროა 52 ტონა წყალი, 1 მეტრი შალის ქსოვილის მისაღებად — 2,5 ტონა წყალი, 100 ლიტრი ლუდი რომ გამოვხარშოთ — 1.000 ლიტრი წყალი უნდა დავხარჯოთ.

თანამედროვე კაცობრიობა დღე-ღამეში 7 მილიარდ ტონა წყალს ხარჯავს. წყლის რესურსები ჩვენ პლანეტაზე მეტად არათანაბრად არის განაწილებული: ზოგიერთ ქვეყანას წყლის იმაზე მეტი მარაგი აქვს, რაც ფაქტიურად სჭირდება, ზოგიერთი ქვეყანა კი ძლივ-ძლივობით მიდის იოლად თავისი წყლით; მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყანა დღესაც გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დგას და მწვავედ განიცდის წყლის მუდმივ ნაკლებობას.

ისტორიამ ცოტა როდი იცის შემთხვევები, როცა წყლის სიმცირის გამო, ამა თუ იმ მსხვილი ქალაქის ცხოვრება ერთ ადგილზე გაყინულა და მერე თანდათან ჩამკვდარა. ან კიდევ ასეთი ფაქტი: 1961 წელს ქალაქ სინგაპურის ხელისუფალნი, წყლის სიმცირის გამო, იძულებულნი გახდნენ საგანგებო წესი შემოეღოთ და სასმელი წყალი სასურსათო ბარათებით გაეცათ მოსახლეობაზე. ასეთივე მდგომარეობა იყო ჩვენთანაც, ქალაქ კრასნოვოდსკში (მდებარეობს კასპიის ზღვის ნაპირზე, ერთადერთი უწყლო ქალაქია მთელ საბჭოთა კავშირში), სადაც 30-იან წლებში თვითეულ მოსახლეზე ნორმირებული იყო წყლის ულუფა და წყალს სასურსათო ბარათებით ურიგებდნენ ხალხს. იტალიის ქალაქ ბარში, უკანასკნელ ხანებში, ჩვეულებრივი სასმელი წყალი დეფიციტურ საქონლად იქცა და მას „შავ ბაზარზე“ ჰყიდიან: 1 ლიტრი სასმელი წყალი აქ 7 ლირად იყიდება.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში, საქართველოში?

საქართველო თავისი წყლის რესურსებით ერთ-ერთი უაღრესად მდიდარი რესპუბლიკაა მთელ საბჭოთა კავშირში. შეიძლება ზოგიერთ მკითხველს გაუკვირდეს კიდეც, როცა გაიგებს, რომ თბილისში მცხოვრებ ყოველ მოსახლეზე გაცილებით უფრო მეტი სასმელი წყალი მოდის, ვიდრე ლენინგრადში, კიევში, მინსკში, რიგაში, ბაქოში, ერევანში, ტაშკენტში ანდა ევროპის მთელ რიგ მოწინავე ქვეყნების ქალაქებში.

თბილისში მაქსიმალური წყლის მოწოდება წამში 8500 ლიტრს აღწევს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი დღე-ღამეში 784.000 კუბურ მეტრ წყალს იღებს.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ წყლით მომარაგების მხრივ როგორ ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან თბილისელები, ასეთი შედარება შეიძლება მოვიყვანოთ: თბილისის მოსახლეობა 860.000 კაცს შეადგენს, ქალაქ გორკისა — 1 მილიონ 200 ათას ადამიანს. მოსახლეობის ასეთი დიდი სხვაობის მიუხედავად, წყლის სადღეღამისო მიწოდება, თბილისთან შედარებით, ვოლგისპირა ქალაქში მნიშვნელოვნად უფრო დაბალია და მხოლოდ 870.000 კუბურ მეტრს შეადგენს. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებზეც. მაგალითად, რიგა, როგორც ცნობილია, დაახლოებით თბილისის ხელა ქალაქია, მაგრამ წყლის სადღეღამისო მიწოდება რიგაში თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე თბილისში.

1921 წელს თბილისში მცხოვრები თითოეული ადამიანი, დღეღამეში სულ 61 ლიტრ წყალს იღებდა. 1967 წლის ბოლოსათვის კი ყოველ თბილისელზე დღე-ღამეში 620 ლიტრი წყალი მოდიოდ. (აქედან 300 ლიტრი სასმელი და საოჯახო საჭიროებისათვის გამოყენებული წყალია).

ბუნებრივად იბადება კითხვა: მაშ რაშია საქმე? რატომ განიცდის ქალაქი წყლის ნაკლებობას? რატომ ხდება, რომ თვით ზამთრის სუსხიან დღეებშიც კი თბილისის ზოგიერთ რაიონში რამდენიმე საათით წყვეტენ წყლის მიწოდებას. რატომ დასჭირდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომ სპეციალური დადგენილება მიეღო წყლის მომჭირნეობით ხარჯვაზე?

მოდით გულახდილად ვილაპარაკოთ! ყველაფერი ეს — ქალაქის მკვიდრთა დაუდევრობის შედეგია; წყლის ნაკლებობაში ბრალი მეც მიმიძღვის, შენც, ყველას მიგვიძღვის ბრალი. ჩვენ ხომ სრულიად ხელგაშლილად, რაღაც საოცარი უდარდელობით ვეპყრობით წყლის ხარჯვის საქმეს... ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ნატახტარი და ბულაჩაური შავი ზღვა და ატლანტის ოკეანე არ არის, დაულეველი და ამოუწურავი არ არის!

თბილისელთა ბინებში 100 ათასზე მეტი ჩამრეცხი ავზი დგას. ამას წინათ სახალხო კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ჩატარებულმა რეიდმა გამოარკვია, რომ ამ ავზების დიდი რაოდენობა დაზიანებულია და ძვირფასი სასმელი წყალი თვეების მანძილზე უმიზნოდ მიედინება საკანალიზაციო ქსელში.

განა ჩვენი გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობის შედეგი არ არის, რომ ხშირად გულგრილად შევცქერით ჩვენს ბინებში დაზიანებულ აბაზანებს, ღიად ვტოვებთ ხოლმე ონკანებს, ეზოებისა და ბაღჩების მოსარწყავად ვიყენებთ წყალს.

თბილისის წყალსადენის სისტემაში აღურიცხავი და უმიზნოდ დაკარგული სასმელი წყლის რაოდენობა დღე-ღამეში გასაოცარ ციფრს—100.000 კუბმეტრს აღწევს. წყლის ეს რაოდენობა თავისუფლად დააკმაყოფილებდა ერთ არც თუ ისე პატარა ქალაქს!

მე ვიცნობ ერთ ოჯახს. ამ ოჯახის დიასახლისს მიაჩნია, რომ ხილი, პირველ რიგში, საზამთრო წყალში უკეთესად ცივდება, ვიდრე მაცივარში, წყალი, თურმე ნუ იტყვით, უფრო სასიამოვნოდ და ზომიერად აცივებს საზამთროს; მაცივარში ჩაციებული საზამთრო კი თურმე უგემურია.

ჰოდა, აი დაბრუნდება ხოლმე შინ დილაადრიანად ბაზარში წასული დიასახლისი, აბაზანაში ერთი ვაი-ვიშვიშით ჩააგორებს უზარმაზარ საზამთროს და ბოლომდე მოშვებულ ონკანიდან საზამთროს მთელი დღე თქრიალით ედინება წყალი.

შეიძლება ვინმემ მითხრას: მერე რა მოხდა, ასეთ წვრილმანზე ლაპარაკი არცა ღირდაო, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით ზღვაც წვეთებისაგან შედგება და იგივე ზღვა, როგორც ანდაზა ამბობს, კოვზითაც შეიძლება დაილიოს.

აბა თქვენ თვითონ დაფიქრდით, როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ყველა თბილისელმა ჩემი ნაცნობი დიასახლისის მაგალითს მიბაძოს და ზოგმა საზამთრო, ზოგმა კიტრი, ზოგმა ლუდი, ზოგმა კიდევ რა და რა, აილოს და დილიდან საღამომდე ბოლომდე მოშვებულ ონკანის ქვეშ ჩააციოს?

ზაფხული კარზეა მომდგარი. ახლა უფრო მეტი მომჭირნეობის გამოჩენა გვმართებს. ახლა უფრო მეტი სერიოზულობით უნდა ვიბრძოლოთ წყლის დანაკარგების წინაალმდეგ, რომელიც საბოლოო ჯამში ერთ დიდ წყალუხვ მდინარედ მოიყრის თავს და პაპანაქება სიცხეში აღარ დაგვჭირდება ვედროებით ხელში აქეთ-იქით ვირბინოთ წყლის საძებნელად. თბილისის წყალსადენის ხელმძღვანელები მთელი სერიოზულობით აცხადებენ, რომ თუ დანაკარგებს მოვსპობთ, ქალაქს წყალი ყელამდე ეყოფა.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს. ევროპის მთელ რიგ ქალაქებში ქუჩებსა და სკვერებში დადგმულ წყლის სასმელ შადრევნებს სპეციალური ღილაკი აქვს დამონტაჟებული. გამვლელი, რომელსაც წყლის დალევა უნდა, ხელს დააჭერს ამ ღილაკს და შადრევნიდან მაშინვე ამოჩუხჩუხდება წყალი. საკმარისია ღილაკს ხელი ავუშვათ, რომ წყლის დენა მაშინვე შეწყდება.

თბილისის ქუჩებში, პროსპექტებზე, მოედნებზე, ბაღებში და სკვერებში, როგორც ვიცით სასმელი წყლის ბევრი შადრევანია, რომლებიდანაც დღე და ღამე უამრავი წყალი იკარგება; ურიგო არ იქნება, რომ ღილაკიანი შადრევნების მაგალითს მივბაძოთ და ბევრი ძვირფასი წყალი გადავარჩინოთ უმიზნო დაკარგვას.

ოთარ ბერიაშვილი



ნიკოლოზ ცხვედაძე

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ზურაბიშვილი წლების მანძილზე მდივნობას უწევდა იმ ღ:მფუძნებელ საზოგადოებას, რომელიც მუშაობდა უნივერსიტეტის დაარსების საკითხებზე და ამ მიზნით აგროვებდა საჭირო სახსრებს. ხსენებული საზოგადოების სხდომების ყველა ოქმი და დადგენილება ილია ზურაბიშვილის მიერ არის შედგენილი და მისივე ხელითაა დაწერილი. როდესაც ასეთი დაუღალავი მოღვაწეობისათვის საზოგადოებამ გადაწყვიტა მისთვის ხელფასი დაენიშნათ, ილიამ უარი განაცხადა და დასძინა: ჩვენი საზოგადოება ჯერ არ არის ისე მდიდარი, რომ ხელფასი დამინიშნოსო.

ილია ზურაბიშვილის „მოგონება ნიკოლოზ ცხვედაძეზე" პირველად იბეჭდება. ხელნაწერი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

ილია ზურაბიშვილი

> არდავიწყება მოყვრისა
> აროდეს გვიზამს ზიანსა.
>
> რუსთაველი

# მოგონება ნიკოლოზ ცხვედაძეზე

ისე არ გავივლი ჩვენი უნივერსიტეტისაკენ, რომ ორი ღირსსახსოვარი ადამიანის სახე არ წარმომიდგეს ცოცხლივ თვალწინ.

ერთია — ქართველი ინტელიგენციის სინდისისა და ღირსების სიმბოლო, განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი, ვინც ყველას ახსოვს და მუდამ ეხსომება.

მეორე — ის, ვინც... ალმაშენებელია ამ უნივერსიტეტის შენობისა, განსვენებული ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე, ვინც დღემდე არავის ახსოვდა, მაგრამ დიდად ღირსი კი იყო, რომ გვხსომებიყო.

მოგეხსენებათ, რა არის სათანადო შენობა უმაღლესი სასწავლებლისათვის, ისიც უნივერსიტეტისათვის, რომელიც სხვადასხვა ფაკულტეტების სახით, ჰუმანიტარულ დისციპლინათა გარდა, მეცნიერების ბევრ სხვა სპეციალურ დარგსაც შეიცავს, თითქმის დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლებს. სალექციო დარბაზების გარდა, საჭიროა ლაბორატორიებისა და სხვა დანიშნულებისათვის საჭირო სადგომები.

ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილის დიდ განზრახვას ბევრად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ არსებობდა მზამზარეული მშვენიერი დიდი შენობა, რომელსაც თამამად შეეძლო შეევრდომებინა თავის მკვიდრ კედლებს შორის ესოდენ დიდი ხნის ნანატრი ქართული უმაღლესი განათლების პირველი კერა.

საიდან გაჩნდა ეს, იმ დროისათვის ციკლოპური შენობა?

ამას გრძელი ისტორია აქვს და ამის მოყოლას აქ არ შევუდგებით.

ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი შენდებოდა ეგრეთწოდებული ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების სახელით.

ეს საზოგადოება წოდებრივი ორგანიზაცია არ იყო. მასში წევრებად შედიოდნენ როგორც თავადაზნაურნი, ისე სხვა წოდების პირნიც. მას განაგებდა განსაკუთრებული გამგეობა, რომელსაც საზოგადო კრება ირჩევდა.

სწორედ ეს საზოგადოება ინახავდა ყოფილ სათავადაზნაურო სასწავლებელს, შემდგომ გიმნაზიად გადაკეთებულს. გიმნაზია კერძო სასწავლებელი იყო, რომელშიაც თავადაზნაურთა შვილების გვერდით სწავლობდნენ სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა შვილებიც.

დღევანდელი საუნივერსიტეტო შენობა განკუთვნილი იყო სწორედ ამ გიმნაზიისათვის.

ნიკოლოზ ცხვედაძე, როგორც ერთ-ერთი წევრი ხსენებული საზოგადოების გამგეობისა, განაგებდა სწორედ ამ შენობის აგების საქმეს — და აქვე ვიტყვი, იგი რომ არ ყოფილიყო, ეს შენობა ვერ აიგებოდა, ყოველ შემთხვევაში, მაშინდელი დროისათვის იმ გრანდიოზული სახით, როგორც იქნა განხორციელებული.

* * *

ნიკოლოზ ცხვედაძე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და თანამოსაგრე ჩვენი დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილისა განათლების საქმეში.

როგორც ილია და აკაკი ყოველთვის ერთად იხსენიებოდნენ, ვით ქართული ლიტერატურის მესვეურნი, ისე იაკობ გოგებაშვილი და ნიკოლოზ ცხვედაძე ერთად იხსენიებოდნენ, ვით ქართული განათლების მოციქულნი.

ეს გადაჭარბება არ არის. ასე უყურებდა მათ ქართველი საზოგადოება, რადგანაც თავიანთი ქვეყნის განათლების საქმეს ისინი თანაბარი მამულიშვილური გრძნობით და პროგრესული იდეებით გამსჭვალულნი ემსახურებოდნენ.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამის დასადასტურებლად არ შეიძლება არ, ალინიშნოს ერთი ფაქტი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, ანეგდოტური ხასიათი აქვს, მაგრამ მეტად დამახასიათებელია აქ გამოთქმული აზრისა.

ესაა ნაამბობი განსვენებული სახალხო არტისტის მარიამ საფაროვ-აბაშიძის მიერ პირადად ჩემთვის და ბევრ სხვისათვისაც.

— იაკობ გოგებაშვილი, მე ცოტა არ იყოს, კურიოზულად გავიცანი, — ამბობდა მაკო, — თეატრში მუშაობის პირველ წლებში ერთხელ რეპეტიციიდან მოვდიოდი. თან ვანო მაჩაბელი მომდევდა. არწრუნისეულ ქარვასლაში (ახლა რომ გრიბოედოვის სახელობის თეატრია) ერთ მაღალ-მაღალ წითურ ადამიანს შევხვდით. ის და ვანო მაჩაბელი ერთმანეთს მიესალმნენ და ვანომ იგი გამაცნო:

— თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი იაკობ გოგებაშვილი.

მე ძალიან გამეხარდა ასეთი ადამიანის გაცნობა, რადგანაც ხშირად გამეგონა მისი სახელი, როგორც საზოგადო მოღვაწისა.

— ეს თქვენა ბრძანდებით ცხვედაძე-გოგებაშვილი? — შევეკითხე მას ღიმილით ხელის ჩამორთმევის დროს. — თქვენ იცინით (მოგვმართავდა ხოლმე მაკო მის მსმენელთ) — ახლა მეც სასაცილოდ მიმაჩნია ჩემი ასეთი უცნაური მიმართვა, მაგრამ მაშინ სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ატარებდა ცხვედაძე-გოგებაშვილის სახელს, რადგანაც არასოდეს ეს გვარები მე ცალ-ცალკე არ გამიგონია. ყოველთვის ერთად იხსენიებოდნენ, ასე რომ ჩემს წარმოდგენაში ისინი გაერთიანებულნი იყვნენ; მე, რასაკვირველია, უხერხულობა ვიგრძენ და გავწითლდი, როდესაც იაკობმა ღიმილით მითხრა — არა, ბატონო? მე — მე გახლავართ და ცხვედაძე თავისთავად ცხვედაძეა, ორივესათვის ესეც საკმარისიაო. ღიმილი — მისი ზრდილობის მაჩვენებელი იყო, მაგრამ კილოზე ოდნავი წყენა შევამჩნიე. მთლად ავირიე და საბოლოოდ რაღაც წავილუღლუღე. ვანო მაჩაბელი კი სიცილით კვდებოდა.

ეს უნდა ყოფილიყო ოთხმოციან წლებში, როდესაც ორივენი ჯერ კიდევ მასწავლებლობდნენ: გოგებაშვილი — თბილისის სემინარიაში, ხოლო ცხვედაძე ჯერ სემინარიაშივე და შემდეგ ქალთა ინსტიტუტში და წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში. მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო მასწავლებლობა არ შეადგენდა მათ საზოგადოებრივ დამსახურებას, თორემ ეგზომ ცნობილი არ იქნებოდნენ, როგორც საზოგადო მოღვაწენი.

ჩვენ ვიცით, რომ შემდეგში იაკობ გოგებაშვილი შეიქმნა შესანიშნავი პედაგოგი-მწერალი, ავტორი საუცხოო სახელმძღვანელოებისა, რომლებზედაც აღიზარდნენ ქართველი ახალგაზრდობის ათეული თაობანი.

ხოლო ცხვედაძემ შექმნა დღევანდელი უნივერსიტეტის ჩინებული შენობა.

შექმნაო რომ ვამბობ, ის კი არ უნდა იგულისხმებოდეს ვითომ მას თავისი სახსრით აეგოს იგი.

არა. მან გაცილებით უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე საკუთარი სახსრის გაღება ამ დიდი საქმისათვის, რასაც, თქმა არ უნდა, განსვენებული ნიკოლოზი არ დაიშურებდა, შეძლებული კაცი რომ ყოფილიყო. და ეს რასაკვირველია, სულ იოლი საქმე იქნებოდა, მისი ზნეობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და მამულიშვილური სულისკვეთებისათვის.

ეს შენობა ერთ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა. ოქროთი რომ ვიანგარიშოთ.

ამოდენა ფულის შოვნას მაშინდელ საქართველოში ფიქრადაც ვერ გაიტარებდა თავში თვით გახელებული ფანტაზიის მქონე ადამიანიც კი.

ძველი საბერძნეთის კრეზები და ამდროინდელი ამერიკის კარნეჯები ჩვენში არ იყვნენ, რათა თავიანთი უხვი წვლილის გაღებისათვის იოლის გულით პირველთ ხალისიანად გაეხსნათ თავიანთი საჭურჭლეთა სალარონი, ხოლო მეორეთ წარბშეუხრელად ამოეღოთ უბის ჯიბიდან ჩეკის წიგნაკი.

და თუ მოიპოვებოდა თითო-ოროლა, ცოტა თუ ბევრად შეძლებული ქართველი, ზოგი მათგანი ისედაც საკმაოდ დატვირთული იყო სხვა მრავალგვარი ქველმოქმედებითი ხარჯით, ზოგს კი ასეთი შენობის აგება საშუალო სკოლისათვის ქართულ ბედოვლათობად მიაჩნდა ჩვენი საერთო ხელმოკლეობის პირობებში.

მაინც მგონია არც ისინი გადაურჩნენ ნიკოლოზის მჭიდე ბრჭყალებს.

— ცხვედაძე — ნამდვილი მურსაყულოვია, როცა გიმნაზიის შენობისათვის ფულს ეძებს, — ამბობდნენ ხუმრობით ზოგიერთნი.

მურსაყულოვი იმდროინდელი განთქმული ყაჩაღი იყო.

ვაივაგლახით დაწყებული შენობის დამთავრება მან გაიხადა საკუთარი ღირსების საქმედ, პირადი ცხოვრების ქვაკუთხედად. დღეს ალამებდა და ღამეს ათენებდა ამ შენობაზე, ან ამ შენობაზე ფიქრობდა და მოქმედებდა. მისი ყოველი წვრილმანი იცოდა, სად რა ქვა ან თაყვანი დადებულიყო, რკინისა, რასაკვირველია. იგი არა მარტო მის იდეოფიქსად გადაქცეულიყო, არამედ მუდამ მოძრაობის ბერკეტად.

მართალია, მშენებელი ცნობილი არქიტექტორი სვიმონ კლდიაშვილი იყო, მაგრამ იგი უმთავრესად ნიკოლოზის განაზრახს ასრულებდა.

და უნდა მოგესმინათ მისი ახსნა-განმარტებანი, თუ შენობაზე მიხვიდოდით: პირდაპირ პოეტად გადაიქცეოდა ხოლმე და თქვენ წინ იშლებოდა მომხიბლავი სურათი იმისა, თუ რა ფართოდ, რა მოხერხებულად მოთავსდებოდა გიმნაზია ამ იდეალურ, პედაგოგიური მეცნიერების უკანასკნელ მოთხოვნილებათა კვალობაზე აგებულ შენობაში.

— ცხვედაძეს რომ უსმენ, როცა გიმნაზიის შენობაზე ლაპარაკობს, ნამდვილი სირინოზი გეგონება ეს ბაუბაუდევი კაცი, — ხშირად გაიგონებდით ქართველ საზოგადოებაში.

ამნაირად, საშუალო სკოლის ჩვეულებრივ სადგომად განზრახული შენობა, მისი გაქანებული ფანტაზიის მეოხებით, უზარმაზარ შენობად გადაიქცა, რომელმაც შემდგომ მთელი უნივერსიტეტი დაიტია.

* * *

სად და როგორ შოულობდა ნიკოლოზ ცხვედაძე ესოდენ დიდ სახსარს თავისი განზრახვის განსახორციელებლად?

წინა დროის ოპერაციებისა არა ვიცი რა. მე იმ ხანს შევესწარ, როდესაც შენობის უმთავრეს და, შეიძლება ითქვას, ერთადერთ წყაროს შეადგენდა სააღგილმამულო ბანკის მოგებიდან გადადებული თანხა. ეს თანხა ყოველწლიურად ასი ათას მანეთზე ნაკლები არ იყო ხოლმე. ხშირად კი მეტიც. ეს ფული ეძლეოდა ზემოხსენებულ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას გიმნაზიის შესანახ თანხასთან ერთად. ამ ორივე თანხის დანიშნულება ზუსტად იყო განსაზღვრული და მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლებოდა. მაგრამ რამდენადაც გიმნაზიის შესანახი ხარჯების გაღება უზრუნველყოფილი იყო, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გიმნაზიას დახურვა მოელოდა, იმდენად შენობის გაგრძელებისათვის საჭირო ხარჯები ერთთავად მერყეობაში იყო. ერთ მშვენიერ დღეს, ხოლო ნიკოლოზ ცხვედაძისათვის პირდაპირ საბედისწეროს, თავადაზნაურობას შეეძლო სრულიადაც არავითარი სახსარი არ გადაედო შენობისათვის.

ამას მოჰყვებოდა, რაღა თქმა უნდა, მუშაობის შეჩერება და უფრო უარესიც — უკვე აგებული ნაწილის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა, რადგანაც ეს ნაწილი დაგირავებული იყო იმავე სათავადაზნაურო ბანკში.

ადვილი წარმოსადგენია, რა მდელვარებას განიცდიდა ნიკოლოზ ცხვედაძე ყოველ მაის-ივნისის მოახლოვებაზე, როდესაც ჩვეულებრივ თავადაზნაურების კრებები იმართებოდა.

ჰქონდა კიდეც საამისო საბაბი. თავადაზნაურობის წრეებში ბევრი არ თანაუგრძნობდა მის გატაცებას. ოპოზიცია მის წინააღმდეგ განსაკუთრებით იმის გამო გაძლიერდა, რომ შენობის აგება მეტისმეტად გაჭიანურდა და ხარჯებს ბოლო არ უჩანდა.

კარგად მახსოვს, სვიმნია ანდრონიკაშვილის განცხადება ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც ხარჯთაღრიცხვა ირჩეოდა და საკითხი გიმნაზიის მომავალ შენობას შეეხო.

— ააშენებს თუ არ ააშენებს ნიკოლაი ზავედეიევიჩი გიმნაზიის შენობას, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ კი რომ დაგვანგრევს, ამაზე დარწმუნებული ვარ.

სვიმნია ანდრონიკაშვილი დაცინვით არ ურევდა ერთმანეთში „ზებედეს" და „ზავედეიევს", მას, ალბათ მომონიმებად მიაჩნდა. გაუნათლებელი კაცი იყო, მაგრამ ძალიან უყვარდა „რეჩით" გამოსვლა. ხშირად გაიგონებდით მისგან: „რა თავში ვიხლით „უზკოკალიონი ჟელეზნი დაროგას", ჩვენ გვინდა „შიროკოკალიონი ჟელეზნი დაროგაო".

ცოტანი არ იყვნენ სვიმნია ანდრონიკაშვილისთანანი. თუმცა ნიკოლოზის თანამგრძნობნი ჭარბობდნენ. მხოლოდ მათ რიგებშიაც გაისმოდა უკმაყოფილების ხმები, უმთავრესად იმის გამო, რომ შენობას დასასრული არ უჩანდა, ხარჯები კი მატულობდა.

ერთხელ ასეთ თანამგრძნობთა პატარა ჯგუფში პირდაპირ უთხრეს ნიკოლოზს:

— რა გახდა, კაცო, ერთი უხეირო საშუალო სკოლის შენობა? ვაყრით და ვაყრით ფულს და უძირო ორმოსავით ვერ ამოგვივსია. ან რა საჭიროა გიმნაზიისათვის ასეთი გრანდიოზული სახლი?

ნიკოლოზის ბრგე, მაგრად შეკრული, განზე გადგმული ფიგურა შეირყა, თითქო მასში პეტარდა აფეთქდაო. ბიბლიური სახე ფანატიკოსი წინასწარმეტყველისა, თეთრი, აქა-იქ შავზოლებჩახლართული წვერით მოსილი პირი, მწარე ღიმილმა გაუპო. ჯერ კიდევ ახალგაზრდული სიცოცხლით სავსე შავმა თვალებმა, რომლებსაც შავნარევი მსხვილი წარბები გადმოსწოლოდნენ, ნაპერწკლები დააკვესეს.

— რას ჩამაცივდით თქვენი გიმნაზიით, თითქო მასზე ჩამოწყვეტილიყოს მთელი ქვეყნის ბედი?— მიმართა მან თავის მოსაუბრეთ მთრთოლვარე ხმით. ჩვეულებრივ მან მთრთოლვარე ჩქარი ლაპარაკი იცოდა, — ნუთუ უკვეთესხ, უფრო დიდი რამის წარმოდგენის უნარი დაგკარგვიათ? ნუთუ სამუდამოდ გამოეთხოვეთ იმ იმედს, რომ ოდესმე ქართველებს შეიძლება თავიანთი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდეთ?! მე რომ ვარაუდში მარტო გიმნაზია მქონდეს, ხვალვე გადავხურავდი შენობას და შეგეძლოთ მოგეთავსებინათ შიგ თქვენი გიმნაზია. ისიც დაიტევს გიმნაზიას, რაც უკვე გაკეთებულია... მაგრამ სად მოათავსებთ უმაღლეს სასწავლებელს, ვინცობაა დადგა ის სანეტარო წამი?

ეს ისეთი ხვაშიადის გამჟღავნება იყო, რომ ყველანი გაშრით. აი თურმე საითკენ ჰქროდა ნიკოლოზის ოცნება! აი თურმე რა ახულდგმულებდა მას ამდენი ხნის განმავლობაში და რა უდიდესი ძალის ენერგიას ავითარებინებდა დაბრკოლებათა დასაძლევად!

იგი უქმნიდა შენობას არა გიმნაზიას, არამედ მომავალ ქართულ უმაღლეს სკოლას, რომელიც ვინ იცის წარმოიშვებოდა კი ოდესმე! ამის რწმენა მართლაც ბევრს არავის ჰქონდა, ვით ფუჭი ოცნებისა.

მხოლოდ იგი ატარებდა ამ რწმენას თავის დიად გულში. ეს რწმენა იყო ნამდვილ პატრიოტული გრძნობის ემბაზში ნათელღებული და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის სიდიადით განმტკიცებული.

და ამ რწმენას მრავალწელს გულში საიდუმლოდ ატარებდა, არავის არ უმხელდა, გარდა, ალბათ თითო-ოროლა მეგობრისა, რომელნიც არ გაახმაურებდნენ ამას და სასაცილოდ არ გახდიდნენ საკუთარი თვისხადმი რწმენაჩახშობილი საზოგადოების თვალში, როგორც გონებანაღრძობ უტოპისტს.

დღეს კი პირველად ველარ დაიტია თავის არხებაში ეს საიდუმლო გულისხნადები და აღშფოთებით წამოღვარა იგი თანამგრძნობთა ვიწრო წრეში.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

ბოლოს ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა დაარღვია სიჩუმე.

— შენ იცი ნიკო, რომ ვინც აქ არის, ყველა თანაგიგრძნობდით ყოველთვის და მგონია, არც ახლა გიღალატებთ. მხოლოდ ერთი რამ არის აუცილებელი: რაც აქა თქვი, შენც უნდა დაივიწყო და ჩვენც, ვითომ არა თქმულიყოს. თორემ, თუ შენი ზრახვები გახმიანდა, მთელი საქმე ჩაიფუშება. თავადაზნაურობა არარსებული უმაღლესი სასწავლებლისათვის ფულს არ გაიღებს, რაც უნდა ვეცადოთ, ვინაიდან სიგიჟედ ჩასთვლის შენს მისწრაფებას. შენ შენი საქმე აკეთე, როგორც გიკეთებია, ვითომ გიმნაზიისათვის, მხოლოდ ამ ფორმით მიაღწევ საწადელს.

— ოღონდაც, ოღონდაც! არავინ არ უნდა იცოდეს ეს, — დაუდასტურა ნიკომ მწარე ღიმილით, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ იგი გულისტკივილით გრძნობდა მთქმელის სიტყვების სიმართლეს.

შევცქეროდი დაშტერებით ნიკოლოზს და ჩემდა უნებურად ვფიქრობდი: ვინც რა უნდა თქვას, და სწორედ ყბადაღებული სემინარია იყო, ასეთ მძლე ხასიათებს რომ იძლეოდა-მეთქი.



# მკვლელი რეჟიმს იცვლის

ნამდვილი ამბავი

გრიგოლ გვაძაბია

ცივი. ასე ეძახიან ამ მდინარეს, უფრო სწორად მას ციი ჰქვიან. ვერავინ გეტყვით როდის და რატომ შეარქვეს ეს სახელი. მდორედ მოედინება თავის ოკრო-ბოკრო კალაპოტში, სოფელ თეკლათთან ოდნავ მარჯვნივ უხვევს და მერე თვალუწვდენ ველებში იკარგება.

ამ მდინარის პირზეა თეკლათი, ლამაზი, როგორც ყველა კოლხური სოფელი. მნახველის თვალს იტაცებს თითქოს ლარზე ჩამწკრივებული ოდა-სახლები, ხეხილით დამშვენებული, კოინდრიანი ეზოები.

ციის პირას ახლაც დგას ყავრით გადახურული სახლი, რომელსაც გარს აქა-იქ გარღვეული მესრით შემოღობილი ეზო არტყია. მრავალწლიან ცაცხვებსა და ნიგვზის ხეებს ეკალბარდები შემოხვევიან. ერთ დროს თითით საჩვენებელი ეზო-კარი პარტახად ქცეულა. ბალახმორეული კიბე და მონჯღრეული ბოძები ჭრიალით ეხმაურებიან ეკის მთიდან ჩამოვარდნილ ქარს.

ამ სახლში ცხოვრობდა მარიამ ფულარია, კეთილი და შრომისმოყვარე ქალი, თავისი ახალგაზრდობა მარტოობაში გაატარა. თვალტანადი იყო, სილამაზით განთქმული; რა ჭირობა ეროქმეოდა, თუ იქ მარიამი არ იქნებოდა. მხიარულ, მუდამ მოღიმარე ქალიშვილს მთელი სოფელი შეჰხაროდა, არაერთმა შეღერებულმა ჭაბუკმა გაუმხილა თავისი გულის ხვაშიადი, კაციც არაერთხელ მიუგზავნეს, მაგრამ მარიამი ყველას უარით ისტუმრებდა.

ქალიშვილის გული თითქოს ჩაკეტილი იყო.

მიდიოდნენ წლები, მარიამი გულჩათხრობილი გახდა, მხიარული ფერის ტანსაცმლის ნაცვლად შავი კაბა ჩაიცვა, მისი გული კი მაინც უცვლელი იყო, მუდამ სიკეთით სავსე. საკმარისი იყო ყურში ჩაწვეთებოდა,—სოფელში სიცხიანი ავადმყოფია და მომვლელი არა ჰყავსო, შეწუხდებოდა, დაფაცურდებოდა, ცხელ რძეს, ცოტაოდენ ხილს გაამზადებდა, ორიოდე თუმნიანს ქაღალდში გაახვევდა და ავადმყოფს მოინახულებდა.

კარგი და დიდი გული ჰქონდა მარიამს, იმ გულში მთელი სოფლის სიყვარული ეტეოდა. სოფელიც თავის მხრივ დიდ პატივს სცემდა გამრჯე ადამიანს, რომელსაც შავი დღისთვის ორიოდე კაპიკი ყოველთვის ჰქონდა შემონახული.

• • •

მთელი ღამე იწვიმა თეკლათში. დილით, როგორც კი გამოიდარა, დიდი და პატარა გარეთ გამოეფინა. გზაზე დაგუბებულ წყალს არხში აგდებდნენ, წაქცეულ სარებს ასწორებდნენ, ყველას თავისი საქმე და საზრუნავი გასჩენოდა.

იასონ ლაშქარავა მარიამის კარის მეზობელი იყო, დილით სახლიდან რომ გამოვიდა, უნებურად მეზობლის ეზოს გახედა. მწვანედ აბიბინებული მინდორი წყალს დაეფარა. ოდის კარ-ფანჯრები ღია იყო. კიბესთან თოკაწყვეტილი ხბო დარბოდა.

იასონი ღობეს მიადგა და გასძახა:

— მარიამ, ხბოს აუწყვეტია, ქალო!

პასუხი არავინ გასცა.

— მარიამ, სადა ხარ, მარიამ!

როცა კვლავ არავინ გამოეძახა, იასონი ეზოში შევიდა, უნდოდა ხბო დაება, მაგრამ ბოჩოლა ყანისაკენ გაექცა. იასონი გაჰყვა და უცებ თოფნაკრავივით შედგა: გადამტვრეული ხიმინდის ღეროებთან მარიამი მოკლული ეგდო მიწაზე. იასონს ცივმა ოფლმა დაასხა. ერთ წუთს გარინდებული, თავზარდაცემული იდგა, მერე გონს მოეგო და ყვირილი ასტეხა:

— მეზობლებო, გამოიხედეთ, ჩვენი მარიამი მოუკლავთ!

წუთიც და ხალხი ვიშითა და მოთქმით მოაწყდა მარიამის ეზოს. გაოგნებული მეზობლები თვალებს არ უჯერებდნენ — ლაფაროდან ოციოდე ნაბიჯზე, ყანაში, ხელფეხშეკრული, პირში წინდაჩაჩრილი მარიამის უსულო გვამი ეგდო.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მოვიდნენ რაიონის პროკურორი ვარლამ ცეკვავა, მილიციის უფროსი ალექსანდრე ბედია, უფროსი ოპერატიული მუშაკი ომარ ჩიქობავა, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს მუშაკი ბორის ქებურია და ექსპერტი-ექიმი. როგორც წესი მოითხოვდა, გადაიღეს ფოტოსურათები, შემდეგ გასცეს განკარგულება გვამი საავადმყოფოში გადაესვენებინათ, სადაც განკვეთა უნდა მომხდარიყო.

მილიციის მუშაკები გულდასმით აკვირდებოდნენ მიწის ყოველ მტკაველს, მათ ფირზე აღბეჭდეს ნაფეხურებიც, აიღეს მიწის სინჯიც, რომელზედაც რაღაც მოთეთრო ლაქა იყო. მათი ყურადღება მიიქცია იმ თოკმაც, რომლითაც მარიამი იყო შებორკილი. ეს ხბოს დასაბმელი თოკი იყო.

შემდეგ ოთახები დაათვალიერეს. კარადის კარი გატეხილი იყო, ნივთები ერთი-მეორეში არეულ-დარეული და უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი.

მილიციის მუშაკები ისევ ეზოში გამოვიდნენ. და ღობისკენ მიმავალ ნაფეხურებს გაჰყვნენ.

ღობე ოთხგან იყო გარღვეული. მილიციის უფროსი დაიხარა, გადატეხილ სარზე შავი რეზინის ნახევი შენიშნა.

— ჩექმის ნახევი უნდა იყოს! — წყნარად წარმოსთქვა.

— მეც ასე მგონია. — დაუდასტურეს ამხანაგებმა.

მილიციის უფროსმა ჯიბის დანა ამოიღო, სარის ის ნაწილი, რომელზედაც რეზინის ნახევი ეკიდა, ჩამოთალა, ცხვირსახოცში გაახვია და გამომძიებელს გადასცა.

მილიციის მუშაკები საქმეს მორჩნენ და ის იყო გზას უნდა გასდგომოდნენ, როცა შარაზე ჭაღარაშერეული კაცი გამოჩნდა. ეს იყო გუძა, მოკლულის ძმა.

— ვაიმე, ჩემო მარიამ, — მწარედ მოსთქვამდა გუძა, — შენც მოგიღო ბოლო იმ წყეულმა!..

რაიონული მილიციის უფროსმა ალექსანდრე ბედიამ უმალ მიაქცია ყურადღება გუძას სიტყვებს, ახლადმოსული განზე გაიხმო და ჰკითხა, თუ ვისზე ჰქონდა ეჭვი...

მაგრამ გუძა გაოგნებული იყო, ძლივს დააწყნარეს, ოთახში შეიყვანეს: მან ძველი ამბის მოყოლა დაიწყო, უსმენდნენ მილიციის მუშაკები და ყურებს არ უჯერებდნენ. ნუთუ ყველაფერი ეს სინამდვილეა, და არა ზღაპარი!

• • •

ეს ამბავი დაიწყო კარგა ხნის წინათ, ჯერ ისევ ომამდე.

გალის მიდამოებში ყველა კარგად იცნობდა გახას, გამრჯე ჭაბუკი იყო, მოხდენილი, შნოიანი, ძალზე ამაყი და თავმოყვარე, არც საქმეში ჩამორჩებოდა ვინმეს და არც ლხინში.

გახა იმ ხანებში დაოჯახებას აპირებდა.

წინა საღამოთი გახამ ყველაფერი საგულდაგულოდ გაამზადა, ხვალ დილით, უთენია უნდა გაუდგეს გზას, თეკლათში მიდის, სადაც თავისი მარიამი ეგულება, ნიშნობის დღე უკვე დათქმული აქვთ.

მოუთმენლად ელოდა გახა გათენებას, წუთები ახლა დღეებივით გრძელდებოდნენ.

მთელი სამზადისი რომ მოითავა, ის იყო დაძინებას აპირებდა, როცა ჭიშკარს ვიღაც მოადგა და მისი სახელი დაიძახა.

გახა გაეგება მოულოდნელ სტუმარს. ვერ იცნო, ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი იყო; მასპინძელმა შინ შეიპატიჟა, მაგრამ მოსულმა ნაბიჯიც არ გადადგა წინ, სინათლისაკენ; ღამე კი საკმაოდ ბნელი იყო. გახამ უცნობი რომ ვერ დაითათბირა, ბოლოს უთხრა:

— ეს მაინც მითხარი ვინა ხარ?

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, ვინცა ვარ. მე შენთან სიტყვა დამაბარეს და მინდა გადმოგცე. მეტი არაფერი.

— რა სიტყვა? ვინ გამოგზავნა ჩემთან?

— მზევინარმა. ხომ იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ. რა მინდათ? — გახამ ოდნავ ჩაიცინა.

— ნუ იცინი, გახა, — ეს სასაცილო საქმე არ არის. მზევინარმა იცის, რომ ხვალ თეკლათში მიდიხარ, ნიშნობაზე... — უცნობს ხმა ჩაუწყდა,—ძლიერ გთხოვს, ნუ წახვალ...

— საკვირველია, ღმერთმანი? მზევინარს რაში ეკითხება წავალ თუ არა თეკლათში...

— როგორ თუ არ ეკითხება, გახა! შენ ხომ მას უყვარხარ, სიცოცხლეზე მეტად უყვარხარ... ის ხომ შენ მოგენდო, დაუჯერა შენს სიტყვას, შენს ფიცს... სად წავიდეს ახლა, შერცხვენილი და გაუბედურებული! ვაჟკაცი ხარ და ასეთ რამეს როგორ კადრულობ! ქალი ლამის არის ჭკუაზე შეიშალოს... ნუ წახვალ, გახა, აბა რას უწუნებ მზევინარს. შენ ხომ ის გიყვარდა, ნუ წახვალ, თორემ მერე ყველაფერი გვიან იქნება!

— ისედაც გვიან არის ყველაფერი, ძმობილო! წინა დღეს ვის ჩაუშლია ნიშნობა?

— მაშ მზევინარს რასეუბნები?

— რა უნდა ვუთხრა, ჩვენს შორის სერიოზული არაფერი ყოფილა!

— არაფერი ყოფილა? აბა ჩახედე შენს სინდისს... შეაცდინე ქალი, და ახლა ისე გამოდის, არაფერი ყოფილა. თეკლათში კი არა, ცხრა მთას იქით რომ წახვიდე, იქ მოგძებნიან, გახა! დაუფიქრდი შენს საქციელს.

— ერთი დამიხედეთ, ამას... მემუქრება კიდეც, — გახამ უცნობისაკენ გაიწია, მაგრამ მოსულმა საჩქაროდ სიბნელეში უკან დაიხია და გამოსძახა:

— იფიქრე, გახა! ჯერ კიდევ არ არის გვიან!

— მე საფიქრებელი აღარაფერი მაქვს.

— ეს შენი უკანასკნელი სიტყვაა?

— აგრეა.

— მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდე!

უცნობი უმალ თვალს მიეფარა.

გახა გაოცებული შემობრუნდა, ვინ იყო ეს ბიჭი, საიდან გაჩნდა, მოჩვენებასავით; ახლა გაახსენდა, რომ უცნობს ხმა უთრთოდა, თითქოს ტირილიც ისმოდა მის ხმაში. თითქოს მზევინარის ხმას მიამსგავსა, მაგრამ უმალ უკუაგდო ეს ეჭვი; არა, უთუოდ ვიღაც ბიჭი მოძებნა მზევინარმა, გაენდო და მომიგზავნაო, გაიფიქრა. აფორიაქებულ ჭაბუკს აღარ დაეძინა. ჯერ გათენებულიც არ იყო, ცხენი შეკაზმა და თეკლათის გზას დაადგა.

მძიმედ ჩაფიქრებული მოდიოდა ტყეზე, მოსახვევთან ცხენს მოუსვენრობა დაეტყო, შეშფოთდა და ფრუტუნი დაიწყო. და იმავე წამს იგრიალა თოფმა.

ჩასაფრებულს არ გაუფრთხილებია, სიტყვა არ დაუძრავს, პირდაპირ ესროლა, და აუცდენლად შიგ გულში მოახვედრა.

გათენდა. აგერ, თითქმის შუადღეც წამოვიდა. თეკლათში სუფრა უკვე გაწყობილი იყო, მაგრამ ამაოდ ელოდნენ სასიძოს. მის ნაცვლად ჭიშკარს ავისმომასწავებელი მაცნე მოადგა და წუხანდელი ამბავი მოიტანა.

გახას მოკვლიდან მესამე თვეზე დააპატიმრეს ოცი წლის ქალიშვილი მზევინარ ქვაცხაია. სასამართლოს მან ყველაფერი გულწრფელად უამბო, თქვა რომ მას სიცოცხლე აღარაფრად აღარ უღირს, რომ ვერ მოერია თავის გულს, ვერ შეურიგდა შეყვარებულის მუხანათობას, ამიტომ გადაიცვა ვაჟურად, ღამით მიადგა სახლში, შეეცადა ხმაც შეეცვალა, რომ გახას არ ეცნო. უნდოდა სინდისში ჩაეგდო, და როცა ამ გზით ვერაფერს გახდა, მიბრუნდა შინ, ჩამოხსნა კედლიდან მამისეული ბერდანის თოფი და ტყეში ჩაუსაფრდა ნიშნობაში მიმავალ ჭაბუკს. როგორ გაიმეტეო სასიკვდილოდ? თითონ რათ გამიმეტა? ახლა მეც სიკვდილი მომისაჯეთ და ბარი-ბარში ვიქნებით.

— რა მიუსაჯეს? — ჰკითხა მოკლულის ძმას მილიციის უფროსმა.

— ეს კარგად ვიცი, დახვრეტა არ მიუსჯიათ... მერე აღარაფერი გამიგია იმ ალქაჯისა, წყეულიმც იყოს მისი სახელი! მაგრამ დარწმუნებული ვარ, აქ მისი ხელი ურევია.

— რაღაც არა მჯერა! — ჩაილაპარაკა პროკურორმა, — რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ. ეგეც არ იყოს, ბინა გაძარცულია.

— ის ალქაჯი ამბობენ სოხუმში ცხოვრობსო. ნამდვილად ეს მისი საქმეა, სხვა მტერი მარიამს არ ჰყავდა, ხომ ნახეთ, მთელი სოფელი დასტირის: რაც შეეხება გაძარცვას, იქნებ ესეც მოგზავნილი მკვლელის საქმეა.

ასე იყო, თუ ისე, გადაწყვიტეს სასწრაფოდ გაეგზავნათ კაცი სოხუმში, რომელსაც უნდა გაეგო მზევინარის ადგილსამყოფელი, შეესწავლა მისი ვინაობა და ისიც, თუ რა საქმიანობას ეწეოდა ამჟამად.

ვიდრე სოხუმში გაგზავნილი კაცი დაბრუნდებოდა, ძიება თავისი გზით მიდიოდა. მილიციის მუშაკებს მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდათ, რათაც არ უნდა დასჯდომოდათ, მკვლელი აღმოეჩინათ.

(გაგრძელება იქნება)







# ცხოვრება და ლექსი

თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის კლუბში, იმ საღამოს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. იუბილარი — პოეტი ალექსანდრე შანიძე თავისი დაბადების მესამოცე წლისთავს ხვდებოდა. ხვდებოდა თავის მეგობრებთან ერთად. ყველაფრიდან ჩანდა, რომ საიუბილეო საღამოს ჩვეულებრივად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე უნდა ჩაევლო. აქ არ იქნებოდა ათასნაირი ფერებით განათებული სცენა, თვალს ვერ მოგჭრიდათ ბრჭყვიალა ელნათურები, მაგრამ აქ იყო სხვანაირი სითბო, სხვაგვარი, ამაღელვებელი განწყობილება, ლაღი და ხალასი, უტყუარი, ალალმართალი.

და ჩვენ, მისმა მეგობრებმა, ვიგრძენით, თუ რაოდენ კარგი თვისებაა ადამიანში თავმდაბლობა, რაოდენ საპატივცემულოა და დასაფასებელი ჩუმი და უხმაურო მოღვაწეების ხვედრი, როგორი განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობა საზოგადოება ისეთ პიროვნებას, რომელიც ამ თვისებებითაა შემკობილი.

იმ საღამომდე მე მეგონა ვიცოდი ყველაფერი ის, რაც მის სახელთანაა დაკავშირებული. მაგრამ თურმე ძალიან ცოტა რამ მცოდნია.

თურმე ალექსანდრე შანიძე ბევრ სასიკეთო საქმეს ჩასდგომია სათავეში, ბევრი შრომა გაუწევია მშობლიური რაიონის კეთილდღეობისათვის.

სწორედ ესა სთქვა იმ საღამოს სოფელ ნოლის მშრომელთა სახელით სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ლორთქიფანიძემ.

— სოფელ ზემონოლისა და ბეგის მოსახლეობა, — განაცხადა მან, — დასაბამიდან უწყლობით იტანჯებოდა, ალექსანდრე შანიძემ თვითონ ჩამოგვიტანა მილები, გააყვანინა მაგისტრალი და ახლა ყველა ოჯახი უზრუნველყოფილია მთის ანკარა წყაროს წყლით. ოცი წლის წინათ მისი თაოსნობით სოფელ ზემონოლაში გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომელსაც ათასი ცალი წიგნი შესწირა. დღეს ეს ბიბლიოთეკა საგრძნობლად გაზრდილი და რაიონში ერთ-ერთ სანიმუშო კულტურულ კერად ითვლება.

ალექსანდრე შანიძის არაერთი ლექსი ხალხმა სიმღერად აქცია.

სამამულო ომის დღეებში კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა შექმნა მტრისადმი შურისძიებით აღსავსე ნაწარმოები მისი ლექსის „მებრძოლის სიმღერის" ტექსტზე; ეს სიმღერა დიდად პოპულარული იყო ქართველ მხედართა შორის.

სხვათა შორის, იმ მძიმე წლებში პოეტი ალექსანდრე შანიძე საბჭოთა არმიის ასეულს მეთაურობდა და იარაღით ხელში იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. რამდენიმე ჭრილობა მიიღო, განკურნებული ისევ ფრონტს უბრუნდებოდა.

ვის არ მოუსმენია ტკბილი და საამო სიმღერა „ჩემო ტკბილო მეგობარო!". ესეც ალექსანდრე შანიძის სტრიქონებზეა დაწერილი.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მარიამ არჯევანიშვილმა სიმღერებად აქცია მისი ლექსები: „სიყვარულმა მათქმევინა", „ქართველო დედავ", „მოხევე ქალს".

კომპოზიტორმა შოთა მილორავამ ალექსანდრე შანიძის ლექსზე „სამშობლო ჩემო" დაწერა მშვენიერი სიმღერა სოლოსათვის, ხოლო კომპოზიტორმა ალექსანდრე ბუკიამ მისი ლექსის „საოცნებო ვარდების" ტექსტზე შექმნა ლირიკული სიმღერა, რომელსაც ასე ხშირად ასრულებენ ესტრადაზე ჩვენი გამოჩენილი მსახიობები.

ალექსანდრე შანიძის ლექსებზეა შექმნილი ბიძინა კვერნაძის ცნობილი საესტრადო სიმღერა „თბილისური ლაჟვარდები", ლილი იაშვილის „ჭაბუკთა სიმღერა", „შავგვრემანი და თვალებმაყვალა", ვ. ჭუმბურიძის „რა ლამაზია, რა კარგი", ი. თოდუას „ნიავს გამოჰყვა" და ბევრი სხვა.

ალექსანდრე შანიძე მრავალი წიგნის ავტორია. ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა მისი ლექსების ახალი წიგნი „რაც მინატრია". წიგნში შესულია პოეტის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები. ამჯერად მკითხველს შესაძლებლობა მიეცა ფართოდ გაეცნოს მის პოეტურ შემოქმედებას და თავისი წარმოდგენა იქონიოს კაცზე, რომელიც ცხოვრებაშიც და ლექსშიაც ჩუმი, უხმაურო, მორიდებული და ალალმართალია.

ვ. გვეტაძე

# ვინც ეძებს, პოულობს კიდეც



პაპუნა წერეთელი

ყველაფერი უბრალო შემთხვევით დაიწყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი პაპუნა წერეთელი მაშინ კალანდაძის ქუჩაზე ცხოვრობდა, სამსართულიანი სახლის სხვენზე. ერთხელ ლექციებიდან შინ მობრუნებულმა სტუდენტმა ეზოში გადასაყრელად დაგროვებულ ნაგავში მოვარაყებული თეფშის ნატეხი დაინახა. ერთი პირობა შეყოყმანდა, დაცარიელებულ ეზოს მიმოავლო თვალი, მერე დაიხარა, ჯოხით გადაქექა ნაგავი და შუაზე გადატეხილი თეფშის მეორე ნატეხიც იპოვა. პაპუნამ იმავე საღამოს გულმოდგინედ დააწება თეფში და კედელზე ჩამოჰკიდა. საქვეყნოდ ცნობილი ფირმის — „ვეჯვუდის“ მიერ გამოშვებული ეს მოვარაყებული თეფში იმ დღიდან ღარიბი სტუდენტის დაცარიელებული სხვენის ერთადერთი სამკაული გახდა.

ეს იყო ორმოცი წლის წინ. ეს თეფშის ნატეხი გახდა დასაბამი, რომ პაპუნა წერეთელმა, თავის ძირითად საქმიანობასთან — ლიტერატორობასთან ერთად, ხელოვნების იშვიათი ნიმუშების შეგროვებაც დაიწყო.

პაპუნა წერეთელმა დღეისათვის მდიდარი კოლექცია დააგროვა. მისი კოლექციის თვითეულ ექსპონატს თავისი საინტერესო ისტორია აქვს. ამ პატარა წერილში, რა თქმა უნდა, ძნელია ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა. აქ მხოლოდ ორიოდე ამბავზე შევჩერდებით.

ეს მოხდა 30-იან წლებში. პაპუნა წერეთელი ლეჩხუმიდან თბილისში მოემგზავრებოდა და ერთი დღით თავის მშობლიურ საჩხერეში შეიარა.

შემოდგომის სუსხიანი საღამო იდგა. წვიმდა. ოჯახის წევრები ის-ის იყო სავახშმოდ შემოუსხდნენ სუფრას, რომ პაპუნამ კარადაზე დაგდებულ ქაღალდის პარკს შეასწრო თვალი და მოულოდნელად ფეთიანივით წამოიჭრა ადგილიდან.

რამდენიმე წუთის შემდეგ საჩხერელმა ბაყალმა გეორქამ ხმაურით ახსნა თავისი სახლის ჩარაზული ურდული და კარებთან ატუზულ პაპუნას გაოცებული მიაშტერდა.

პაპუნა წერეთელმა იმ საღამოს გეორქას ბინაში პარკების გასაკეთებლად შეძენილი ხუთიოდე ხელნაწერი იპოვა. გახარებულმა პაპუნამ ცოტა ხნის შემდეგ ისიც გაიგო, რომ გეორქას იქაური მეწაღისათვის წინა დღეს 30 მანეთად „ქილილა და დამანას“ უძველესი ხელნაწერიც მიეყიდა.

— მოიცა, ძმაო, მოიცა! — ხელის აწევით შეაჩერა მეწაღემ პაპუნა, როცა მისი მისვლის მიზეზი გაიგო, — ეს წიგნი გეორქასაგან იმიტომ ვიყიდე, ბავშვები უნდა დავსხა და განაოლება მივალებინო, რომ ჩემსავით რეგვენები არ გამოვიდნენ.

დიდ ხანს იდავა პაპუნამ, დიდხანს არწმუნა გაკერპებული მეწაღე, რომ ეს წიგნი თითისხელა ბავშვებისათვის არ გამოდგებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლია, თუმცაღა ეს დაყოლიება 30 მანეთის ნაცვლად 400 მანეთი დაუჯდა.

დაახლოებით ასეთი ამბავი მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ, ლენინგრადშიც. პაპუნა წერეთელმა იქ, ერთი მოხუცის ბინაში მიაკვლია ნ. ჩერნეცოვის მიერ აკვარელით შესრულებულ სურათს „ბაგრატის ტაძრის ნანგრევები“ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). მოხუცს უნდოდა, რომ სურათი სასწრაფოდ გაეყიდა, პაპუნას კი იმჟამად საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდა. კოლექციონერის გულწრფელმა მუდარამ, მისმა აზარტმა და ხელოვნებისადმი ასეთმა დიდმა სიყვარულმა მოალბო მოხუცი და მან რამდენიმე ხნით გადასდო სურათის გაყიდვა. პაპუნა წერეთელი მაშინვე თბილისისაკენ გამოეშურა, საჭირო ფული შეაგროვა, ისევ ლენინგრადში გაემგზავრა და სურათი შეიძინა.

ერთხელ, ეს იყო ამ ოცდაათი წლის წინ, ვერაზე მიმავალმა პაპუნამ ეზოში მოფუსფუსე ქალი დაინახა. ქალს ცალ ხელში ცოცხი ეჭირა, მეორე ხელში აქანდაზის ნაცვლად ჩარჩოში ჩასმული სურათი მოემარჯვებინა და მასზე აპირებდა ნაგვის დაყრას.

დაინტერესებული კოლექციონერი თავზე წაადგა ქალს, სურათს დააცქერდა და მაშინვე სიხარულის შეძახილი აღმოხდა. ქალს ხელში ნიკო ფიროსმანაშვილის აქამდე უცნობი სურათის დედანი ეჭირა.

ეს ძვირფასი ექსპონატი, ფიროსმანაშვილის „კრუხ-წიწილა“ ახლა პაპუნა წერეთლის კოლექციის მშვენებას წარმოადგენს.

ამას წინათ ხელოვნების მუშაკთა სახლში პაპუნა წერეთლის კოლექციის გამოფენა გაიხსნა; ვრცელ დარბაზში გამოფინეს შარლემანის, ლაგორიოს, ბელოლის, რეინმოლტის და უცნობი იტალიელი მხატვრების ნამუშევრები. აქვე იყო ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის, თ. აბაკელიას და სხვა ქართველ ოსტატების ტილოები. კარადებში ეწყო ქართული ხელსაქმის უბადლო ნიმუშები, ფოტოსურათები, რუსული ფაიფურისა და მხატვრული მინის ნივთები.

დარბაზში შესულ დამთვალიერებლებს საშუალო ტანის, ჭაღარა, სიმპათიური კაცი ეგებებოდა. ამ კაცს ჩვენი საზოგადოებრიობა უკვე კარგა ხანია იცნობს, როგორც ტოლსტოის, ჩეხოვის, გონჩაროვის ნაწარმოებების მთარგმნელს. პაპუნა წერეთელს 30-მდე პიესაც აქვს ნათარგმნი. მის მიერ ოსტატურად შესრულებული ლეონოვის „შემოსევისა“ და ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორის“ თარგმანები წლების მანძილზე იდგმებოდა ჩვენს სცენებზე.



ბევრმა დამთვალიერებელმა დღეს პირველად გაიგო, რომ სწორედ პაპუნა წერეთელმა აღმოაჩინა იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ დედნის დაკარგული ნაწილი. ბევრისათვის სწორედ ახლა გახდა ცნობილი, რომ სწორედ ამ კაცმა მიაკვლია აქსაკოვების ოჯახის უნიკალურ ლოცვანს, რომელიც ახლა ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაშია დაცული. ბევრმა დამთვალიერებელმა თვალნათლივ დაინახა, თუ 40 წლის მანძილზე დაუღალავი შრომით რამდენი იშვიათი სურათი, უნიკალური წიგნი, ნივთი, ფოტოსურათი, ქართული ხელსაქმის ნიმუში, თუ ძვირფასი ხელნაწერი აღმოაჩინა პაპუნა წერეთელმა და შთამომავლობას შეუნახა.

ოთარ დემეტრაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე: კარლ მარქსი. ნახატი ა. სტრიჟკოვისა. მეოთხე გვერდზე: სცენა სპექტაკლიდან „ლაურენსია“. ლაურენსია — ვ. წიგნაძე (რესპ. სახ. არტისტი); კომანდორი — ვ. ივაშკინი (ხელ. დამსახურებული მოღვაწე).


რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საакაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV-68 წ. გამომც. № 29 ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 42.300. შეკვ. № 1589. უე 02066

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,


ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მეტრეველი—სსრკ ჩემპიონი ჩოგბურთში.

ფოტო თ. არჩვაძისა



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა